# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 21 თებერვალი, 2007 წელი.

№ 33 (5634)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## როგორ იჭრება მაყუთი კასა ლომაიას კანტორაში



5-8

## ჭიქაში ატეხილი უძახე შენ და, შეიძლება ქვეყანა კი წალეკოს!



4

კანონმდებლები

2

## პარლამენტში მკვლელობის 126 თანამონაწილეა?!

ტელეხიდი

3

## რატომ აფრთხობს რუს ახალგაზრდებს საქართველოს ნატოში გაწევრება

ჩვენზე

10

## ცხინვალისკენ გაზსადენი გაჰყავთ

## ვაშინგტონმა ირანში სავარაუდო სამიზნეების ნუსხა შეადგინა

11

## ქამელეონის სინდრომი

5



## თაღლითობაში ქალებმა კაცებს აჯობეს

6



№ 33. ოთხშაბათი, 21 თებერვალი, 2007 წელი.

● „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებმა პარლამენტის კიბეზე დაალაგეს საპროტესტო პლაკატები წარწერით — „ისინი მხარს უჭერენ მკვლელებს“, იქ შეკრებილთ კი წაუკითხეს იმ 126 პარლამენტარის სია, ვინც საგამოძიებო კომისიის შექმნის წინააღმდეგ წავიდა



საპროტესტო აქცია

# პარლამენტში მკვლელობების 126 თანამონაწილეა?!

**ოქროყანის სასაფლაოზე წამებით მოკლული სანდრო გირგვლიანის სახელი ძველებურად აფორიაქებს ჩვენს საზოგადოებრიობას. ოპოზიციური ძალები მოითხოვენ — შეიქმნას სპეციალური საგამოძიებო კომისია, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლის გირგვლიანისა და რობაქიძის მკვლელობებს და საკადრისად დასჯის შემკვეთებსა თუ შემსრულებლებს.**

ცნობილია, რომ პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ (126-მა კაცმაძ მხარი არ დაუჭირა ამ წინადადებას.

გუშინ ამ ფაქტთან დაკავშირებით, პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო აქცია გაიმართა. მისი ორგანიზატორი „თანასწორობის ინსტიტუტი“ იყო, მას შეუერთდნენ პარტია „საქართველოს გზა“, პოლიტიკური ორგანიზაცია „ჩვენ თვითონ“ და ოპოზიციურ ძალთა სხვა წარმომადგენლები.



„თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებმა პარლამენტის კიბეზე დაალაგეს საპროტესტო პლაკატები წარწერით — „ისინი მხარს უჭერენ მკვლელებს“, იქ შეკრებილთ კი წაუკითხეს იმ 126 პარლამენტარის სია, ვინც საგამოძიებო კომისიის შექმნის წინააღმდეგ წავიდა.

„პარლამენტმა თავი შეირცხვინა, იმ ადამიანთა სახელები, ვინც ამ სამარცხვინო სიაშია ჩაწერილი, ისტორიაში ბნელ ლაქად შევა“, — ასეთი იყო აქციის მონაწილეთა და ორგანიზატორთა განწყობა.

**დავით დალაქიშვილი, „თანასწორობის ინსტიტუტი“:**

აქციის მიზანია, დავგმოთ ის სამარცხვინო გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ, მიგვაჩნია, რომ ეს ადამიანები პარლამენტში ცარიელი ადგილის ფუნქციის შემსრულებლებიდან მკვლელობის თანამონაწილეებად გადაიქცნენ. ამ ხალხის ადგილი პარლამენტში არ არის, საზოგადოებრიობამ უნდა დაინახოს მათი რეალური სახე. კომისიის შექმნა იქნებოდა პოზიტიური, ღირსეული ნაბიჯი, სამწუხაროა, რომ ჩვენმა პარლამენტარებმა ამას მხარი არ დაუჭირეს“.

**პაატა დავითაია, პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“:**

„ჩვენი გაერთიანება ყოველთვის იზიარებდა იმ პოზიციას, რომ გირგვლიანის მკვლელობის გამოძიება არასწორად წარიმართა და ის ბოლომდე არ არის შესწავლილი, საკვირველია, რომ პარლამენტში არის ძალა, რომელიც ნორმალური გამოძიების წინააღმდეგია“.

**მარინე კოლხიდაშვილი, პარტია „საქართველოს გზის“ კოორდინატორი:**

„ექვსი ვაჟის დედა ვარ და განსაკუთრებით განვიცდი იმას, რაც მოხდა. ჩვენი პარტია და ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი წინააღმდეგია ყოველგვარი უსამართლობისა. სახელმწიფოში კანონი და სამართალი უნდა იყოს. თუ თითოეული ჩვენგანი უსამართლობის წინააღმდეგ არ გაილაშქრებს, ხვალ შეიძლება უარეს დღეში ჩავცვივდეთ.

საკითხი, რომლის გამოც აქ შევიკრიბეთ, თითოეულ ოჯახს, ყველას ეხება, ვინც საკუთარი შვილების მომავალზე, მათ ჯანმრთელობასა და ბედნიერებაზე ფიქრობს“...

**ხათუნა ჩიგოგიძე**

დაყრუებული ხელისუფლება

# კანცელარიას ვარდებს მიაყრიან

**გუშინ პარლამენტის წინ განახლდა ვეტერანთა მიტინგი. ცნობილია, რომ აქციის მონაწილეებმა კვირაზე მეტია, რაც პრეზიდენტის სახელზე შედგენილი პეტიცია წარადგინეს სახელმწიფო კანცელარიაში, მაგრამ პასუხი ამჯერადაც ვერ მიიღეს.**

აქციამ მოგვიანებით სახელმწიფო კანცელარიასთან გადაინაცვლა.

რამდენიმე დღის წინათ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს მდიდარ ადამიანთა გვარები, რომელთა შორის ხელისუფლების და მთავრობის წარმომადგენლები და მათი ყოფილი წევრებიც არიან. ამ ფაქტს გამოეხმაურნენ აქციის მონაწილეებიც.

„ბატონმა მიხეილმა განაცხადა, რომ, თუ ვინმე აღმოჩნდებოდა მის გუნდში ერთი და ორი თვის შემდეგ მილიონერი, პირდაპირ ციხეში გაისტუმრებდა.

ბატონო პრეზიდენტო, გვერდით გყავთ ნოღაიდელი, რომელიც ცალ-ცალი კალოშით იყო ჩამოსული ქობულეთიდან, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა, ახლა კი მულტიმილიონერია. მას მხოლოდ ქონება კი არა უნდა ჩამოართვათ, ციხეში უნდა ამოაყოფინოთ თავი. ასეთი მრავლად გყავთ კიდევ. ძირს ასეთი ხელისუფლება“, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ. ადამიანთა უფლებების დაცვის კავშირის თავმჯდომარემ დავით ლილუაშვილმა თქვა: „ვფიქრობ, რომ კვირაში ერთხელ ჩატარებული ღონისძიება არაფრის მომცემი იქნება. ამიტომ გადავწყვიტეთ, უფრო ხშირად შევიკრიბოთ და კვლავ წამოვაყენოთ ჩვენი მოთხოვნები.

რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას დავუკავშირდით. განგვიცხადეს, რომ მსჯელობენ პეტიციის თაობაზე და დაახლოებით კიდევ ერთ კვირაში იქნება პასუხიო. თუმცა დადებითს ვერაფერს გვპირდებიან...“

გადაწყდა, რომ ხუთშაბათს ტრადიციულად კვლავ პარლამენტის წინ შეიკრიბებიან. მათ სხვადასხვა სოციალური, საზოგადოებრივი და პროფესიული ჯგუფის წარმომადგენლები შეუერთდებიან.

ხუთშაბათს კვლავ შევიკრიბებით და კერძოდ კანცელარიას იმ ვარდებს მივაყრით, რომელი ვარდებითაც მოტყუებული დავრჩით. ხელისუფლებას თავის სამარცხვინო ვარდებს დავუბრუნებთ,“ — განაცხადა დავით ლილუაშვილმა.

**მაია ხორგუაშვილი,**
**სოფიო გოგლიძე**

ინიციატივა

# საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა ქვეყანაში „მდიდრის სამართლის“ ჩამოყალიბებასაც შეუწყო ხელი

**„რესპუბლიკური პარტია“ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემის სავალალო მდგომარეობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად აფასებენ და მის გაუქმებას ითხოვს.**

ამის შესახებ გუშინდელ პრესკონფერენციას პარტიის ლიდერმა დავით უსუფაშვილმა გამართა.



„რესპუბლიკელები“ მიიჩნევენ, რომ ეს ინსტიტუტი საქართველოში ჩამოყალიბდა მოქალაქეებზე ძალადობისა და სასამართლო ხელისუფლების დე ფაქტო გაუქმების საშუალებად.

„მსოფლიოს იმ ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში საპროცესო შეთანხმებების ინსტიტუტი ვრცელდება ორგანიზებულ ან ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე და არა ნებისმიერ დანაშაულზე, როგორც ეს ჩვენს ქვეყანაშია“, — აღნიშნა უსუფაშვილმა.

მისი ინფორმაციით, სასამართლოში შესული 1000 საქმიდან საბრალდებო დასკვნა მხოლოდ ოთხ მათგანზეა გამოტანილი. ასეთი ფაქტები კი, უსუფაშვილის განცხადებით, მართლმსაჯულების ორგანოდ სასამართლოს ნაცვლად პროკურატურის დამკვიდრებას გულისხმობს.

„რესპუბლიკელების“ შეფასებით, საპროცესო გარიგებების მეშვეობით სასამართლოს რჩება ორი ალტერნატივა — ან შეასრულოს ნოტარიუსის ფუნქცია და საკითხის არსებითი შესწავლის გარეშე დაადასტუროს საპროცესო შეთანხმება ან რისკის ფასად დაუპირისპირდეს პროკურატურას და უარი თქვას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე.

უსუფაშვილმა განაცხადა, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა ქვეყანაში „მდიდრის სამართლის“ ჩამოყალიბებასაც შეუწყო ხელი. ამის დასადასტურებლად უსუფაშვილმა განაცხადა, რომ დღეს 2 მილიონის ქურდი 1 მილიონს იხდის ბიუჯეტის სასარგებლოდ და თავისუფლდება, თუმცა არ ყოფილა შემთხვევა, 100 კილოგრამი ალუმინის ქურდს თუნდაც 200 კილოგრამი ალუმინის საფასურად თავისუფლება მოეპოვებინა.

„რესპუბლიკელები“ ინიციატივას საპროცესო გარიგების გაუქმების შესახებ პარლამენტს, დაახლოებით, 2 თვეში წარუდგენენ.

**ინტერპრესნიუსი**

ინფორმაცია

# მანანა არჩვაძე-გამსახურდია, ძიება უნდა დაიწყოსო

**მანანა არჩვაძე-გამსახურდია ზვიად გამსახურდიას ნეშტის ადგილსამყოფელის დასადგენად ძიების დაწყებას ითხოვს.**

**გუშინ სახალხო დამცველის ოფისში მან პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც განაცხადა, რომ ექსპრეზიდენტის საფლავი გროზნოში განადგურებულია, ნეშტის ადგილსამყოფელი კი - უცნობი.**

**მისივე თქმით, მან მიმართა საელჩოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა დაეხმარონ ცხედრის საქართველოში გადმოსვენებაში.**

**მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ მიმართა ასევე საქართველოს პატრიარქს, რათა უწმინდესმა თავის მხრივ თხოვნით მიმართოს რუსეთის პატრიარქს და დახმარება აღმოუჩინოს.**

# ვის შეიწყალებენ?

**პატიმრების შეწყალების კომისიის სიაში შეიძლება რამდენიმე ცნობილი ადამიანიც მოხვდეს.**

**ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის და აღნიშნული კომისიის თავმჯდომარე ელენე თევდორაძემ განუცხადა, თუმცა, სავარაუდო კანდიდატების ვინაობა არ დაასახელა.**

**მისი თქმით, შეწყალების კომისიის სხდომა მარტში ჩატარდება, მანამდე კი მასალებზე მუშაობა ინტესიურად მიმდინარეობს.**

# რექტორად — ისევ გია ბუღაძე

**თბილისის სამხატვრო აკადემიამ გუშინ რექტორი აირჩია.**

**აკადემიურმა საბჭომ, რომლის შემადგენლობაშიც პროფესორები ნუნუ დარახველიძე, დიმიტრი თუმანიშვილი, თამაზ ვარვარიძე, გია ჩლაიძე და თინა კლდიაშვილი შედიან, ერთადერთი კანდიდატი გია ბუღაძე რექტორის პოსტზე 4 წლის ვადით ერთხმად დაამტკიცა.**

**როგორც აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ ნუნუ დარახველიძემ განაცხადა, სავარაუდოდ, სხვა კანდიდატებმა რექტორობის სურვილი არ გამოთქვეს, რადგან გია ბუღაძეს კონკურენციას ვერ გაუწევდნენ.**

**ინტერპრესნიუსი**

გუშინდელი ამბები

# დევნილები გამოასახლეს

**დევნილები, რომლებმაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული კლინიკის ერთ-ერთი შენობა 17 თებერვალს დაიკავეს, შენობიდან გამოსახლებას აპროტესტებენ.**

როგორც დევნილები აღნიშნავენ, მათ წასასვლელი არსად აქვთ და, შესაბამისად, ამ შენობის დატოვებას მიუღებლად მიიჩნევენ.

# ერთობლივი კომუნიკე მიიღეს

**მოსკოვში აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის თვითალიარებული რესპუბლიკების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა.**



შეხვედრაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები, მათ შორის არც რუსი ჟურნალისტები დაუშვეს.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ მოსკოველ კორესპონდენტს რუსეთის ფედერაციაში კოკოითის წარმომადგენელმა დიმიტრი მედოევმა აცნობა, შეხვედრაზე მხარეებმა ერთობლივი კომუნიკე მიიღეს.

**ინტერპრესნიუსი**

**გაირკვა, რომ რუსეთს სურს საქართველო საიმედო მეკავშირედ იხილოს, საერთო კულტურული ღირებულებებისა და რუსული ენის დამცველად, ასევე, მათ უნდათ ისეთი საქართველო, სადაც ეთნიკური კონფლიქტები არ იქნება**



ტელეხიდი

# რატომ აფრთხობს რუს ახალგაზრდებს საქართველოს ნატოში გაწევრება

## ჩრდილოელმა მეზობელმა სხვა ქვეყნებთან ტოლ-სწორად ლაპარაკი უნდა ისწავლოს!

*საერთაშორისო პრესცენტრ „რია ნოვოსტის" თბილისისა და მოსკოვის სტუდიებში ვიდეოხიდი გაიმართა თემაზე: „რუსეთი-საქართველო: ვჭირდებით თუ არა ერთმანეთს"?*

*თბილისის სტუდიაში სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელი, პოლიტოლოგი მამუკა არეშიძე და საქართველოს ახალგაზრდული საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები, სტუდენტები იყვნენ, ხოლო მოსკოვის სტუდიაში – რუსეთის ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე ოლეგ როჟნოვი, მოსკოვის სახელმწიფო ლინგვისტიკის უნივერსიტეტის პედაგოგი, პოლიტოლოგი ილია შერშნევი, რუსეთის ახალგაზრდული საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები, სტუდენტები.*

*ტელეხიდს უძღვებოდნენ თბილისის საერთაშორისო პრესცენტრის კოორდინატორი ოლგა სკვორცოვა და „რია ნოვოსტის" დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მთავარი დირექციის დირექტორი ალან კასაევი.*

ვიდეოხიდი გულთბილად, მეგობრული განწყობით დაიწყო. ახალგაზრდებმა გაიხსენეს შარშან, ზაფხულში ქობულეთში გამართული საერთაშორისო ფორუმი, რომელშიც რუსი და ქართველი სტუდენტები მონაწილეობდნენ და რომელმაც, მართლაც, დააახლოვა ისინი. ბოლოს, მათ ერთობლივად მიუმართავთ რუსეთისა და საქართველოს პატრიარქებისთვის.

ვიდეოხიდის ქართველმა და რუსმა მონაწილეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის პროგრესულ ნაბიჯად მიიჩნიეს მსგავსი ფორუმების გამართვა, რათა მომავალმა თაობებმა უკეთ გაიცნონ ერთმანეთი: ქართველებმა – რუსები, რუსებმა კი – ქართველები.

ვიდეოხიდის მიმდინარეობისას, ბუნებრივია, თავსმოხვეულ შიშზე დამყარებულ ქსენოფობიაზეც ილაპარაკეს. „გაცნობა სწორედ იმიტომაა აუცილებელი, რომ მომავალში ვერ შეძლონ ჩვენი შეშინება", – თქვა შეხვედრის ერთ-ერთმა ქართველმა მონაწილემ. მისი აზრით, სამომავლო ურთიერთობა საერთო კულტურულ ფასეულობებს უნდა დაეფუძნოს და აქცენტი მხოლოდ დადებითზე გაკეთდეს. ეს დღესვე უნდა დაიწყოს, რადგან თანამედროვე ქართველი და რუსი ახალგაზრდობა ზედაპირულად იცნობს რუსის და, შესაბამისად, ქართველის ხასიათს, რუსისთვის ქართველი მტერია და – პირიქით.



ქართველმა სტუდენტებმა რუს ახალგაზრდებს შესთავაზეს აღდგეს უწინდელი შემოქმედებითი ურთიერთობანი. გაიხსენეს ის დრო, როცა ქართველი რეჟისორები რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს ამთავრებდნენ და გამორჩეული წვლილი შეჰქონდათ საბჭოთა კინოს განვითარებაში. კარგი იქნებოდა, უმაღლეს სასწავლებლებს ემეგობრათო, დაასკვნეს სტუდენტებმა.

მეგობრულმა ვიდეოხიდმა მაინც ვერ აიცდინა პოლიტიკა. პოლიტიკამ, რომელმაც თავდაყირა დააყენა ყველაფერი და თითქმის ყველა მეგობრული ხიდი ჩაანგრია, აქაც იჩინა თავი. აღმოჩნდა, რომ რუს ახალგაზრდებს ძალზე აშინებთ საქართველოს ნატოში გაწევრების პერსპექტივა. ქართველი სტუდენტები დიდხანს უხსნიდნენ რუს თანატოლებს, ნატოში შესვლა რუსეთის მიმართ მუქარას კი არ გულისხმობს, არამედ სამხრეთ საზღვრებთან მისი სტაბილურობის თავდებიაო...

ვიდეოხიდმა ცხადყო, რომ იქ, სადაც პოლიტიკა და რაღაც შეთითხნილი ფორმატი ჩაეჩხირება, მეგობრობა ქრება, ხოლო შეკითხვა, ვჭირდებით თუ არა ერთმანეთს? აზრს კარგავს.

შეხვედრამ მრავალი საფიქრალი დაუტოვა მონაწილეებს: რატომ არ ენდობა საქართველო რუსეთს? როგორი რუსეთის ხილვა სურთ ქართველებს და – პირიქით, როგორი საქართველო წარმოუდგენიათ რუსებს?

გაირკვა, რომ რუსეთს სურს საქართველო საიმედო მეკავშირედ იხილოს, საერთო კულტურული ღირებულებებისა და რუსული ენის დამცველად, ასევე, მათ უნდათ ისეთი საქართველო, სადაც ეთნიკური კონფლიქტები არ იქნება.

**ქართველებს კი რუსეთი, უპირველესად, მეკავშირედ და პარტნიორად წარმოუდგენიათ, ოღონდ, თანაბარუფლებიან პარტნიორად.. რუსეთმა, ბოლოს და ბოლოს. უნდა ისწავლოს სხვა ქვეყნებთან ტოლ-სწორად ლაპარაკიო...**

**ქართველები ფიქრობენ, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრება, უპირველესად, კონფლიქტებს მოაგვარებს და რუსეთ-საქართველოს დაძაბულ ურთიერთობას გაანეიტრალებს...**

**თამარ შაიშმელაშვილი**

პარლამენტის ქრონიკები

# ნაირპროფილიან კომიტეტს – ფართოსპექტრიანი საბჭო

*ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მრავალპლანიანი ცხოვრებიდან შედარებით ახალი, ან, ეგებ, „კარგად დავიწყებული ძველი" დანაყოფის საქმიანობაზე გვინდა გიამბოთ.*

*ეს გახლავთ ერთობ „დიაპაზონურ" დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან (თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი) არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომელიც პერსპექტივაში, იქნებ, საპარლამენტოც გახდეს.*

*„დიაპაზონურიო", კომიტეტზე შემთხვევით როდი ვთქვით. მისი საზრუნავი, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის სფეროთა გამოკლებით, თითქმის ყველა დარგია: მშენებლობა, ელექტრომეურნეობა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი (რკინიგზაც, რა თქმა უნდა), ენერგეტიკა და სხვა. შესაბამისად, ფართო სპექტრის საქმიანობას ეწევა ხსენებული საბჭოც და სწორედ ამაზე, აგრეთვე, გეგმებზე ვესაუბრეთ მის თავმჯდომარეს დიმიტრი კოტეტიშვილსა და მდივანს რევაზ ტყემალაძეს. გთავაზობთ ჩემი რესპონდენტების „შეკრებილ" ნაუბარს:*

– კომიტეტში, ახალგაზრდა სპეციალისტებთან ერთად, ადრინდელი სამეურნეო მუშაკებიც მოვიწვიეთ. ვინ ვინა და, ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა კარგად იცის, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია გამოცდილ კადრებს.

პარლამენტის ბიუროს მიერ დამტკიცებული სასესიო გეგმის თანახმად, ჩვენი საბჭოს საქმიანობის სფეროს მიეკუთვნებოდა კანონპროექტებიც.

განვიხილეთ კანონპროექტები „სამშენებლო კოდექსის შესახებ", „სარგებლობის უფლებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების გადაცემის შესახებ". „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ", „ნავთობისა და გაზის შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" და რამდენიმე სხვაც.

განხილვაში მონაწილეობდნენ მოწვეული სპეციალისტები და სხდომებზე გამოთქმულმა შენიშვნებმა სათანადო რეაგირება და ასახვაც ჰპოვა.

საბჭოს მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობები აქვს სახელმწიფო თუ არასამთავრობო უწყებებთან, განსაკუთრებით ინტენსიური და ეფექტური კი – ეკონომიკური განვითარებისა და ენერგეტიკის სამინისტროსთან, შპს „საქართველოს რკინიგზასთან", ავტოტრანსპორტის დეპარტამენტთან.

მომზადდა ინფორმაცია საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის მიერ გაწეული მუშაობისა და სამომავლო გეგმების შესახებ. შესწავლილია ქვეყნის სამშენებლო, ელექტრომეურნეობის, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის დარგების მიერ ათვისებული სოციალური ინვესტიციების მდგომარეობა.

საქართველოს მშენებელთა ფედერაციასთან თანამშრომლობით, მომზადდა და საზეიმოდ აღინიშნა მშენებლის დღე. 22 გამორჩეული მშენებელი და არქიტექტორი დაჯილდოვდა.

ზემოაღნიშნული კანონპროექტების გარდა, განხილულია შპს „საქართველოს რკინიგზის" ეფექტიანობის ამაღლების, ავტომობილისტთა ეროვნული კადრების დასაქმების, ავიასერვისის გაუმჯობესების, სამგზავრო-საბაგირო ტრანსპორტის პროექტირების, მშენებლობის ტრადიციის აღდგენისა და სხვა საკითხები.

საბჭო სათანადო ყურადღებით ეკიდება დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში იმ განცხადებებსა და წინადადებებზე რეაგირებას, რაც პარლამენტში შედის. მაგალითად, სამშენებლო სფეროში მოხერხდა თბილისის ტუბდისპანსერის მშენებლობასთან, ასევე, პეტრიაშვილის ქუჩაზე



საცხოვრებელი სახლის პროექტირებასთან დაკავშირებით მოქალაქეთა მიერ წამოჭრილი საკითხების დარეგულირება.

წლევანდელი სამუშაო გეგმით, განვაგრძობთ განსახილველ კანონპროექტებზე მუშაობას; განხილული იქნება თბილისის ვაგზლის მშენებლობის დამთავრებისა და ნორმალურად ფუნქციონირების უზრუნველყოფის, თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის პერსპექტივის, ქალაქის უმოქმედო სამგზავრო-საბაგირო გზებისა და ფუნიკულიორის ამოქმედების ღონისძიებათა და კიდევ სხვა საკითხები.

**სულ ბოლო სიახლეებზეც თუ ვიტყვით, რასაკვირველია, ჩვენი სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო უყურადღებოდ არ დასტოვებს აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის ერთობლივ გრანდიოზულ სარკინიგზო პროექტს, აგრეთვე, თბილისის ახალ აეროპორტამდე სატრანსპორტო შტოს გაყვანას, რითაც ქვეყნის პრეზიდენტი საგანგებოდ დაინტერესდა"...**

**... საბჭოს მართლაც მრავალი კარგი ჩანაფიქრი აქვს და მათი წარმატებული რეალიზება ვუსურვოთ.**

**თამაზ ებანოიძე**

ინფორმაცია

## რუსეთიდან ფულები მოდის

**უცხოეთიდან საქართველოს კომერციულ ბანკებში 2007 წლის იანვარში, ელექტრონული ანგარიშსწორების სხვადასხვა სისტემის („ვესტერნ იუნიონი", „მანიგრამი", „ანელიკი", „კავკასუს ექსპრესი" და სხვ.) საშუალებით, დაახლოებით 51,5 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა, რაც გასული წლის იანვრის მაჩვენებელს 14,6 მლნ აშშ დოლარით (39,4%-ით) აღემატება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს.**

**2007 წლის იანვარში საქართველოში უცხოური არხებით შემოსული თანხებიდან ყველაზე მეტი – 35,3 მლნ აშშ დოლარი (68,6%) რუსეთის ფედერაციიდან, 6,3 მლნ აშშ დოლარი (12,2%) ამერიკის შეერთებული შტატებიდან, 1,4 მლნ აშშ დოლარი (2,8% პროცენტი) საბერძნეთიდან, 1,3 მლნ აშშ დოლარი (2,6%) უკრაინიდან და 1,1 მლნ აშშ დოლარი (2,2%) თურქეთიდან გადმოირიცხა.**

**2006 წლის იანვართან შედარებით, 2007 წელს 12,3 მლნ აშშ დოლარით (54%-ით) გაიზარდა რუსეთიდან სწრაფი ფულადი გზავნილების ოდენობა.**

**ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემებით 2007 წლის იანვარში საქართველოდან უცხოეთში გადარიცხულია დაახლოებით 5 მლნ აშშ დოლარი, რაც 6 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია 2006 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებთან შედარებით.**

**საქართველოს მოქალაქეების მიერ გადარიცხული თანხებიდან ყველაზე მეტი – 2 მლნ აშშ დოლარი (41%) რუსეთზე მოდის, მეორე პოზიციაზეა უკრაინა, სადაც 0,74 მლნ აშშ დოლარი (14.9%) გადაიგზავნა. თურქეთში იანვარში 0,33 მლნ აშშ დოლარი (6.6%) გადაირიცხა, აზერბაიჯანში – 0,26 მლნ აშშ დოლარი (5,3%), ხოლო გერმანიაში – 0,18 მლნ აშშ დოლარი (3,7%).**

## ჯემალ ქარქუსოვი სისულელეს უწოდებს

**ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ბრალდება, თითქოს დიმიტრი სანაკოევის მთავრობამ კონფლიქტის ზონაში დამატებითი საბაჟო პოსტი გახსნა და მძღოლებისგან გარკვეულ საფასურს ითხოვს, სისულელეა, – განუცხადა ჟურნალისტებს სანაკოევის მთავრობის შს მინისტრმა ჯემალ ქარქუსოვმა.**

**მისივე თქმით, მსგავსი საგუშაგოები და დამატებითი ბარიერები არც ქართველი და არც ოსი ეროვნების მოსახლეობისთვის არ შექმნილა.**

## „ქართულმა დასმა" საზღვარგარეთ ბიუროები გახსნა

**პოლიტიკურმა პარტიამ "ქართულმა დასმა", საბერძნეთში, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში საზღვარგარეთის ბიუროები გახსნა.**

**როგორც პარტიის თავმჯდომარემ ჯონდი ბაღათურიამ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, საქართველოს მილიონნახევარი მოქალაქე ემიგრაციაშია და მათი უმრავლესობა უმძიმეს პირობებში იმყოფება.**

**„ბიუროების შექმნის მიზანია, საზღვარგარეთ მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა საელჩოს ბიუროკრატიული მექანიზმის გვერდის ავლით შეძლონ საქართველოს დაუკავშირდნენ და თავიანთი პრობლემების შესახებ აცნობონ", – აღნიშნა ბაღათურიამ.**

**„ქართული დასი" თავის თავზე იღებს ქართულ ემიგრაციასთან მჭიდრო კავშირის დამყარებასა და მათ პრობლემებზე უსწრაფეს რეაგირებას.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 33. ოთხშაბათი, 21 თებერვალი, 2007 წელი.

**თითქოს შეგნებულად აკეთებენ ამას „თავისუფლების“ ინსტიტუტის „ვიპუსკნიკები“, აბოგოქრებენ ხალხს, საზოგადოების ლამის ყველა ფენას, რათა მერე ნიშნის მოგებით უთხრან, – რას ხტუნავთ და ყვირით, ვერა ხედავთ, რომ მაინც არაფერი იცვლება და ყველაფერი ისე კეთდება, როგორც ჩვენ გვინდა, ნერვებს ტყუილად რად იშლითო!**



## ფიქრები ხმამაღლა

*ერთი ახლობელი მყავს, საოცრად კარგი ადამიანი, მეგობრებსა და მეგობრობას, მათს პატივისცემასა და ძმობას გადაგებული, სტუმრის შეუდარებელი მასპინძელი და მომფერებელი, ჯგერენაიებსა და მის მაგვარებს რომ მოსწონთ ისეთის კი არა, ჭეშმარიტი ქართული სუფრის მშვენება და კოლორიტი... მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ნაღდი ქართველი, ნაღდი კოლხი!*

*ჰოდა, ერთხელაც, ამდენი სტუმრის დახვედრა-გაცილების გამო ლოყები ლამის „პაგონებივით“ რომ გადაეფინა მხრებზე, შეწუხებულმა დიეტოლოგს მიაკითხა, რამე მიშველე, თორემ საკუთარი თავი სარკეში რუმბი მგონიაო.*

*გაუსინჯავს ექიმს, ანალიზებიც ჩაუბარებინებია, თავი გადაუქნევ-გადმოუქნევია და საბოლოო ვერდიქტიც გამოუტანია: ესა და ეს არ უნდა ჭამო, ამას და ამას არ უნდა გაეკარო, ამაზე და ამაზე საერთოდაც არ უნდა იფიქრო, ეს არ უნდა დალიო, იმის ერთი ყლუპიც კი დაუშვებელიაო და... მოკლედ, ლამის შავი პურისა და წყლის ამარა დაუტოვებია ეს ქართველი პანტაგრუელი.*

*წამხდარა კაკალი კაცი, ფეხი მომტეხოდა და აქ არ მოვსულიყავიო, უფიქრია, მაგრამ კაბინეტიდან გამოსვლამდე ექიმისთვის საალალბედოდ მაინც უკითხავს: კი, ბატონო, პურ-ფუნთუშეულსა თუ ტორტ-ტკბილეულს რომ არ უნდა გავეკარო, გავიგე, მაგრამ ღომისა და მჭადის ჭამა მაინც თუ შემიძლიაო.*

*– მაგის ჭამა შეგიძლიაო, – გაუღია მოწყალება ექიმს.*

*– ჰოდა, მეგრელ კაცს მეტი არც არაფერი მინდაო, – გახარებია გასასვლელისკენ გაჩქარებულს, მაგრამ ზედ კართან გაუქვავებია ექიმის დადევნებულ სიტყვებს:*

*– ოღონდ მჭადიც და ღომიც ზომიერად უნდა ჭამო, თორემ განა სიმინდით გასუქებული ღორი არ გინახავსო?*

# ჭიქაში ატეხილი უქასე შენ და, შეიძლება ქვეყანა კი წალეკოს!

## ღმერთმა იცის, ვისგან თუ რისგან თავისუფალი „თავისუფლების“ ინსტიტუტი, თანამედროვე ქართველი პეტრე პირველები და ბოიარები და... რატომ არის საშიში „ზომადაკარგული“ სიმინდი?

ეს სახალისო ამბავი ერთი ფრთიანი ფრაზის ანალოგიით გამახსენდა: ისეთი ვინმეა, ჭიქაში ქარიშხალს ატეხსო, – იტყვიან ხოლმე მავანზე და ამით ძირითადად ორ რასმეს მიანიშნებენ: ის მავანი არაფრის გამო აურზაურის ამტეხიაო, ან კიდევ – „ჭიქის ქარიშხლით“ ვის შეაშინებსო.

ჩემი დაკვირვებით, სწორედ ამ ბოლო დასკვნით უფრო ხელმძღვანელობს ბევრი დღევანდელი პოლიტიკოსი, როცა ყინჩად აცხადებს, ჩვენ ის ხელისუფლება არა ვართ, ვისაც ულტიმატუმის ენით შეიძლება ელაპარაკონო, მაგრამ ის კი ავიწყდებათ, **რომ ყველაფერი დიდი სწორედ პატარით იწყება და, თუ დროზე არ მიეხედა, როგორც „ზომადაკარგული“ სიმინდით ჩაკურატდება ღორი, ისევე შეიძლება ჭიქაში დატრიალებულმა ქარიშხალმა, ერთხელაც, ჭიქაც დაამსხვრიოს და ისიც წალეკოს, ვისაც იგი ხელში ეჭირა.**

**არ შეიძლება, ხალხის, საზოგადოების ძალიან დიდი კი არა, თუნდაც მცირე ნაწილის აზრი სწორედ ჭიქაში დატრიალებულ ქარიშხლად მონათლო და არაფრად ჩააგდო!**

**... როგორ ფიქრობთ, რატომ არ უყვარს ხალხს თქვენი ინსტიტუტი?** – ჰკითხა „ვარდების რევოლუციის“ ნაგარიჟრაჟალზე კოკა ყანდიაშვილმა „თავისუფლების“ ინსტიტუტის ლიდერს ლევან რამიშვილს.

**– ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ და არ გვაინტერესებს, ხალხი რას ფიქრობსო,** – დაახლოებით ასე უპასუხა მაშინ ბატონმა ლევანმა, რომელსაც ყანდიაშვილის შეკითხვა სრულებითაც არ უუცხოებია და, რომ იტყვიან, თავი არ მოუგიჟებია, – რას ამბობთ, როგორ თუ არ ვუყვარვართ, პირიქით, ხალხს ჩვენზე ჭკუა ეკეტებაო.

„ავი“ მეხსიერება სულაც არა მაქვს, მაგრამ ეს ამბავი დღესაც იმიტომ მახსოვს, რომ, რაკი მაშინ ლევან რამიშვილმა ტელეჟურნალისტის კითხვას არ უპასუხა, დაინტერესებულმა მას გაზეთის მეშვეობით დავუსვი იგივე შეკითხვა, იქნებ ახლა მაინც გავიგოთ პასუხი-მეთქი, მაგრამ...

მოგცლიათ ერთი, ვის აინტერესებს ჩვენი, „პლებეების“ აზრი!

**მაშინ ისიც მივწერე ბატონ ლევანს, არვარგა, ხალხს პეტრე პირველის მსგავსად რომ უყურებთ და ლამის ექცევით კიდეც-მეთქი, იმ პეტრე პირველის მსგავსად, რომელმაც, უკაცრავად ამ სიტყვებისთვის, რაკი საკუთარ წილიან-ტილიან ბოიარებს პირადი ჰიგიენის ელემენტარული წესების დაცვა ვერ ასწავლა, ისინი ფიზიკური ძალის, როზგის გამოყენებით გაკრიჭა და გაპარსა.**

როგორც ჩანს, ძალიან ბევრი რამ ქართულისა და ეროვნულისგან, მართლმადიდებლურისგან თავისუფალი „თავისუფლების“ ინსტიტუტის (ასეთ დასკვნამდე მივედი ბოლოს მისი წევრების ქმედების შემყურე) წარმომადგენლები, მით უფრო ბატონი ლევანის დონისანი, ჩვენ, ხალხს, ლამის ისე გვიყურებენ, როგორც პეტრე პირველები, და თავიანთ ტლუ, წვირიან ბოიარებად გვთვლიან. ამიტომაც, ურჩევნიათ, „გაგვროზგონ“, ჩვენს ნაცვლადაც თვითონ იაზროვნონ და თვით ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიც სხვებთან მოუთათბირებლად მიიღონ – რა აზრი აქვს უაზროთათვის აზრის კითხვას?!

კი, მაგრამ „თავისუფლების“ ინსტიტუტის, ამ ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის პოზიციას და საქმისადმი მისეულ მიდგომას ყველაზე, ლამის მთელ ხელისუფლებაზე რად განავრცობო! – შეიძლება შემომედავოს ვინმე.

**რად და იმად, რომ დღევანდელი პოლიტელიტის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ ინსტიტუტის „კურსდამთავრებულია“, ან იქაური პოზიცია-პოლიტიკის განუხრელად დამცველ-გამტარებელია!**

**ამიტომაც იქაური „ვიპუსკნიკები“ არავის არაფერს ეკითხებიან და ეთათბირებიან, არავისი აზრი არ აინტერესებთ** (ჩვენდა საუბედუროდ, რაღა მაინცდამაინც მათ უწიათ წყევლამ – შენი არ გაცოდინა და სხვისიც არ შეგასმინაო!), **რადგან უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებად მხოლოდ თავიანთ ნაფიქრალ-ნააზრევი და გაკეთებული მიაჩნიათ.**

ამიტომაც არის, რომ **„ვინც რა უნდა თქვასო“...**, ან, კიდევ „უკეთესი“, **„ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო“,** ისეთი ჩვეულებრივი ტონით, უფრო სწორად, ჩუმი გამქირდავ-დამცინავი მიმიკით შეუძლია ილაპარაკოს განათლების მინისტრმა, ვთქვათ, გამოჩენილ მეცნიერთა მისამართით, ამის მომსმენს, თუ ხელი არ შეაშველე, შეიძლება, გაოცებისგან ყბაც ჩამოგივარდეს!

რატომ, რად კადრულობთ უკადრებელს, თქვე კარგი დედ-მამის შვილო, რად აკადრებთ ცნობილ მეცნიერებს, სწავლულ ადამიანებს ძაღლად მოხსენიებას?

**მაშინ თქვენ, ანუ მთავრობა, ვინც არაფრად აგდებს „ძაღლის“ ყეფას და დასახული მიზნისკენ გვერდზე მოუხედავად მიდის, ვინ არის? აქლემთა ქარავანი?**

**იმის მიუხედავად, რომ „თავისუფლების“ ინსტიტუტის „აღზრდილი“ მთავრობის ცალკეული წევრები ხშირად აქლემზე უკეთაც იფურთხებით, ამ, თავისთავად სასარგებლო, ცხოველის სახელს მაინც ვერ გიწოდებთ.**

ამას მით უფრო არ იზამენ ჩვენი ზემოთ ნახსენები ცნობილი, ინტელიგენტი მეცნიერები.

მაშ თქვენ რად მონათლეთ ისინი?!

**თუმცა აქლემივით სასარგებლო კიდევ სხვა ცხოველისგან ერთი რამ მართლაც არ უნდა გეწყინოს.**

აქვე ინგა გრიგოლიას ამ ორი წლის წინანდელი სატელევიზიო გადაცემა გამახსენდა, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პრობლემას ეხებოდა. მასში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და ამ ინსტიტუტთა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

მეცნიერები თავისას ამტკიცებდნენ – ინსტიტუტებს დასალუპად სწირავთო, მინისტრი პირიქით ამტკიცებდა, – რეფორმა ინსტიტუტებსაც წაადგება და თქვენცო.

ვერაფრით შეთანხმდნენ.

ბოლოს მინისტრმა რომელიღაც კანონის თუ დადგენილების პროექტი ააფრიალა: თქვენ რომ ამტკიცებთ, საქმე გაფუჭდებაო, მიმართა მეცნიერებს, ამ დოკუმენტის თანახმად, პირიქით იქნება – გაუმჯობესდებაო; ხელფასი ახლა რომ ამდენი გაქვთ, ამ დოკუმენტის მიხედვით ამდენი (წინანდელზე საგრძნობლად მეტი) გექნებათო, ინსტიტუტების დაფინანსებაც ამდენით გაიზრდებაო და ა.შ.

**გავვოცდი! დალოცვილო, თუ ასეთი კეთილშობილური მიზნებით განმსჭვალული და საქმის ბევრად უკეთ წამყვანი დოკუმენტი გქონდათ, აქამდე რად არ გააცანით მეცნიერებსაც და ფართო საზოგადოებრიობასაც, მართლაც ძაღლის ყბა რად გამოაბმევინეთ ხალხს, უყვირალი საყვირლად რად აქციეთ?**

**ყველანი თუ არა, ამ დონის მეცნიერები მაინც ვერ გაარჩევდნენ ავსა და კარგს, შავსა და თეთრს ერთმანეთისგან?**

**რაო? სხვაგვარად ხალხის თვალში მათ რეგრესულ ძალად, ანტირეფორმისტებად ვერ წარმოაჩენდით?**

**ყველაზე ცუდი და გასაოცარი კი მაინც ის გახლავთ, რომ საქმისადმი დიდმოხელის ამგვარი დამოკიდებულება გამონაკლისი სულაც არ გახლავთ!**

მისი კოლეგა – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი – ინგა გრიგოლიას გადაცემაშივე, ოღონდ სულ ახლახან, ისეთი სერიოზულობით გვიმტკიცებდა, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისად აგებულ-აღჭურვილი საავადმყოფოები სჯობს კომუნისტების დროინდელ ლამის დანგრეულ-გაჩანაგებულ სამკურნალო დაწესებულებებსო (ამის „დასამტკიცებლად“ განსაკუთრებით მისმა მოადგილემ იაქტიურა იმავე გადაცემაში), რომ, მათზე გაბრაზების ნაცვლად, ერთი პერიოდი კინაღამ საკუთარი თავი და ხალხი შემეცოდა, – რად მივაჩნივართ ან ქვეყნის მტრად, ან ასეთ შტერებად-მეთქი.

**თუმცა მერე, როდესაც მივხვდი, რომ „თავისუფლების“ ინსტიტუტის ამ „კურსდამთავრებულებს“ ასეთ „უაზრო“ არსებებად მარტო ჩვენ, რიგითი „პლებეები“ კი არა, თვით ხალხის რჩეულნიც – პარლამენტის წევრებიც მიაჩნიათ, შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა ერთგვარად მაინც დამიწყნარდა: ყველასი, მათ შორის დეპუტატთა შეურაცხყოფა და მათი აზრის აბუჩად აგდებაა, აბა, რა არის, როდესაც ჯანდაცვის სფეროს რადიკალური გარდაქმნის მართლაც გრანდიოზულ პროექტს ხალხს კი არა, პარლამენტარებსაც არ წარუდგენ განსახილველად და პირდაპირ ინვესტორებს ეძებ?**

**თუმცა სხვაგვარად როგორ უნდა მოიქცნენ, როცა მიაჩნიათ, რომ მაინც ვერავინ, დეპუტატთა უმცირესი ნაწილიც კი, ვერ „ჩასწვდება“ მათი ნააზრევის „სიღრმეს“ და, ტყუილუბრალოდ რად უნდა ხარჯონ დრო და ნერვები, არა სჯობს, „ბოიარებისთვის“ მხოლოდ როზგი შემოინახონ, და ათი წლის შემდეგ, როგორც ეს ახლახან ქალბატონმა მაია ნადირაძემ ბრძანა ტელევიზიით გამოსვლისას, დამშვიდებული სინდისით დატკბნენ ახლანდელი წარმატებული რეფორმების შედეგებით?**

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ღირს კი? ყველა ხომ ისედაც კარგად ხედავს ყველაფერს?

**დასკვნა, ალბათ, ერთია: თითქოს შეგნებულად აკეთებენ ამას „თავისუფლების“ ინსტიტუტის „ვიპუსკნიკები“, აბოგოქრებენ ხალხს, საზოგადოების ლამის ყველა ფენას, რათა მერე ნიშნის მოგებით უთხრან, – რას ხტუნავთ და ყვირით, ვერა ხედავთ, რომ მაინც არაფერი იცვლება და ყველაფერი ისე კეთდება, როგორც ჩვენ გვინდა, ნერვებს ტყუილად რად იშლითო!**

**თუმცა ზოგჯერ ამას, შესაძლოა, საზოგადოებრივი აზრის ზონდირებისთვისაც აკეთებდნენ, – თუ შეამჩნიეს, რომ ხალხი ძალიან აღშფოთდა და ატეხილმა ქარიშხალმა შეიძლება ჭიქა გახეთქოს, შემოვლითი გზების ძებნას იწყებენ.**

ყველას გვახსოვს, ამ ერთი თვის წინათ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სახლების მობინადრეთათვის ადრე ვაცემული ორდერების ჩამორთმევის გამო ატეხილი აურზაური და აღშფოთება.

**ახლახან კი გამობრძანდა თბილისის ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი და განაცხადა, მერის დავალებით ერთი თვის ვადაში უნდა გავარკვიო, თუ ვინ რატომ და როგორ მიიღო ორდერები და, თუ ვინმეს ბინა სამართლიანად ჰქონდა გამოყოფილი, მათ დავუტოვებთ კიდეც საცხოვრისსო.**

**ღმერთო, დიდებულო! არა სჯობდა, ეს მანამ გაგვეკეთებინათ, სანამ ხალხს გულს გაუხეთქავდით და ასეთ არასაჭირო და არაჯანსაღ ვნებათა-ღელვას გამოიწვევდით? ეს ხომ საქმისადმი განუზომლად სწორი, სამართლიანი და ადამიანური მიდგომაც იქნებოდა?**

**თუმცა მეც გავუტიე, რა: ამას ხომ ისეთი ადამიანური და პროფესიული თვისებები სჭირდება, როგორიც „ერთი“ ინსტიტუტის „შინაგანაწესში“ არც არის ალბათ გათვალისწინებული!...**

ოსმანა და ალია ორივე თათარიაო, ნათქვამია.

ამისი არ იყოს, ქარიშხალი, ბუნებრივი კატაკლიზმებით იქნება იგი გამოწვეული თუ ჭიქაში დატრიალებული, მაინც ქარიშხალია და, როგორც კედელზე ჩამოკიდებული თოფი შეიძლება წელიწადში ერთხელ თავისით გავარდეს, მანაც, შესაძლოა, ერთხელაც გახეთქოს ჭიქა და, ნურვის გაეცინება, ქვეყანაც წალეკოს!

მით უფრო, რომ ამგვარი „ჭიქის ქარიშხლები“ ჩვენთან ყველგან „ტრიალებს“. აკი ვთქვი, არ დარჩა-მეთქი საზოგადოების პრაქტიკულად არც ერთი ფენა, იმ „ერთი“ ინსტიტუტის „კურსდამთავრებულთა“ გამოისობით, განაწყენებულ-აბოგოქრებული რომ არ იყოს, ყველაზე პატივსაცემ-დასაფასებელ-მოსაფერებელ ომის ვეტერანთა, ინვალიდთა და პენსიონერთა ჩათვლით...

**ღმერთმა დაგვიფაროს ახალი რევოლუცია-ქარიშხლებისგან, მაგრამ თუ „ვიპუსკნიკებს“ და „სიმინდით“ უზომოდ გამოკვებილებს ყველა გზა „რომისკენ“ მიჰყავთ?!**

**რუსლან რუსია**

№ 33. ოთხშაბათი, 21 თებერვალი, 2007 წელი.

# გადასახედი

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მთელი ხნის მანძილზე გაეროს უშიშროების საბჭოს, ეუთოს, ევროკავშირის, უშუალოდ გაეროს გენერალური მდივნის მიერ მიღებულ დადგენილებებს, რეზოლუციებსა თუ სხვა ოფიციალურ საბუთებს რომ გადახედოთ, უცილობლად ილიას გლახა ჭრიაშვილი გაგახსენდებათ



განსჯა

# ქამელეონის სინდრომი

## ეგებ, დროა ამოქმედდეს გაეროს წესდების VII თავი?!

**„...ადასტურებს თავის ვალდებულებებს, მხარი არ დაუჭიროს სეპარატისტულ რეჟიმებს, არ დაამყაროს მათთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა კავშირები, არ გაუწიოს მათ ეკონომიკური, ფინანსური და სხვა დახმარება.**

**ადასტურებს, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლად:**

აქ აფხაზეთის ხელისუფლების მხარესთან არ განახორციელებენ სავაჭრო-ეკონომიკურ, ფინანსურ, სატრანსპორტო და სხვა ოპერაციებს;

ბქ ოფიციალურ კონტაქტებს არ დაამყარებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული სტრუქტურების წარმომადგენლებთან ან თანამდებობის პირებთან, ასევე, მათს მიერ შექმნილი შეიარაღებული ფორმირებების წევრებთან.

...თავის ტერიტორიებზე არ დაუშვებენ აფხაზეთის მხარის ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ხელისუფლების ოფიციალურად წარმომადგენელ პირთა ფუნქციონირებას.

...მოითხოვს ყველა დევნილისა და ადგილგადანაცვლებული პირის მუდმივი ცხოვრების ადგილებში დაუყოვნებლივ, უპირობო და ღირსეულ დაბრუნებას"...

* * *

„გამოთქვამს სერიოზულ შეშფოთებას აფხაზეთში (საქართველოძ ე. წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების გამო, რაც არ შეიძლება ლეგიტიმურად იყოს აღიარებული...

დაუშვებლად მიაჩნია დევნილთა და ადგილგანადაცვლებულ პირთა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ორგანიზებულად დაბრუნების პროცესის შემდგომი გაჭიანურება"...

დევნილთა დაბრუნებისთვის წინააღმდეგობის გაწევის, რეგიონში მშვიდობისა და უშიშროებისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში, განხილულ იქნას სამშვიდობო ოპერაციის ხასიათისა და შინაარსის შესაბამისად შეცვლის საკითხი გაეროს წესდების დებულებათა ასეთ შემთხვევაში გამოყენებული ადექვატური ზომების საფუძველზე".

**რეზოლუციებიდან** ეს ორი ამონარიდი ადასტურებს, რომ ისინი ვითარების ობიექტურად განმსჯელი ორგანოს მიერაა მიღებული. ქართული მხარე, კონფლიქტის მთელი ხნის მანძილზე ხომ სხვას არას ითხოვდა და ითხოვს — ობიექტურობასა და მხოლოდ ობიექტურობას. თუმცა დოკუმენტები უშუალოდ სეპარატისტული აფხაზეთის წინააღმდეგაა მიღებული, მათში ასახულია დამოკიდებულება ზოგადად სეპარატიზმის მიმართ. ანუ, ამ რეზოლუციების მიმღები ორგანო, ფაქტობრივად, გმობს სეპარატიზმის ნებისმიერ გამოვლენას და, იგულისხმება, რომ ზემომოტანილი დებულებების შესრულების თავდებიცაა. არც — ერთი და არც — მეორე. არც ზოგადად სეპარატიზმისა და არც აფხაზურ-ოსური სეპარატიზმის მიმართ ქაღალდზე აღნუსხული დამოკიდებულება სწორედ ამ ქაღალდებს არ გასცდენია.

* * *

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მთელი ხნის მანძილზე გაეროს უშიშროების საბჭოს, ეუთოს, ევროკავშირის, უშუალოდ გაეროს გენერალური მდივნის მიერ მიღებულ დადგენილებებს, რეზოლუციებსა თუ სხვა ოფიციალურ საბუთებს რომ გადახედოთ, უცილობლად ილიას გლახა ჭრიაშვილი გაგახსენდებათ. წლიდან-წლამდე ცოხნა-ცოხნით გადადის უმაღლესი დონის სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებზე გამომცხვარ დოკუმენტებში ერთი და იგივე დებულებები. მხოლოდ შეხვედრის ადგილი, წელი და რიცხვია შეცვლილი, არსობრივად, პუნქტობრივად კი ერთი და იგივეა. აგერ, 14 წელიწადია არა და არ მობეზრდათ ამ საერთაშორისო ორგანიზაციებს წყლის ნაყვა. არა და არ შეისმენენ სეპარატისტები მათს „შეგონებას". წიხლს უკრავენ ყველა დო-



კუმენტზე ე. წ. „ბოდენის" დოკუმენტის ჩათვლით, რადგან ყოველ მათგანში აფხაზეთი, ე. წ. სამხრეთ ოსეთი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს შემადგენლობაში განიხილება, კონფლიქტის მოგვარება, მათი სტატუსების დადგენა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს შემადგენლობაში მოიაზრება.

როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? ვითომ არც მწვადი იწვება და არც შამფური?! სწორედ რომ იწვება! საქართველო მოუგვარებელი კონფლიქტების გამო ვერც პოლიტიკურად და ვერც ეკონომიკურად ვერ გამართულა წელში. რუსეთის მაამებლობა ისევ ევროპას, მსოფლიოს უბრუნდება ავად, რადგან მისთვის კუდის ქიცინმა, ძალა მაქვსო, ევროპა ენერგომატარებლების გაძვირებით „დაბომბა", მიუნხენის შეხვედრაზე კი უკვე მსოფლიოს დაუქნია თითი.

მართლაც დადგა — და ამას ქართული მხარე, ვინც მუდამ ზედმიწევნით ასრულებდა ვალდებულებებს, მოითხოვს — გაეროს წესდების VII თავით გათვალისწინებულ ზომებზე გადასვლის დრო! იგი უშიშროების საბჭოს ზემოქმედების ძალისმიერი მეთოდების გამოყენების უფლებას ანიჭებს, თუ კონფლიქტის მხარე, ვინც რეგიონში მშვიდობასა და უსაფრთხოებას ემუქრება, უარს ამბობს კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების რეკომენდაციების მიღებაზე. სწორედ ამ თავით მინიჭებული უფლებები გამოიყენა გაერომ კოსოვოს კონფლიქტის დროს და სპეციალური სანქციებისა და ნატოს ძალების მეშვეობით აიძულა ბოსნიელი სერბები, დათანხმებულიყვნენ საკონტაქტო ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ კონფლიქტის ფართომასშტაბიან დარეგულირებას. მაშინ ხომ გამოვლინდა გაეროს, ნატოს, ევროკავშირისა და ეუთოს მტკიცე პოლიტიკა ხორვატიასა და ბოსნია და ჰერცოგოვინაში სერბთა სეპარატიზმის მიმართ?

თუმცა გაეროს სამშვიდობოებს ნატოს ძალები უჭერდა მხარს, ზემოაღნიშნული კონფლიქტის მოსაგვარებლად შეიარაღებული ძალები უშუალოდ არ გამოუყენებიათ. ხომ შეიძლება, სეპარატისტულ აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთშიც ასე იმოქმედონ? მით უფრო, რომ „...განხილულ იქნას სამშვიდობო ოპერაციის ხასიათისა და შინაარსის... გაეროს წესდების ...ასეთ შემთხვევაში გამოყენებული ადექვატური ზომების საფუძველზე" შეცვლა სწორედ VII თავის გამოყენებას გულისხმობს.

**უკიდურესი ცინიზმი კი იცით რა არის? წერილის თავში მოტანილი ორი ამონარიდი გაეროს, ეუთოს, ევროკავშირის მიერ აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად მიღებულ დოკუმენტებთან სრულ შესატყვისობაში, შესაბამისად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის 1996 წლის 29 იანვრისა და 1998 წლის 28 მარტის სამიტებზე მიღებული გადაწყვეტილებებიდანაა...**

**კონსტანტინე გურგენიძე**

ფულს სუნი არ უდის

# „მაფია უკვდავია!"

## როგორ იჭრება მაყუთი კახა ლომაიას კანტორაში

**„მაფია უკვდავია!" წერილის სათაურად მოტანილი ეს ფრაზა, რომელსაც რუსულ-იტალიური მხატვრული ფილმის „იტალიელების საოცარი თავგადასავალი რუსეთში", გმირი წარმოთქვამს, ზუსტად მიესადაგება საქართველოს განათლების სისტემაში არსებულ მდგომარეობას.**

თავიდანვე მინდა განვაცხადო, რომ ამ წერილში არ იქნება ლოზუნგები: „ლომაია იუდა!" „ლომაია — სოროსის აგენტი!" „ლომაია — იელოველი!" უბრალოდ, განვიხილავთ განათლების სამინისტროში მოქმედი ჯგუფის მიერ საინტერესოდ განხორციელებული ოპერაციის ნიუანსებს. იმ ჯგუფისა, რომლის სათავეშიც განათლების მინისტრი კახა (ალექსანდრეძ ლომაია დგას.

იმას, რომ ქართული განათლების სისტემა დანგრევის პირასაა მისული, მტკიცება არ სჭირდება. ე.წ. „ვარდების რევოლუციამდე" არსებული 3200 სკოლიდან 2267 სკოლაა დარჩენილი, მაგრამ ე.წ. ოპტიმიზაციის საბაბით მათი რაოდენობა კიდევ უნდა შემცირდეს. თბილისში კი ამჟამად არსებული 198 სკოლიდან (რევოლუციამდე 220 სკოლა იყო) — 120 უნდა დარჩეს. ხომ კარგი სიტყვაა „ოპტიმიზაცია", მაგრამ, თუ სწორად მახსოვს, „ოპტიმიზაცია" არანაირად არ ნიშნავს განათლების „განადგურებას" და სკოლების ნაცვლად სამორინეების და საუნების გახსნას. დიახ, მოსპობას, რადგანაც რთულ გეოგრაფიულ რეგიონებში მცხოვრები ბავშვები, ფიზიკურად ვერ შეძლებენ ე.წ. „გაოპტიმიზებულ" სკოლებში სიარულს და განათლების გარეშე დარჩებიან. არც თბილისელ მოსწავლეებს ექნებათ უკეთესი მდგომარეობა, რადგან გამსხვილებულ კლასებში სწავლის დონე, რბილად რომ ვთქვა, მოიკლებს.

ამ თემაზე ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ჩემი წერილის მიზანია, განვიხილო ფულის შოვნის ერთი მეტად „საინტერესო" სქემა, რომელიც ალბათ თვით ალ კაპონეს ან ჩარლი ლუჩიანოსაც ალაფრთოვანებდა. მართლაც რა საჭიროა ავტომატებით ან ყუმბარმტყორცნებით სირბილი, როცა აქვე არიან სხვადასხვა სახის „ოპტიმიზაციითა" და „ტესტირებით" დაშინებული პედაგოგები და მათგან სულ თავისუფლად შეიძლება იშოვო რამდენიმე მილიონი? გაგიკვირდებათ და იკითხავთ, როგორო? პასუხი, როგორც ყველაფერი გენიალური, მარტივია.



იმისათვის, რომ რამდენიმე მილიონი იშოვო, საჭიროა შექმნა ოთხიოლე არასამთავრობო ორგანიზაცია და მათ მიანიჭო პედაგოგთა გადამზადების უფლება, საამისოდ საკუთარი ნიხრი (ანუ ტარიფიძ დააწესო: 8-დღიანი სწავლება — 128 ლარი და შედეგიც არ დააყოვნებს. რამდენიმე მილიონი ყოველგვარი სისხლიანი გარჩევების გარეშე წამოვა ე.წ. „რეფორმატორთა" ჯიბეებში.

ვიღაც იკითხავს, კი მაგრამ, რა არის ცუდი იმაში, რომ ჩვენმა პედაგოგებმა დამატებითი სწავლების კურსი გაიარონ და ფეხი აუწყონ თანამედროვეობის მოთხოვნებსო ან სადაა კანონის დარღვევა ამ სქემაშიო?

ახლავე აგიხსნით. პირველი და მთავარი: მოგეხსენებათ, რომ საჯარო მოხელეებს არა აქვთ უფლება შექმნან ან მონაწილეობა მიიღონ სამეწარმეო საქმიანობაში, ხოლო ნებისმიერი ორგანიზაცია, სადაც მოქალაქეებიდან, მათთვის სამსახურის გაწევის შემდეგ, რაღაც თანხები შედის, „საწარმოდ" მიიჩნევა. იმისათვის, რომ ეს მცირე უხერხულობა თავიდან აიცილო, საჭიროა დააარსო არა შპს, არამედ არასამთავრობო ორგანიზაცია და შეგიძლია მთლიანად აკონტროლო შემოსული თანხები ყოველგვარი ზედმეტი „მეწილეების" გარეშე (ისე, არასამთავრობო ორგანიზაცია ძალიან მაგარი რამაა. ყველაფერს უხდება. მაგალითისთვის შეგიძლიათ გაიხსენოთ ერთ-ერთი ცნობილი „მამაშა", რომელსაც ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია ჰქონდა დაარსებულიძ.

ასევე გაჩნდება მეორე კითხვა: კი, ბატონო, არის სასწავლო ცენტრი, მაგრამ თუ არ მინდა, ხომ არ გავივლი სწავლების კურსსო. პასუხი აქაც მარტივია. სამსახური ტელევიზორი არ არის, თუ არ მოგწონს, სხვა არხზე რომ გადართო. ნებისმიერი პედაგოგი, რომელსაც სურს შეინარჩუნოს თავისი 120-ლარიანი ხელფასი, იძულებული გახდება, იშოვოს „სწავლის" ფული და გაიაროს ის რაღაც კურსები (რომელიც, დარწმუნებული ვარ, ბევრს ვერაფერს ასწავლის ჩვენს მართლაც ღირსეულ და მცოდნე პედაგოგებს), თანაც, მაშინ, როდესაც პედაგოგზე არანაკლებ შეშინებული დირექტორი განაცხადებს ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს სამინისტროს ლიცენზიები აქვთო.

როგორ გგონიათ, რამდენი პედაგოგი გაბედავს ასეთ სწავლებაზე უარის თქმას?

**ახლა დავითვალოთ: საქართველოს 72000 პედაგოგიდან თუნდაც მესამედმა, ან მასზე ნაკლებმა, ვთქვათ, 20000-მა (უბრალოდ, დასათვლელადაა იოლიძ პედაგოგმა გაიარა იმ ავადსახსენებელი კურსების თუნდაც ერთთვიანი ციკლი. ამოცანა გვეკითხება: თუ 8-დღიანი სწავლება 128 ლარი ღირს, რა ეღირება 24-დღიანი სწავლება? დავიწყოთ ამოხსნა. ჯერ 24 უნდა გავყოთ 8-ზე. 24:8=3. ახლა 3 უნდა გავამრავლოთ 128-ზე. 3X128=384. აქვე ამოვხსნათ მეორე ამოცანა. თუ ერთი პედაგოგის ერთთვიანი სწავლება 384 ლარი ღირს, რამდენი ლარი „წავა" განათლების სამინისტროს ხელდასხმით შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციებში? ამოხსნა: 384X-20000=7 680 000 ლარი (შვიდი მილიონ ექვსას ოთხმოცი ათასი ლარიძ. ხომ შთამბეჭდავი ციფრია?**

იხ. 8 გვ.

# რა დღეში ვართ •

**ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური, სოციალური, მორალური და კრიმინალური პირობების ფონზე მოსახლეობაზე მეტად გამალიზიანებლად მოქმედებს ბაზრებში შექმნილი ქაოსი და განუკითხაობა. ხალხმა იცის, ხედავს თუ როგორ აკონტროლებენ და არეგულირებენ ფასებს მაფიოზური კლანები**



**◎ ორ ცეცხლს შუა**

## 1. თაღლითობაში ქალებმა კაცებს აჯობეს

**ქვეყანაში შექმნილმა უმძიმესმა სოციალურ-ეკონომიკურმა და დაძაბულმა კრიმინოგენურმა ვითარებამ სუსტი სქესის წარმომადგენლები აიძულა, აქტიურად ჩაბმულიყვნენ დანაშაულებრივ საქმიანობაში. ამის გამო, უმეტეს შემთხვევებში, ისინი გავლენიანი პირების ან კრიმინალური „ავტორიტეტების“ ზეგავლენის ქვეშ ექცევიან.**

ოფიციალური მონაცემებით, დღეისათვის სუსტი სქესის წარმომადგენლებში სჭარბობს თაღლითობის ფაქტები. მათში ყველაზე გავრცელებული ფორმებია ყალბი დოკუმენტების დამზადება-გასაღება, უცხოეთში წამსვლელთა და სამუშაოზე მოწყობის მსურველთაგან მოტყუების გზით ფულის გამოძალვა და ა. შ.

ბათუმელმა დალი ჭეიშვილმა ხელვაჩაურელ მერაბ ბერიძეს მეზღვაურად მოწყობისთვის ათასი დოლარი გამოსძალა. ამისათვის მომავალ მეზღვაურს ყალბი სერტიფიკატიც გაუჩარხა. საბოლოოდ ბერიძე მოტყუებული, ხოლო ყალბის მქნელი დაკავებული აღმოჩნდნენ.

თამილა ქურხულმა ყალბად შექმნა ფირმა, რომელიც მსურველებს ესპანეთში გამგზავრებასა და დასაქმებას ჰპირდებოდა. გამჭრიახმა ქალმა ისიც გათვალა, რომ შესაძლებელია წასვლის მსურველებს ხელზე სოლიდური თანხები არ ჰქონდათ. ამის გამო მათ მოუწევდათ ბინების, მანქანების, ძვირფასეულობის გირაოში ჩადება. ქურხულმა საქმეში მეგობარი ნინო კოროშინაძე ჩართო. მას ევალებოდა დამქირავებლებისთვის დახმარების გაწევა. იგი იძლეოდა გირაოზე ნოტარიუსის მოწმობებს. საბოლოო ჯამში „წყვილმა“ მსურველთაგან 20 ათასი დოლარი მიითვისა. ქურხული დააკავეს. გაირკვა, რომ მისი ფირმა არსად არ იყო რეგისტრირებული.

სამართალდამცავების განმარტებით, დაზარალებულებს მხოლოდ მაშინ აგონდებათ ისინი, როდესაც რწმუნდებიან, რომ მოატყუეს. თუმცა გვერდს უვლიან იმ საკითხებზე საუბარს, როგორ ახერხებენ ყალბისმქნელები შესაბამისი ბეჭდების, შტამპების მოპოვებას, არარეგისტრირებული ოფისების პრესტიჟულ რაიონებში განთავსებას შესაბამისი რეკლამებითა და უშველებელი წარწერებით. უპასუხოდ რჩება კითხვაც, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ, ვინც ყალბისმქნელებთან წინასწარ შეთანხმებით, გარკვეული თანხის გადახდის საფუძველზე შევიდა ალიანსში.

თაღლითობის ფაქტებზე ყალბისმქნელ ქალბატონთა პასუხისმგებლობაში მიცემის ფაქტები, დაფიქსირებულთან შედარებით უმცირესია. მართლმსაჯულება დათმობებზე მიდის (მომჩივანთა დაკმაყოფილება, საპროცესო გარიგება, პირობითი სასჯელი და ა. შ.). სულ სხვა მდგომარეობაა მსჯავრდებულთა შორის. აქ აშკარად სჭარბობენ ნარკოტიკებთან დაკავშირებით სასჯელმისჯილები. ძალიან ხშირად სუსტი სქესის წარმომადგენლებს ნარკობარიგები, დილერები კურიერებად, მეორე და მესამე ხელის გამსაღებლებად იყენებენ. ზოგჯერ მათ ასეთ დანაშაულზე ოჯახის წევრებიც უბიძგებენ.

მარნეულელებს საიდა საფაროვასა და საფირა ჯაფაროვას ქმრებმა თბილისში 10 გრამი „ჰეროინი“ გამოატანეს. მათ ისიც კი არ იცოდნენ, თუ ვინ უნდა მისულიყო ნარკოტიკების წასაღებად და ფულის გადასაცემად. დილერებმა შემთხვევით მათთან მიახლოებული სამოქალაქო ფორმაში მყოფ პოლიციელებს გადასცეს „წამალი“.

არცთუ იშვიათად შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ქალები თავად იწყებენ „ნარკობარონებისაგან“ ნარკოტიკების შესყიდვას და შემდგომ რეალიზაციას. მეტრო „ახმეტელთან“ დაკავებულ რიტა გერგედავას 5 შეკვრა „ოპიუმი“ აღმოაჩნდა. მას იგი კლიენტისთვის გადასაცემად ჰქონდა გამზადებული. მისი სახლის ჩხრეკის დროს გასაყიდად დაფასოებული 150 გრამი ნარკოტიკიც იპოვეს.

ასეთ შემთხვევათა უმეტესობაში სამართალდამცავები გაურბიან იმ პიროვნებებზე საუბარს, რომლებიც შემდგომი რეალიზაციის მიზნით შემოაქვთ ნარკოტიკების დიდი პარტია. თითქმის ყოველთვის საქმე რიგითი გამყიდველის გამოვლენა-დაკავებით მთავრდება.

მსჯავრდებულ ქალთა მოზრდილი ნაწილი კონტრაბანდული ტვირთის შემოტანა-გატანისთვის იხდის სასჯელს. ექსპერტები გაკვირვებას გამოთქვამენ იმ გარემოებათა გამო, რომ კონტრაბანდულ ტვირთებს ძირითადად აკავებენ საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლის შემდეგ. სპეციალისტთა მტკიცებით, გავრცელებული ინფორმაციები კონტრაბანდისტებთან ალიანსში მყოფი მებაჟეების გამოვლენის თაობაზე არასრულყოფილია, რადგანაც ფინანსური პოლიცია გაცილებით მეტ კონტრაბანდისტებს აკავებს, ვიდრე კანონდამრღვევი მებაჟე ისჯება.

ქალთა შორის დანაშაულის პრობლემების შემსწავლელი სპეციალისტების განმარტებით, მართალია სუსტი სქესის წარმომადგენელთა კრიმინალურ დაჯგუფებებში გაერთიანების ფაქტები იშვიათად ფიქსირდება, მაგრამ თავშისაცემია ამ კატეგორიის დამნაშავეთა ასაკის გაახალგაზრდავება. 19 წლის ია კუხელაშვილი მეგობარმა მამაკაცმა გლდანში სისორიების ოჯახში მიაგზავნეს. ქალმა ტელეფონზე დარეკვის მომიზეზებით ქაბატონს (გვარი არ სახელდება) კარი გაალებინა. ყაჩაღებმა ბინა პირწმინდად გაძარცვეს. 4 მათგანი დაკავებულია. თემქაზე მცხოვრებმა 21 წლის ნონა ჩიმაკიანმა თანამზრახველებთან იუზა ნორაკიძესა და გურგენ აბრამიანს მეზობლის, კლარა აბრამიშვილის ბინაზე ყაჩაღური თავდასხმა შესთავაზა. სამივე ეჭვმიტანილი დაკავებულია.

ექსპერტების განმარტებით, ამგვარ უკიდურეს ნაბიჯებს ქალებს, ძირითადად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, კრიმინალებთან დაახლოება აღგმევინებთ. ისინი, ფაქტობრივად, დანაშაულში ჩართული ხდებიან.

დურმიშხან შავგულიძე (შსს-ს ყოფილი ოპერატიული თანამშრომელი): „ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ორგანოს თანამშრომლები, უბნის ინსპექტორები ადგილებზე ვერ ფლობენ სიტუაციას. არ იციან, სად რა კონტინგენტი იკრიბება. არა აქვთ აგენტურული ქსელი“.

მოქმედი პოლიციელები მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ყოველ კორპუსთან თანამშრომელს ვერ დააყენებენ. მათ ამის არც ადამიანური სურვილი აქვთ და არც კანონით ევალებათ. არცთუ იშვიათად ბაზრობებზე მოვაჭრეები, ლომბარდის, ოქროს ჩამბარებელი ჯიხურების თანამშრომლები მანდილოსნები შეგნებულად მიდიან სისხლის სამართლის დანაშაულზე, როდესაც იციან ამა თუ იმ პირის დასაქმების სფერო და მაინც იბარებენ მისგან საეჭვო წარმომავლობის ნივთებს, ძვირფასეულობას.

ყოფილი პოლიციელების განმარტებით, ამგვარი განუკითხაობის მიზეზი ის არის, რომ შსს-ს შესაბამის სამსახურებს დაკარგული აქვთ კონტაქტები გამყიდველებთან, მათ უფროსებთან. არადა, კონტაქტების არსებობის შემთხვევაში მრავალი ყაჩაღობის, ქურდობის, ძარცვის ფაქტების გახსნაა შესაძლებელი.

მოქმედთა აზრით კი, საბაზრო ეკონომიკის, მძიმე სოციალური პირობების გათვალისწინებით, ძნელია მოსთხოვო გამყიდველს მისთვის ჩაბარებულ ყველა ნივთზე წარმომავლობის საბუთი.

ბოლო დროს ტრეფიქინგის წინააღმდეგ ქვეყნის სამართალდამცველების მიერ ატეხილი აჟიოტაჟი დასავლეთისთვის მოსაჩვენებელ შოუდ მიაჩნიათ ამ საკითხზე მომუშავე ზოგიერთ ექსპერტს. მათი აზრით, ჩვენგან დღესაც გაჰყავთ არა მხოლოდ „ბორდელში“ სამუშაო „ნედლეული“, არამედ მონებიც. ყველაფერი მოტყუებით ხდება. ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, აბსოლუტური უმრავლესობა მალავს თავისი დასაქმების სფეროს. „ნედლეული“ ჩვენგან სხვისი საბუთებით (ზოგჯერ გარდაცვლილების) გადის. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ უმჯობესი იქნებოდა, სამუშაოდ წამსვლელთა ჯგუფების, მათი ხელმძღვანელების წარმომავლობის უფრო ძირფესვიანი შესწავლა.

**ნელი ხაჟალია (ფსიქოლოგი): „დამნაშავე ქალთა ფსიქოლოგიამ ბოლო 3-5 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ძვრები განიცადა. დღეს სუსტი სქესის წარმომადგენლები არა იმდენად კარგი ცხოვრებისთვის სჩადის დანაშაულს, რამდენადაც თავის გადარჩენის, ოჯახის, ავადმყოფი ახლობლებისთვის ელემენტარული საარსებო სახსარის გამოძებნის მიზნით. რასაკვირველია, მათ დანაშაულებრივ ქმედებას არავითარი მორალური გამართლება ან თუნდაც გამართლება კანონის წინაშე არა აქვს, მაგრამ ხომ უნდა დაფიქრდეს ხელისუფლება, რატომ გაჩნდა უცებ ამდენი დამნაშავე ქალი. რატომ ჰყიდიან, სამშობიაროებში ტოვებენ ან სულაც ქუჩაში აგდებენ დედები ბავშვებს. სტატისტიკაში ხომ უნდა ჩაიხედოს ვინმემ, რის ნიადაგზე იმატა განქორწინებებმა, ბერზიქების და შინაბერების რაოდენობამ. რამდენი ოჯახისთვის დამთავრდა ეკონომიკურად გაუსაძლისი რეალობა ტრაგედიით (მკვლელობა, თვითმკვლელობა და ა. შ.). ხელისუფლების წარმომადგენელთაგან ხშირად გვესმის შეგონებები, მაგრამ არა პრობლემის ძირეული შესწავლის მცდელობა. დიახ, სწორედ სახელმწიფოა უმეტეს წილად დამნაშავე. მან უბიძგა ამ ხალხს დანაშაულის ჩადენისაკენ“.**

**◎ ბაზარი ჩვენი მღელვარებისა**

## 2. შეიძლება ერთ დღეს ხალხმა იფეთქოს და...

**ჩვენს აგრარულ ბაზრებში საგრძნობლად იმატა საკვები პროდუქტების ღირებულებამ. ეს გარემოება განპირობებულია ხელისუფლების მხრიდან ეკონომიკური პრობლემების მოუგვარებლობით, რასაც თან დაერთო ბუნებრივი მოვლენებიც. ექსპერტთა ვარაუდით, არასასიამოვნო ტენდენცია წლეულს კიდევ უფრო გაძლიერდება.**

ეკონომისტები ჩამოთვლილი პრობლემების გარდა, ბაზრის გაძვირებას იქ არსებული ქაოსითაც ხსნიან. მათი აზრით, აგრარულ ბაზრებს მთლიანად დაეპატრონნენ გადამყიდველები და მაფიოზური კლანები. სოფლიდან პროდუქციის ჩამომტან გლეხს ჩარჩები დილაუთენია ხვდებიან, თითქმის იძულებით ართმევენ პროდუქტს და ბითუმად შექმნილს 2-3-ჯერ ძვირად ჰყიდიან. თუ გლეხი გადაურჩა პირველ წინაღობას და ბაზრამდე მიაღწია, დგება დახლის პრობლემა. გადამყიდველებს, გავლენის მქონე პირებს წინასწარ აქვთ შესყიდული სავაჭრო ფართები. ისინი მშრომელ კაცს არაფრის გულისთვის არ უთმობენ დახლებს. მარწუხებში მოქცეული გლეხიც იძულებული ხდება, ჩამოტანილი პროდუქცია მათ დაუთმოს. გადამყიდველები კი ბითუმად შესყიდულს თავიანთ ფასებს ადებენ. მაფიოზური კლანები სრულად აკონტროლებენ და განსაზღვრავენ ფასებს. მათ ამგვარ ქმედებებს ხელს უწყობს ბაზრების დირექციების წაყრუება და როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ალიანსი.

როგორც ეკონომიკური დანაშაულის სფეროში დაკავებული ყოფილი პოლიციელები აცხადებენ, გამყიდველები ძალიან ხშირად მყიდველებს სასწორებითაც ატყუებენ. მიუხედავად იმისა, რომ „ვარდების რევოლუციამდე“ აგრარულ ბაზრებში ზამბარიანი სასწორებით ვაჭრობა აიკრძალა და ეს აკრძალვა დღემდე არავის შეუცვლია, კონტროლი ამ სფეროში არ არსებობს. თუმცა მომხმარებლებს არაზამბარიანი სასწორებით, გირებითაც ატყუებენ. სპეციალისტთა განმარტებით, ტექნოლოგია ასეთია – რკინის გირას ულებენ გულდას, მის მაგივრად კი ამონტაჟებენ ნაკლები წონადობის მასალას. შედეგად, როგორც მინიმუმი, გირა 250-300 გრამით მსუბუქი ხდება. მომხმარებელს შეგნებულად ატყუებენ წონაში.



„ვარდების რევოლუციამდე“ შსს მსგავსი დარღვევების გამოსავლენად პერმანენტულ რეიდებს ატარებდა. მას შემდეგ, რაც პოლიციას ეს ფუნქცია ჩამოართვეს, განმკითხავი არავინაა. არადა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლით მსგავსი ქმედება კვალიფიცირდება როგორც თაღლითობა (მოქალაქეთა პირადი ქონების მიღება მოტყუებით) და ისჯება თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე.

როგორც მოვაჭრეებთან კერძო საუბრისას გაირკვა, მსგავსი „გაკეთებული“ გირებისა და სასწორების მისაღებად სასწორების გამქირავებელთან გარკვეული თანხაა შესატანი. ინკოგნიტო რესპონდენტების (გვთხოვეს, ვინაობა არ დაგვესახელებინა) გადმოცემით, სწორედ ამ საკითხის გამო მოხდა გამქირავებლებს შორის სისხლიანი დაპირისპირება. ბაზრობა „შავი ზღვის“ გამქირავებელი პუნქტის თანამშრომელმა კახა ბასიშვილმა კოლეგა გიორგი კაჭკაჭიშვილი მოკლა. ჩვენი ინფორმაციით, მკვლელობის მიზეზი გახდა ის, რომ კაჭკაჭიშვილმა ბასიშვილის დაუკითხავად გასცა „გაკეთებული“ სასწორი. რასაც ჯერ სიტყვიერი შელაპარაკება მოჰყვა, მერე მკვლელობა. სამართალდამცავებმა, როგორც ჩანს, საქმის სიღრმისეულად გამოძიება საჭიროდ არ ჩათვალეს და მომხდარს, შელაპარაკების შედეგად განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია მისცეს.

ექსპერტების მოსაზრებით დღეს ჩვენს აგრარულ ბაზრებსა და ბაზრობებზე თვით მოვაჭრეებს შორის ურთიერთობების გარკვევა „ქველბიჭური“, მგლური კანონებით ხდება. კანონი ვერ არეგულირებს მათ შორის ურთიერთობებს სადავო პირობების წარმოქმნის შემთხვევაში. ასეთ პირობებში, ცხადია, ძირშივე კვდება კონკურენციის შესაძლებლობა. ყოველივე კი უაღრესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ჩვენი თანამოქალაქის ჯიბეზე ჰპოვებს ასახვას.

საქონლის ხორცის გამყიდველებს, მამა-შვილ გოგი და ლადო ტოტოღაშვილებს შელაპარაკება მოუვიდათ თავიანთ კოლეგა დათო იმერლიშვილთან. კონფლიქტის მიზეზი ის გახდა, რომ ტოტოღაშვილებმა კონკურენციის პირობებში პროდუქციაზე თანხა 50 თეთრით გააიაფეს. იმერლიშვილს კლიენტები შემოაკლდა, რაშიც ბრალი მამა-შვილს დასდო. მოხდა საქმის გარჩევა, რა დროსაც იმერლიშვილმა ორივე ტოტოღაშვილი დანით მძიმედ დაჭრა. შვილი, ლადო უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება. ეჭვმიტანილის დაკავების შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

სრული ქაოსია, ბაზრობებსა და „ბირჟებზე“ სამუშაოების მსურველთა განაწილების მხრივ. არ არსებობს არავითარი რიგითობა. სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად გამოსულნი არაპროფესიონალები არიან. არა აქვთ სპეციალობის დამამტკიცებელი ლიცენზიები. სამაგიეროდ სამუშაოებს იაფად ასრულებენ. მოსახლეობის უმეტესობაც გამოუვალ მდგომარეობაში მათ მიმართავს. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების შემდეგ დამკვეთს „ბირჟავიკის“ მოძებნა უჭირს. ამ კატეგორიის ხალხის უმეტესობა რაიონებიდანაა. ჩამოსულთა უმრავლესობა არღვევს კანონს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ. კანონის შესრულებას კი მათგან არავინ ითხოვს. სამუშაოების მიღების მსურველები ხშირად ცდილობენ, დამქირავებელი წაართვან კოლეგას. აქაც კანონი ვერ არეგულირებს კონკურენციის პირობებს, ყოველივე ეს კი, არცთუ იშვიათად, კონფლიქტებით მთავრდება.

კოლეგებმა ლევან მელანაშვილმა და ვასილ ზანგალაძემ კლიენტი ვერ გაიყვეს და ურთიერთშეურაცხყოფაზე გადავიდნენ. მოჩხუბრები გააშველეს. ორივემ გულში ჩაიდო წყენა. რამდენიმე დღის შემდეგ მათი საქმის გასარჩევად შეხვედრა ზანგალაძის მკვლელობით დასრულდა. მელანაშვილს სასამართლომ 7 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

**ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური, სოციალური, მორალური და კრიმინალური პირობების ფონზე მოსახლეობაზე მეტად გამალიზიანებლად მოქმედებს ბაზრებში შექმნილი ქაოსი და განუკითხაობა. ხალხმა იცის, ხედავს თუ როგორ აკონტროლებენ და არეგულირებენ ფასებს მაფიოზური კლანები, როგორ ხელოვნურად ზრდიან ისინი ფასებს. ყველასათვის ყველაფერი ნათელია, მაგრამ მოსახლეობა ჯერჯერობით დუმს. ადვილი შესაძლებელია, სოციალურად შეჭირვებულმა ხალხმა ერთხელაც იფეთქოს და ამის მიზეზი ერთი შეხედვით უმნიშვნელო ობიექტი – ბაზარი გახდეს.**

**ზაზა ბილიხოძე**

# მსოფლიო ლიტერატურა

**რასაც გიყვებით, 1989 წლის 2 იანვრის ღამეს მოხდა, აგულიას ნეგრას (შავი ნემსების) სახელით ცნობილი მთაგრეხილის ერთ-ერთ მწვერვალზე ვიყავით ასულნი**



## ჩვენი ბიბლიოთეკა

**იმათ თქვეს: „უფალო, აჰა, აქ ორი მახვილია“.
მან კი უთხრა იმათ: „კმარა“.
ლუკას სახარება 22:38.**

## პროლოგი

— აწლა იღონე რამე, შენ წინაშეა RAM თავისი საღმრთო სახით, შეახე ხელი ცხოვრების სიტყვას და მოინაგრე ძალა, რომელიც უფლისა მოწმეობისათვის დაგეჭირვება.

მოძღვარმა მაღლა აღმართა ჩემი ქარქაშიანი ახალი მახვილი. კოცონს მიმატებული ფიჩხი ტკრციალით აბრიალდა, რაც კარგის მომასწავებელი იყო: მაშასადამე, ერთი შვიდთა საიდუმლოთაგანი უნდა განგვეგრძო. დავიხარე და შიშველი ხელებით დავიწყე ჩემ ქვეშ მიწის თხრა.

რასაც გიყვებით, 1989 წლის 2 იანვრის ღამეს მოხდა, აგულიას ნეგრას (შავი ნემსები) სახელით ცნობილი მთაგრეხილის ერთ-ერთ მწვერვალზე ვიყავით ასულნი. ჩემ და მოძღვრის გარდა, ამ ამბავს ესწრებოდნენ: ჩემი ცოლი, ჩემი მოწაფე, ადგილობრივ მცხოვრებთაგან შერჩეული ყოლაუზი და უმსხვილესი კონგრეგაციის წარმომადგენელი, რომელი კონგრეგაციაც მთელი მსოფლიოს ეზოტერიკულ ორდენთ აერთიანებს და რომელსაც „ტრადიცია“ ჰქვია. ხუთივენი — ყოლაუზის ჩათვლით, წინასწარ გვყავდა გაფრთხილებული, რაც უნდა მომხდარიყო, — შევიკრიბენით RAM ორდენის ოსტატად ჩემი კურთხევის ცერემონიაზე.

და აი გავთხარე არცთუ ღრმა, მაგრამ საკმაოდ გრძელი ორმო. და ამ წამის მნიშვნელობის ღრმა შეგნებით ხელი შევახე მიწას, თანაც რიტუალურ ფორმულას წარმოვთქვამდი. ზედდატანებაზე თავს წამომადგა ცოლი და მახვილი გადმომცა, რომელსაც მთელი ათი წელიწადი ვიყენებდი, როცა კი ვმოგვობდი და სათანადო წესს რასმე ვასრულებდი. მრავალგზის აზარათავებული მახვილი ორმოში ჩავდე, მიწა წავაყარე, მოვასწორე, და ამასობაში მიმოგონებად გამირბინა თავში სუყველა გადატანილმა განსაცდელმა, ყველაფერმა ერთად, რაც რამ შეცნობილი მქონდა, და არა ერთმა და ორმა იმ ზებუნებრივმა მოვლენამ, რომელთა გამოხმობაც ჩემი ძველი ერთგული მახვილის წყალობით მესწავლა. აწ ამ ჩემს მახვილს მიწა შეჭამს — მსწრაფლ მკვეთელი ფოლადი და ვადის ხე, ანუ კოტა, იმ წყაროსთავს გამოკვებავენ, საიდანაც ისინი თავიანთ ძალას იცემდნენ.

მოძღვარი მომეახლოვა, ძირს, მიწაზე, ახალი მახვილი დადო — ზედ იმ ადგილას, სადაც ქვეშ ძველი ეფლა. სუყველა იქ დამსწრემ ფართოდ გაშალა ხელები, და მოძღვრის ნებით ჩვენ გარშემო უცნაური, არცრის გამსინათებელი, მაგრამ აშკარად ხილული შუქი გაჩნდა, და აწ, გარდა იმისა, რომ კოცონის უთვალავი მოყვითალო ათინათი გვაცისკროვნებდა, ყველანი რაღაც სხვანაირად გავბრწყინდით. მოძღვარმა თავისი საკუთარი მახვილი ამოიწვადა, ჯერეთ შუბლზედ შემახო, მერე ერთ მხარზე, მერე — მეორეზე, და წართქვა:

— RAM ორდენის ძალმოსილებითა და სიყვარულით ამიერიდან და სიცოცხლის ბოლომდე ამ საზოგადოების ოსტატად და რაინდად დამინიშნიხარ. R - regnum, A - agnus, M - mundi*. დაიხსომე, მახვილსა ამას ქარქაშის ტყვედ ნუ აქცევ, რამეთუ იარაღი უმოქმედობით ჟანგდება. ოღონდ, როს იშიშვლებ, უკან მანამ აღარ ჩააბრუნო, სანამ კეთილსა რასმე არ იზამ, გზას არ გააკაფვინებ და მტრის სისხლით არ გააძღობ.

და მახვილის წვერი ოდნავ წამკრა შუბლში. ამ წუთიდან ჩემი დუმილი აღარ ეგებოდა. რის თავიც მქონდა და რაც შემეძლო, უნდა გამომეჩინა. გარშემომყოფთაგან არცვის არ დავუმალავდი და არ დავუფარავდი სასწაულთა მოხდენის არცრა ახალშეძენილ ცოდნას. ამ წუთიდან მოგვი გავხდი, გრძნეული.

და ხელი გავიწოდე ახალი მახვილისკენ, რომლის მსწრაფლ მკვეთელი ფოლადიც არცროდის არ დალაბრდება და არ დაიკბილება, რომლის კოტა-ვადის შავსა და წითელ ხეს ვერცროდის ვერ შეჭამს მიწა. მაგრამ როგორც კი ჩემი თითები ოდნავ შეეხნენ ახალ შავქარქაშიან მახვილს, მოძღვარმა ანაზდად წინ გადმოდგა ნაბიჯი და ისე მოწყვეტით დამადგა ფეხი ხელზე, რომ ტკივილისგან შევყვირე და ეგრევე გავუშვი მახვილს.

გაოგნებული, შემცბარი შევყურებდი მოძღვარს. უცნაური რამ შუქი გაქრა, და კოცონის ანარეკლში ის მოჩვენებასავით ჩანდა, სახის მოხაზულობა მთლად ფანტასმაგორიული გაუხდა.

ყინულოვანი მზერა რომ მიმომავლო, მან ჩემს ცოლს თავისთან მიუხმო და ახალი მახვილი გადასცა. მერე კი მე მომიბრუნდა:

— აიღე ეგ შენი ხელი, მაგან გაცდუნა! ტრადიციის გზა ერთი მუჭა რჩეულთა კი არა, სუყველას გზაა! თავი მგონიაობით ძლევამოსილად მიგიჩნევია, მაგრამ ეგ შენი ძლევამოსილება ჩირადაც არა ღირს, რამეთუ სხვა კაცთა თანა გაუზიარებელია. ხელი არ უნდა წაგცდენოდა, უნდა უარგეყო, ვალდებული იყავი, და მახვილიც სამართლიანად დაგინარჩუნდებოდა, რადგან სულით სპეტაკი დაშთებოდი. მაგრამ, რისაც მეშინოდა, გადამწყვეტ წამს წაბორძიკდი და წაიქეცი. ამად საკუთარი სიხარბისა გამო დასჯილი კვალად უნდა შეუდგე შენი მახვილის ძებნას. მედიდურობისა გამო დასჯილმა კი ჩვეულებრივ კაცთა შორის უნდა ეძებო. ხოლო სასწაულთმოქმედებით გატაცებისა გამო დასჯილს მრავალი დაბრკოლების გადალახვა და არცთუ ნაკლები სიძნელის დაძლევა მოგიხდება, სანამ იმას ისევ მოიპოვებდე, რაც ლამის სულ იოლად არ ჩაგივარდა ხელში.

მომეჩვენა, რომ ფეხქვეშ მიწა მეცლებოდა. კვლავინდებურად მუხლებზე ვიდექი. მეტყველების უნარი წამრთმეოდა და არაფერზე აღარ მინდოდა ფიქრი. ჩემი ძველი მახვილი მიწაში ეფლა და აწ უკვე ველარ მოვივარგებდი. ხოლო უახლოდ აღუჭურველი თავად სათავეს მივუბრუნდი და ამწუთას ყოვლის უფრო ჩვეულებრივ კაცად ვიქეცი — უმწეო და უძლურ კაცად. გულსავსების დღეს, კურთხევის ჟამს ხელზე რომ შემდგა, მოძღვარმა უკან მომისროლა — სიძულვილისა და დედამიწის სამყაროში გადამიძახა.

ყოლაუზმა კოცონი ჩააქრო. ცოლი წამოდგომაში შემეშველა. ხელთ ჩემი ახალი მახვილი ეჭირა, რომელსაც, ორდენის კანონთა თანახმად, თითსაც ვერ დავაკარებდი, უკეთუ მოძღვარი ნებას არ დამრთავდა. ყოლაუზის ფარანს მდუმარედ ადევნებულთ ტყე გავიარეთ და ვიწრო ყამირგზაზე დავეშვით, სადაც მანქანები გვეყენა.

არცვინ არ გამომშვიდობებია. ცოლმა მახვილი საბარგულში ჩადო და მანქანა დაქოქა. სანამ ის ოკრობოკრო და ოღროჩოღრო ადგილთ ნელა უვლიდა გვერდს, კრინტი არცვის არ დაგვიძრავს.

— დაწყნარდი, — მითხრა მან გულის გასაკეთებლად. — დარწმუნებული ვარ, რომ იპოვი.

მოძღვარმა რა გითხრა-მეთქი, ვკითხე.

— სამი რამ მითხრა. ჯერეთ ერთი, თბილად უნდა გვცმოდა, რადგან ზემოთ იმაზე მეტად ციოდა, ვიდრე მეგონაო. მეორეც, რაც მოხდა, სულაც არ აკვირვებს: მსგავსი რამ თურმე ბევრს გადახდენია მანდ, სადაც შენ იყავი, და მესამეც, შენი მახვილი განსაზღვრულ საათს, განსაზღვრულ დღეს და იმ გზის განსაზღვრულ წერტილში დაგელოდება, რომელი გზის გავლაც მოგიწევს. ვერ გეტყვი, არ ვიცი, რა დღე და საათი იქნება. მან მხოლოდ ის ადგილი დამისახელა, სადაც მახვილი უნდა გადავმალო, რათა მერე შენ მოიძიო.




— რა გზა უნდა გაიარო, რა თქვა? — ვკითხე აფორიაქებულმა.

— გასაგებად არ განუმარტავს. მარტო ის მითხრა, ესპანეთის რუკაზე შუა საუკუნეების დროინდელი გზა იპოვოს, რომელსაც ს ა ნ ტ ი ა გ ო ს  გ ზ ა ჰქვიაო.

**ბ**აჰადასის აეროპორტში მებაჟე დიდხანს ათვალიერებდა მახვილს, მერე კი მკითხა, რა მიზნით მიგაქვთ, რას უპირებთო. „ისეთს არაფერს, — მივუგე. — მეგობრები დაგვპირდნენ, შეგიფასებთო, ჩვენ კი აუქციონზე გავიტანთ-მეთქი“. ტყუილი წაგვადგა: მებაჟემ გვირჩია, მახვილი დეკლარაციაში შეიტანეთ და აქეთობისას თუ სირთულეს რასმე წააწყდეთ, დეკლარაცია წარმოადგინეთო.

ავტომობილების გამქირავებელი კომპანიის დახლთან მივედით და დავადასტურეთ ჩვენი დაკვეთა ორი მანქანის დაქირავების თაობაზე. სანამ ერთმანეთს დავშორდებოდით და სხვადასხვა მხარეს წავიდ-წამოვიდოდით, რესტორანში წახემსება გადავწყვიტეთ.

მთელი ღამე თვალი არ მოგვეხუჭა — გადაფრენის შიშმა თავისი ქნა, გულს გვიწვრილებდა იმის წინათგრძნობა, რაც მიწაზე დაშვების მერე გველოდა, მაგრამ ახლა ორივენი აწრიალებულნი ვიყავით: ძილი არც ერთს არ გვეკარებოდა.

— დაწყნარდი, — მეათასედ მიმეორებდა ცოლი. — საფრანგეთში რომ ჩახვალ, იქ სენ-ჟან-პიე-დე-პორში მადამ დებრილს მონახავ. ის მოგიძებნის საჭირო ხალხს, ვინც სანტიაგოს გზაზე დაგაყენებს.

— შენ რას იზამ? — მეათასედ ვკითხე, თუმცა პასუხი წინასწარ ვიცოდი.

— რას ვიზამ და იქ წავალ, სადაც წასასვლელი ვარ და იმას ვიზამ, რაც დამევალა. მერე რამდენიმე დღე მადრიდში დავრჩები და დავბრუნდები ბრაზილიაში. იქაურ საქმეებს უშენოდაც მივხედავ და არცთუ შენზე უარესად.

— ეჭვიც არ მეპარება, — უნდომანდოდ მივუგე, რადგან არ მინდოდა ამ თემაზე ლაპარაკის გაგრძელება.

თუმცაღა მოსვენება მქონდა დაკარგული ბრაზილიაში დარჩენილი საქმეებისა გამო. აგულიას ნეგრასზე მომხდარი ამბის შემდეგ უკვე ორ კვირაში ყოველივე ზედმიწევნით ვიცოდი, რაც კი რამ სანტიაგოს გზას შეეხებოდა, ოღონდ მთელი შვიდი თვე გახდა საჭირო, ვინემ ყველაფერზე ხელს ავიღებდი და გზას დავემწყემსებოდი. ფეხს მანამ ვითრევდი, ვაჯანჯლებდი წასვლას, სანამ ერთხელაც დილით ცოლმა არ მითხრა, დრო იწურებაო. უკეთუ გუდა-ნაბადს არ ავიკრავდი და გზას არ დავადგებოდი ტ რ ა დ ი ც ი ა ც გულიდან გადამვარდებოდა და RAM ორდენიც. მოძღვარმა შეუსრულებელი რამ დამაკისრა და ჩემი ცხოვრების წესსა და რიგს აგრე ჰაიჰარად ვერ უკუვაგდებ-მეთქი, ვცადე ცოლისთვის ჩემი მდგომარეობის ახსნა. ცოლმა პასუხად გამიღიმა და მითხრა, ტყუილად ნუ ეძები ღობე-ყორეს, მთელი ეს შვიდი თვე სულ წასვლა-არწასვლაზე ფიქრობ და სხვა რამ არც გაჯავრებსო. მერე, ვითომც არცრა განსაკუთრებული ამ ამბავში არ იყო, ორი ავიაბილეთი აიღო უკვე გაფრენის თარიღაღნიშნული.

— აქ რომ ვართ, სულ შენ გამოა, — პირქუშად ვეუბნებოდი ახლა რესტორნის მაგიდასთან მჯდარი. — მგონი, სწორად არ მოვიქეცი, როცა სხვას გადავაწყვეტინე მახვილის საძებნელად ჩემი წასვლის ამბავი.

ცოლმა, სისულელის ლაპარაკს ის გვირჩევნია, რაც მალე დავემშვიდობებით ერთმანეთს, ჩვენ-ჩვენს მანქანებში ჩავსხდებით და წავალთ-წამოვალთო.

— ნუ იგონებ, შენს გადასაწყვეტს არცროდის ვისმეს არ გადააწყვეტინებდი, მით უმეტეს, ამისთანა მნიშვნელოვან საქმეში. წავედით. უკვე გვიანია. — მითხრა ცოლმა და წამოდგა, ჩანთის თასმა მხარზე გადაიგდო და სადგომისკენ გაეჩქარა.

არ შემიჩერებია, არ წახვიდე-მეთქი, არ მითქვამს, ჩემთვის ვიჯექი მაგიდასთან და ვუყურებდი, როგორ დაუდევრად მიჰქონდა იღლიაში ამოჩრილი ჩემი მახვილი: ცოტაც და, დაუცურდებოდა. უეცრად შეჩერდა, მაგიდასთან მობრუნდა და ხმიანად ჩამპროშტნა. ამ კოცნამ უცებ მიმახვედრა: ესპანეთის იქით გზა არა მქონდა. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ყველაფერი იქნებ ყირამალაც დადგეს და ჩაიფუშოს, მაგრამ პირველი ნაბიჯი გადადგმულია. და ცოლი გულში ჩავიხუტე, ამ ჩახუტება-ჩაკონებაში მთელი ჩემი სიყვარული ჩავაქსოვე, და ვილოცე ყველაფრისათვის, რაც რამ მწამდა, სუყველასათვის, ვისაც ვენდობოდი, და ზეცას შევეწუკვე, ცოლთან და მახვილთან ერთად დაბრუნება შემაძლებინე-მეთქი.

— მართლა, ლამაზი მახვილია, არა? — მეზობელი მაგიდიდან მომესმა ქალის ხმა.

— კარგი, ეგრე იყოს, — გამოეხმიანა მამაკაცის ხმა.— ზუსტად მაგისთანას გიყიდი. აქ სადაც კი სუვენირებით ვაჭრობენ, სუყველგან სავსეა ეგენი.

საჭესთან ერთი საათის ჯდომამ დაღლილობაც მაგრძნობინა და უძილოდ გატარებული ღამეც. და, გარდა ამისა, აგვისტოს პაპანაქებისგან ისე იყო ჰაერი გავარვარებული, რომ, მართალია, თავისუფალ გზატკეცილზე კი მიქროდა, მაგრამ მანქანამ გადახურება დაიწყო. მცირე ხნით ერთ-ერთ პატარა დაბაში ჩამოხდომა გადავწყვიტე: გზის მაჩვენებლები იუწყებოდნენ, რომ ეს დაბა ეროვნული ძეგლი იყო. და დამრეცი გორაკის ფერდობს რომ შევუდექი, მეხსიერებაში ერთხელ კიდევ გადავჩხრიკე ყველაფერი, თუ რამ სანტიაგოს გზაზე გამეგონა.



თარგმნა
**გურამ გოგიაშვილმა**
(გაგრძელება იქნება)

---

** Regnum - ზეობა, agnus - ტარიგი, mundi - მშვიდობა (ლათ.)*

---

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 32.

**თურმე, რის – „იუდა“, რა „იელოველი“. როგორც აღმოჩნდა, განათლების სამინისტროში ჩვეულებრივი ფულის მკეთებლები ყოფილან, უბრალო „ცეხავიკები“ (რა თქმა უნდა, ყველა არა, მაგრამ – მაინცძ, ხოლო რეფორმების ყოვლად მიუღებელი იდეოლოგიური მხარე ამ მერკანტელიზმის შესანიღბად ყოფილა საჭირო**



ადამიანი დროში

# ყველა გემზე უფრო ძვირი და შეუფასებელი

**მედიცინა ადამიანური შემოქმედების ის სფეროა, რომლისადმი რწმენა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეირყეს, – ასე დაიწყო ჩემთან საუბარი ექიმმა რეზო სალაყაიამ.**

სამწუხაროდ, მომრავლდნენ ექიმისდიპლომიანი ადამიანები, და არა ჭეშმარიტი მკურნალები, მაგრამ ამავდროულად ისე უნდა მივიღოთ გადამჭრელი ზომები მათ მიმართ, სხვა მედიკოსებს ავტორიტეტი არ შეელახოთ.

ამ საუბარში რომ ვიყავით, კარი მადლიერმა პაციენტმა შემოაღო და ბატონ რეზოს გადაეხვია.

– გმადლობთ ექიმო, სანამ ვიცოცხლებ, სულ თქვენს ლოცვაში ვიქნები, – მერე მე მომიბრუნდა და მითხრა: – ქალბატონო, ბატონი რეზო იმ პლეადის ექიმია, ვინც პროფესიონალიზმითა და ადამიანურობით გამოირჩევიან. ის ყველაფერს უანგაროდ აკეთებს, ადამიანს სიცოცხლე რომ გაუხანგრძლივოს. ბატონმა რეზომ, ო, არა, არაო, – ამის თქმაღა მოახერხა მხოლოდ და პატარა ბავშვივით დამორცხვებულმა თავი დახარა.

პაციენტი რომ გავიდა, მომიბრუნდა და მითხრა:

– ყველაფერს ფულზე ხომ ვერ იყიდი. ყველა მატერიალურ სიკეთეზე უფრო მეტად ამ სიტყვას ვაფასებ – „გმადლობთ“. მასში ადამიანური ურთიერთობის სილამაზის რამდენი გულწრფელობაა. ეს სიტყვა ორივეს უთბობს გულს – ავადმყოფსაც და ექიმსაც.

სალაყაიების ოჯახი სამტრედიაში ცხოვრობდა, სამ შვილს – ორ ვაჟსა და ერთ გოგონას ზრდიდნენ. დედა პედაგოგი იყო, მამა – ეკონომისტი, მედიცინასთან არავითარი შეხება არ ჰქონდათ. რეზომ მშობლების რჩევით შეიტანა სამედიცინო ინსტიტუტში საბუთები. სკოლაში წარჩინებულ მოსწავლეს არ გასჭირვებია მისაღები გამოცდების ჩაბარება, ინსტიტუტშიც გამორჩეული სტუდენტი ერთხანობა სტალინური სტიპენდიატიც იყო. უნდოდა, მეცნიერებას გაჰყოლოდა.

ორი წლის სტაჟი თუ არ გექნებოდა, მაშინ ასპირანტურაში არ იღებდნენ. პატრონი არ მყავდა და ხან ქირურგიაში მოვსინჯე ძალები, ხან – მიკრობიოლოგიაშიო, მეტყვის შემდეგ. ინსტიტუტი დაამთავრა და ბელორუსიაში გაანაწილეს. ქალაქ აშმიანში, ქირურგიულ განყოფილებაში მოუხდა მუშაობა ასსაწოლიან საავადმყოფოში. ომისშემდგომი პერიოდი იყო და საავადმყოფო დაჩირქებული ავადმყოფებით იყო სავსე. ვმკურნალობდით ანტიბიოტიკებით და სასურველ შედეგს ვერა და ვერ ვაღწევდით.

გამოცდილ ექიმს რეზომ მოსაზრება გაუზიარა, ვფიქრობ, ანტიბიოტიკი არტერიაში რომ შევიყვანოთ, უფრო სწრაფად მოერევა ავადმყოფობასო. ექიმი დათანხმდა. მართლაც ძალიან კარგი შედეგი მიიღო, ავადმყოფებმა ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს გამოჯანმრთელება. ქართველი ექიმი ისე დახელოვნდა, ყველა მას მიმართავდა დასახმარებლად.

სწორედ იქიდან გააგზავნეს მოსკოვში კვალიფიკაციაზე ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის კათედრაზე ცნობილ მკურნალ ერმოლოვასთან. ეს ის ქალბატონი იყო, პენიცილინი რომ გამოიგონა.

– ძალიან კარგი ექიმების და, ამავე დროს, კარგი ადამიანების წრეში აღმოვჩნდი და ბევრი რამ ვისწავლე მაშინ ისეთი, რომელიც შემდგომ პრაქტიკაში ძალიან გამომადგა, – მეუბნება ბატონი რეზო.

საქართველოში რომ დაბრუნდა, ჯერ ბოლნისში იმუშავა, მერე – მშობლიურ სამტრედიაში, სადაც ბაქტერიოლოგად მოღვაწეობდა. შემდეგ – კვალიფიკაცია თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის კათედრაზე. – გამგე იყო ეკატერინე ნემსაძე, დოცენტი – ქეთევან ბაღდიევა. იქ შესთავაზეს თემის დამუშავება „ბაქტერიების ელფორმა“. ამ თემამ დიდი მოწონება დაიმსახურა, კათედრაზეც წააკითხეს. იმავდროულად, ბავშვთა კოლიენტირეტები და მისი დიაგნოსტიკის დაჩქარებული მეთოდიკაც შეიმუშავა. თუ მის გამოკვლევას მანამდე 4 დღეს სჭირდებოდა, რეზო მას მხოლოდ 18 საათს ანდომებდა. ამით გაუმჯობესდა ამ დაავადების დიაგნოსტიკა. ეს შრომა საკავშირო სამედიცინო ჟურნალში დაიბეჭდა და დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა.

ამ დროს თბილისში უროლოგიის ინსტიტუტი გაიხსნა. აკადემიკოსმა ალექსანდრე წულუკიძემ დოცენტი ქეთევან ბაღდიევა მიიწვია ლაბორატორიაში. ქალბატონ ქეთევანს გაახსენდა ახალგაზრდა, ნიჭიერი ექიმი და ანტიბაქტერიულ და იმუნოლოგიის ლაბორატორიაში გადაიყვანა სამუშაოდ.

– განსაკუთრებულად მეხმარებოდა პროფესორი ნიკოლოზ იზაშვილი, – მეუბნება ბატონი რეზო. ის ძალიან ერუდირებული, კარგი ექიმი იყო, რომელთანაც შემდგომ ერთად გამოვაქვეყნეთ ბევრი სამეცნიერო ნაშრომი.

სწორედ მან გადაიყვანა ავადმყოფებთან და უთხრა, დროა პოლინეფრიტებზე და პროსტატებზე, საშარდე ორგანოების ჩირქოვან ანთებით დაავადებებზე იმუშაოო.

„ინფექციის პროფილაქტიკა და მკურნალობა“ – ასეთი იყო თემა, რომლის დამუშავებაც დაიწყო. ჯერ იყო საკანდიდატო, შემდეგ – სადოქტორო დისერტაცია.

– შენი გამოცდილება ძალიან გამოგადგება. კონსერვატულ უროლოგიაში ყველაზე წამყვანი შენი მეთოდი იქნება, – მითხრა ბატონმა ნიკოლოზმა და პაციენტებიც მომცეს. იმ დღიდან დავიწყე ავადმყოფების მკურნალობა. იმ დროს ჩვენი საავადმყოფო გადატენილი იყო. პაციენტები არ მაკლდა და დღემდე ასე მოვდივარ, – სანდომიან სახეზე ნათელი გადაეფინა ბატონ რეზოს.

ჩვენი საუბრის დროს ბატონ რეზოსთან ხშირად შემოდიოდნენ ექიმები და რჩევას ეკითხებოდნენ. ისიც ბოდიშს გვიხდიდა და დინჯად, აუჩქარებლად, ნათლად უხსნიდა, თუ რა იყო ამჯერად გასაკეთებელი.

სამი ქალიშვილის მამაა ბატონი რეზო – ნანა იქვე რეანიმაციის განყოფილებაში მუშაობს, შუათანა მაკა ბიოლოგია, ლელა – „პეესპეში“ მენეჯერია.

– ეჰ, რაც მეუღლე გარდამეცვალა, ისე ყოჩაღად ვეღარ ვარ, – ამოიოხრა ბატონმა რეზომ.

– ოქროს ხელები აქვს ჩემს მეგობარს, – ჩაგვერია საუბარში დამსახურებული ექიმი გივი გეგეშიძე, – რა არ გამოუდის ხელიდან. ტექნიკა მიყვარსო, – იღიმება ბატონი რეზო, – ბოლნისში რომ ვმუშაობდი, საავადმყოფოს სინათლე წესიერად არ მიეწოდებოდა. ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, მდინარე გამომეყენებინა, რომელიც საავადმყოფოს გვერდით ჩამოუდიოდა. პატარა ჰესი ავაშენე და გავაჩახჩახე ირგვლივ ყველაფერი. არც ფეხსაცმლის და ტანსაცმლის კერვაა ჩემთვის უცხო, მეხერხება ყველაფერი. ასე ვიცხოვრე პატიოსნად, თუმც დიდი ფულის შოვნის საშუალებაც მქონდა.

1992 წელს, არეულობა რომ დაიწყო, მოვიდა ერთი ჩემი მეგობარი და სხვა სამსახურში გადასვლა შემომთავაზა – წამოდი ჩემთან, ფულს გაგაკეთებინებ, თორემ აქ შიმშილით სული ამოგხდებაო. სასტიკი უარი ვუთხარი. ვერ წამოვალ, ავადმყოფის გარეშე არსებობა არ შემიძლია-მეთქი. ის კი არა, ახლაც ხშირად – არ ვაჭარბებ – ჩემი საკუთარი წამლები მიმიცია, როცა ვხედავ, რა გაჭირვებულია ავადმყოფი. იმ ჩემს მეგობარს კი დღეს საკუთარი გემი ჰყავს.

არ ვიცი, ბატონ რეზო სალაყაიას მეგობარი ვინ არის, მაგრამ ვიცი, რომ მადლიერი პაციენტებით და საყვარელი კოლეგებით არის გარშემორტყმული. აი, ეს გახლავთ მისი აურაცხელი სიმდიდრე, ყველა გემზე უფრო ძვირი და შეუფასებელი.

**მარადი ანასაშვილი**

ჯავარ ლომაძის ფოტო

ფულს სუნი არ უდის

# „მათია ოკვდავის!“

(მეხუთე გვერდიდან)

არანაირი ავტომატი, არანაირი „რაზბორკა“, არანაირი „დაპადიეზდება“ უბრალოდ, „Надо сделать такое предложение, от которого не отказаться!“ (დონ კორლეონე, კ/ფ „ნათლია“) და რაც ყველაზე მთავარია, არანაირი გარანტია, იმისა, რომ ამ კურსების გავლის შემდეგ ნამდვილად შეგინარჩუნდება სამსახური (დონ კორლეონე კი, ლომაიასგან განსხვავებით, გარანტიებს იძლეოდა), თანაც კურსების გავლის პროცესში გაცილებით უფრო ადვილია შეარჩიო ისეთი პედაგოგები, რომლებიც სრულად მოერგებიან ე.წ. „რეფორმას“, სრულად გაიზიარებენ განათლების სისტემის დანგრევის კურსს და, ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის სწავლების ნაცვლად, ემანუელას „გრძნობების“ აღწერას დაავალებენ მოსწავლეებს (იმედი მაქვს, ასეთი „პედაგოგების“ რაოდენობა ძალიან მცირე იქნება).

თურმე, რის – „იუდა“, რა „იელოველი“. როგორც აღმოჩნდა, განათლების სამინისტროში ჩვეულებრივი ფულის მკეთებლები ყოფილან, უბრალო „ცეხავიკები“ (რა თქმა უნდა, ყველა არა, მაგრამ – მაინცძ, ხოლო რეფორმების ყოვლად მიუღებელი იდეოლოგიური მხარე ამ მერკანტელიზმის შესანიღბად ყოფილა საჭირო. თავისთავად ცხადია, რომ ბევრად



უფრო ადვილია აიცილო ბრალდება მრწამსზე, შეხედულებებზე და ბრალმდებელს იქით დააბრალო „შავრაზმელობა“ ან ჩამორჩენილობა, ვიდრე ფულის კეთებაში გამხილოს ვინმემ. ფულის კეთება კარგია, მაგრამ, მთავარია, როგორ შოულობ მას.

ფული აკეთო ისედაც უკიდურესად გაჭირვებულ პედაგოგებზე, რომელთაც მართლაც გმირობის ფასად შეინარჩუნეს სკოლა და სიცივეში, უშუქობაში, უხელფასობაში ჩაატარეს გაკვეთილი, ასწავლეს სამშობლოს, მეგობრის, ოჯახისა და მოყვასის სიყვარული, უსინდისობაა, დიდი უსინდისობა (სისხლის სამართლის დანაშაულზე, რომ არაფერი ვთქვა, რადგან შეიძლება ისე იყოს მთელი ეს პროცედურა კანონზე მორგებული, რომ დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებოდესძ.

უამრავი ძვრაა განათლების სისტემაში. ძვრები, რაც ხელს უწყობს იმ ე. წ. „დიდ პროცესებს“, რომელთა არსიც ისაა, რომ რაც შეიძლება ნაკლებმა ქართველმა ბავშვმა დაამთავროს სკოლა, ნაკლებმა ბავშვმა მიიღოს განათლება. ამ ძვრების გამოვლინებებს ყოველ დღე ვხედავთ. მაგალითად: ჟურნალების და დღიურების გაუქმება, ტრიმესტრის საბოლოო ნიშნის გამოყვანის „საოცარი“ წესი, საგნების გაერთიანება და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. მაგრამ ცუდი ის არის, რომ, საზოგადოებრიობა ინდიფერენტულია ასეთი „ძვრების“ მიმართ. ხოლო მასმედიისთვის კი „ქართველ ქალთა ორგაზმის“ (გადაცემა „რე-აქცია“) საკითხები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქართველ ბავშვთა განათლების საკითხები.

წერილს კი დავამთავრებ ფრაზით ჭიჭიკოს და ბიჭიკოს ცნობილი სიმღერიდან „უვიცი და შტერი, ვერ იქნება ერი ბედნიერი“...

**გია გაბრიჭიძე**

თარილი

# უსპონსოროდ...



**საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოების, მეცნიერების ისტორიკოსთა საქართველოს საზოგადოებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თაოსნობით გაიმართა გამოჩენილი მათემატიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვლადიმერ ჭელიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.**

უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ იუბილარის შთამომავლები, მოწაფეები (და არა მოსწავლეები, როგორც ახლა მოდური გახდა ასეთ შემთხვევაში თქმაძ და მოწაფეთა მოწაფეები, უბრალოდ, დიდი მკვლევრული ნიჭისა და პიროვნული ხიბლის პატივისმცემლები.

ფორუმი შესავალი სიტყვით გახსნა მათემატიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარემ, პროფესორმა ჯონდო შარიქაძემ. ვლადიმერ ჭელიძის ცხოვრებასა და მეცნიერულ შემოქმედებას მიუძღვნა მოხსენება მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ, პროფესორმა სერგო თოფურიამ. რასაკვირველია, იყო მოგონებებიც.

ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის ღრმა, საერთაშორისო სახელის მქონე მკვლევარი, თსუ-სა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების შესანიშნავი ლექტორ-პედაგოგი – პროფესორი ათეულობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტის აღმზრდელი, უმაღლესი და ელემენტარული „მათემატიკების“ ჩინებული პოპულარიზატორი, მათემატიკური მეცნიერების მიღმაც ფართოდ ერუდირებული, დიდი ფრანგი მათემატიკოსის არნო დანჟუას სახელთან შეწყვილებული („დანჟუა – ჭელიძის ინტეგრალი!“ძ – ასე და კიდევ არაერთი მიმზიდველი შტრიხით შეფერადებული წარმოდგა სალამოზე იუბილარის პორტრეტი.

**ყოვლისმომცველი სპონსოროების ხანაში ეს ღონისძიება არავის „დაუსპონსორებია“ – ღირსეული სახელის პატივგების, დაუვიწყარი ხსოვნის შენახვის, უკანამორბედთა მხურვალე მადლიერების ნიშნით ჩატარდა...**

**თამაზ ეზანოიძე**

№ 33. ოთხშაბათი, 21 თებერვალი, 2007 წელი.

● მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვებზე — სამშობიაროში მიტოვებულ ან ქუჩაში ნაპოვნ ჩვილებზე ზრუნვა უფლებამოსილი ორგანოების განსაკუთრებული ვალდებულებაა



◎ სიტყვა მეგობარ მხატვარზე

# „თოვლს ახვევს ქარი თუ ცხოვრება იკაწრება...“

**ეს ამბავი მეც ცოტა ხნის წინათ გავიგე, როცა მეგობრები — ბუქა ცხოვრებაშვილი და მიშა იაშვილი მესტუმრნენ. ერთი იურისტი გახლავთ, მეორე — მხატვარი, თუმცა ხატვის ნიჭი არც ბუქასთვის დაიშურა მამაზეციერმა. სტუმრობის მიზეზი კი ბუქა ცხოვრებაშვილის უფროსი ძმის, ჩვენგან უდროოდ წასული მეგობრის, მხატვარ თემურ ცხოვრებაშვილის 60 წლისთავს მიძღვნილ გამოფენაზე მიწვევა გახლდათ, რომელიც 21 თებერვალს გალერეა „ვერნისაჟში“ გაიმართა.**



მხატვარი იყო-მეთქი, თემურ ცხოვრებაშვილზე მოგახსენეთ წეღან, მაგრამ, ალბათ, ეს მთლად სიმართლე არ გახლავთ. მხატვრობა, ცხადია, მისი მდიდარი სულიერი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი შემდგენელი იყო, მაგრამ მისი ხალასი ნიჭის მრავალფეროვნებაზე თუნდაც მიღებული განათლების უბრალო ჩამონათვალიც კმარა. საშუალო სკოლის შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, შემდგომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — მევენახეობის განხრით — და ერთ ხანს რუსეთში ღვინის ქარხნის დირექტორიც გახლდათ. მაგრამ, როგორც ჩანს, ხელოვნებისკენ ლტოლვამ სხვა მისწრაფებას სძლია, რადგან შუალედში მუსიკალური განათლების მიღებაც მოასწრო — ვიოლინოს დაეუფლა მუსიკალურ ტექნიკუმში და, ბოლოს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში — დაზგურ ფერწერას.

ის ამბავი კი, რომლის შესახებ მეგობრებმა მიამბეს, პარიზში მომხდარა, სადაც თემურ ცხოვრებაშვილი და ცნობილი ქართველი მხატვარი, ამჟამად სამხატვრო აკადემიის რექტორი გია ბუღაძე სასტუმროს ერთ ნომერში ცხოვრობდნენ. აპარტამენტებში როიალი მდგარა, ჰოდა, ერთხელ აბაზანაში შესულ ბატონ გია ბუღაძეს საოცარი ოსტატობით დაკრული ცნობილი მუსიკალური ნაწარმოების ჰანგები შემოესმა. გაოცებულს როიალთან თემური დაუნახავს, რომელსაც მისთვის გამოუხედავს, შამპანური მოუსვამს და უთქვამს — იცოდე, ძმაო, ეს ამბავი თბილისში რომ „გამიბაზრო“, ვერ გადამირჩებიო. ასეთი სულის კაცი გახლდათ თემურ ცხოვრებაშვილი — ყველა ჭეშმარიტი თბილისელივით ვაჟკაცური და, ამავე დროს, ფაფუკი სულის მქონე კაცი, რომელსაც თითქოს ერიდებოდა თავისი ნიჭისა.

თემურ ცხოვრებაშვილს უზომოდ უყვარდა მშობლიური ქალაქი და ქალაქიც ასეთივე ერთგული გრძნობით პასუხობდა მას. თავს უფლებას მივცემ და ამის დასტურად ასევე ჩემი მეგობრის, პოეტ გიგი სულაკაურის ლექსს „განწყობილებას“ შემოგთავაზებთ, რომელსაც ასეთი წამძღვანება აქვს: „ბულდოგას“ უსათაურო ნახატი“.

**„ამ მზის ჩარჩოში**
**ნერვიული, მოძრავი დღეა.**
**ვერ გაიგებ, წვიმს თუ**
**თოვლს ახვევს ქარი თუ**
**ცხოვრება იკაწრება**
**ფერადი და ბასრი ეკლებით —**
**ძალიან ცივა.**
**(ისე ხარ, თითქოს გარეთ**
**გახვედი**
**და საკუთარი უბნის ნაცვლად**
**სულ სხვაგან მოხვედი,**
**სხვა ნაპირებზე,**
**სადღაც უცხო ეკლესიასთან.**
**თავად არ ჩანხარ,**
**მაგრამ ხედავ**
**მხრებში თავჩარგულ,**
**სიცივისაგან შეწუხებულ,**
**შეწებებულ**
**მამასა და შვილს**
**და ვერ მიმხვდარხარ,**
**ეკლესიასთან მიდიან თუ**
**ტაძრიდან შინ ბრუნდებიანძ.**

ვერ გეტყვით, ვის როგორ, მე კი ამ სტრიქონებიდანაც მცივა, მიუსაფრობის შეგრძნება მეუფლება და ისევე ავად ვარ, როგორც ჩემი ძვირფასი მეგობრის დახატულ სურათზე — „ფიქრია ავად არის“ — იმასაც სცივა და აკანკალებს.

თემური მაინც ყოველთვის გვიბრუნდება — თბილისს, მეგობრებს, ახლობლებს — თან კი არა სიცივე, მაგრამ სითბო მოაქვს.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ აფორიაქებული განწყობით

# ქურდს აპეწდდი ბედრს

**უნებურად მახსენდება წარსული.**
**ახლა რომ კრულვით იხსენებს ყველა.**
**დიდი.**
**პატარა.**
**იმ დროს მხოლოდ ფეხს რომ იდგამდა ისეთიც.**

დღეისთვის ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და თბილად მოკალათებული სადღაც.

სხვის ადგილზე,

სხვის ნაცვლად.

ჭრელი პეპლის ამბავს თამაშობს.

დროზე მოფრენას არ აპირებს.

არც გაფრენას.

დროს ელის.

თავისთვის ცხოვრობს, თავის სასარგებლოდ.

მშვიდად.

აღუშფოთებლად.

სხვისი თავისუფლების, თავმოყვარეობის ხარჯზე.

საათობით გალოდინებს ერთი წუთის საქმეზე.

მქონდა ახლახან ასეთი შემთხვევა.

საათზე მეტი ვიჯექი პატარა კაცის მისაღებში.

ხმა გამოდიოდა შიგნიდან.

სტუმარი ჰყავდა უეჭველად ისეთი, წამიერად სათქმელს საათობით რომ უნდება ხოლმე.

უბრალოდ.

გულის მოსაოხებლად.

გამიღეს კარი, როგორც იქნა.

საათიანი ლოდინის შემდეგ.

კაბინეტში არავინ იჯდა მასპინძლის გარდა.

ძლივს მივხვდი:

ტელეფონზე ემაასლათებოდა ვიღაცას.

გარეთ კიდევ ათიოდე ადამიანი იცდიდა ჩემს შემდგომ.

ქაღალდი გავუწოდე.

არც დაუხედავს. იცოდა წინასწარ ყველაფერი.

მოაწერა ხელი.

მორჩა.

გავუყევი ჩემს გზას.

რა უნდა მექნა სხვა?

რომ უშველიდეს საქმეს, წაადგებოდეს რამეს და ვიყო უფლებამოსილიც, ბევრ ასეთს ავუწევდი ყურებს.

მდგომარეობით მოსარგებლეებს.

პირველ რიგში, სახელმწიფო ჩინოვნიკებს რომ ჰქვიათ, ისეთებს.

დაუფიქრებლად.

უყოყმანოდ.

სამაგალითონი რომ უნდა იყვნენ იმიტომ თუნდაც.

ალიყურისგან სახე გაუწითლდებოდა მაშინ ძალიან ბევრს, რომელთა საქციელსაც საერთო, საზოგადოების ინტერესებისადმი პატივისცემის არაფერი ეტყობა ჯერაც.

არ ჰგავს ღირსეულთათვის პატივის მიგებას. ეტყობა მოდაში არ არის დღეს.

ოდესღაც იყო.

გუშინ.



გუშინწინ.

დღეს სხვა ფერი ადევს სულ.

ვიცი როგორიც, მაგრამ მეუხერხულება თქმა.

მაჰატმა განდის სიტყვები მაგონდება მხოლოდ.

ბრძენკაცი ამბობდა საუკუნის წინ:

**ჩემი თავისუფლება ისე მიყვარს, რომ არაფერს ვაკეთებო სხვების საზიანოს, სხვათა მოქმედების შემზღუდველს.**

ნამდვილი საქმეც ეს არის, ალბათ.

ძნელი, მაგრამ საჭირო.

განსაკუთრებულად აუცილებელი დღეს.

**რობერტ ძერია**

◎ ბრიფინგი

# დავიცვათ ბავშვთა უფლებების კონვენცია!

**— ბავშვი სახლში უნდა იზრდებოდეს და არა ბავშვთა სახლში, — ასე განაცხადა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ. დაცულ უნდა იქნეს „ბავშვთა უფლებების კონვენციის“ პრინციპები. — ნებისმიერი ბავშვი დაცული უნდა იქნეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობით და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის საიდუმლოების, კონფიდენციალობის დაცვით, რაც მოცემულია ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-16 მუხლით.**

როგორც ბრიფინგზე განაცხადეს, ბოლო დროს ტელეარხების საშუალებით გახშირდა სიუჟეტები, სადაც აღწერილია თუ როგორ დატოვა დედამ ჩვილი სამშობიარო სახლში, ან როგორ იპოვეს ნაგავსაყრელზე ახალშობილი. „შვილად აყვანის წესის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის თანახმად, არ შეიძლება პოტენციურად გასაშვილებელი ბავშვის საჯარო განცხადებების მეშვეობით შეთავაზება. აღნიშნული სახის სიუჟეტებში პირადი ინფორმაციის გამჟღავნება სწორედ ასეთ მანკიერი მოვლენების რეალობის დამკვიდრებას და აფიშირებას უწყობს ხელს, რასაც დაუშვებლად მიიჩნევს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ თხოვნით მიმართა ტელეარხების ხელმძღვანელებს, რომ შესაბამისად დარეგულირდეს მსგავსი სახის სიუჟეტების გაშუქება. მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვებზე — სამშობიაროში მიტოვებულ ან ქუჩაში ნაპოვნ ჩვილებზე ზრუნვა უფლებამოსილი ორგანოების განსაკუთრებული ვალდებულებაა.

ასე რომ, გასაშვილებელი ბავშვების შესახებ ინფორმაციის გაცემა არ შეიძლება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანო, კოორდინაციასა და მონიტორინგს უწევს ქვეყნის ფარგლებში მიმდინარე შვილად აყვანის პროცესს. ბავშვთა დაცვა რეგულირდება, როგორც ქვეყნის შიდა კანონმდებლობით, ისე ბავშვთა უფლებების კონვენციით, რომელსაც საქართველო 1994 წელს მიუერთდა.

**ნათელა ფაილოძე**

◎ ინფორმაცია

## პედაგოგთა კავშირის ახალი თავმჯდომარე

**გაიმართა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის საერთო კრება. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ აზა ბუაძემ დამსწრეთ პედაგოგთა კავშირის მიერ გაწეული მუშაობის წლიური ანგარიში წარუდგინა.**

**შეხვედრის მიზეზი პედაგოგთა კავშირის ახალი თავმჯდომარის არჩევაც გახლდათ.**

**კავშირს წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა მამია დარჩია, რომელმაც საკუთარი სურვილით დატოვა თანამდებობა, განათლების სისტემა სარეფორმო ცვლილებების ფაზაში შევიდა, ახალი ეტაპი დაიწყო, რაც ახალმა თაობამ უნდა განახორციელოსო.**

**პედაგოგთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით და შეკრებილი საზოგადოების ერთსულოვანი მხარდაჭერით, გოგებაშვილის სახელობის კავშირის თავმჯდომარედ მთავრობის კანცელარიის უფროსი პეტრე მამრაძე აირჩიეს. პედაგოგთა კავშირის გასაძლიერებლად საჭიროა სპონსორების მოძიება, რასაც იგი შეძლებსო.**

**იაკობ გოგებაშვილის სახელობის კავშირი უნდა გაძლიერდეს, 2007 წლის სამუშაო გეგმაში მას მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარება აქვს გათვალისწინებული.**

**ნათელა ფაილოძე**

## „ჯანმრთელობა“ მობინადრეთა ჯანმრთელობის წინააღმდეგ

**ერეკლე მეორის მოედნის №3-ში არსებული შენობის მობინადრეებთან წუხელ შეთანხმება შედგა. ს/ს „ჯანმრთელობა“ 12 ოჯახიდან თითოეულს კომპენსაციის სახით 20 ათას დოლარს ორი კვირის ვადაში გადაუხდის.**

**როგორც ს/ს „ჯანმრთელობის“ ადვოკატმა კოტე ილაშვილმა განაცხადა, კომპანიამ მობინადრეების მიმართ კეთილი ნება გამოიჩინა.**

**„კომპანია ანგარიშვალდებული არ არის მობინადრეების წინაშე. თუმცა, „ჯანმრთელობის“ მფლობელებმა კეთილი ნება გამოიჩინეს და მობინადრეებს საკომპენსაციო თანხას გადასცემენ. ის, რომ კომპანია შენობის კანონიერი მესაკუთრეა, სასამართლომაც დაადასტურა“, — განაცხადა ილაშვილმა.**

**ზემოაღნიშნული შენობიდან ინსტრუმენტული ქარხნის ყოფილი თანამშრომლების იძულებით გამოსახლების პროცესი იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტმა 19 თებერვალს დაიწყო. მობინადრეებს შორის იყო „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის შალვა ნათელაშვილის დაც.**

**დეპარტამენტმა აღასრულა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც 2006 წლის ნოემბერში უზენაესმა სასამართლომაც ძალაში დატოვა.**

**სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, შენობის კანონიერი მესაკუთრე ს/ს „ჯანმრთელობაა“.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 33. ოთხშაბათი, 21 თებერვალი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

● უახლოეს მომავალში განიხილავენ „ჯავა-ცხინვალის“ გარშემოვლითი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის საკითხსაც, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოუღონ ბოლო თბილისზე ენერგეტიკულ დამოკიდებულებას





◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# გაზსადენი თბილისის თანხმობის გარეშე

**ენერგეტიკული უშიშროების საკითხი მარტო ევროკავშირის სახელმწიფოებს და პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებს როდი აღელვებთ, რომლებიც რუსული წყაროების ალტერნატივას ეძებენ. ეს საკითხი აქტუალურია თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისთვისაც, მაგრამ იგი საფრთხეს საქართველოს მხრიდან ხედავს და თავის ენერგეტიკულ უშიშროებას რუსეთს უკავშირებს. გასული კვირის დამლევს მოსკოვში მოკლევადიანი ვიზიტის დროს, თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ ამ თემაზე მთელი რიგი განცხადებები გააკეთა.**

დაადანაშაულა რა ქართული მხარე რეგიონში ვითარების გამწვავებაში კოკოითიმ აღნიშნა, რომ ასეთი მოქმედებით თბილისი სამხრეთ ოსეთს ვერ აალებინებს ხელს სუვერენიტეტის იდეაზე.

„ჩვენ ვაშენებთ გაზსადენს, თანაც, თბილისისგან დამოუკიდებლად. მას გავიყვანთ საკუთარი ძალებით, რათა უზრუნველვყოთ მოქალაქეები ნორმალური იაფი გაზით. გარშემოვლითი გაზსადენი რესპუბლიკისთვის აუცილებელია“, – თქვა კოკოითიმ. გარდა ამისა, როგორც ცხინვალის ლიდერმა განაცხადა, უახლოეს მომავალში განიხილავენ „ჯავა-ცხინვალის“ გარშემოვლითი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის საკითხსაც, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოუღონ ბოლო თბილისზე ენერგეტიკულ დამოკიდებულებას.

ამასთან, თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება არ აპირებს გამოურთოს გაზი რეგიონის ქართულ სოფლებს, იმის მიუხედავადაც კი, რომ მათი დავალიანება 70 მილიონ რუბლს აღემატება.






თვითაღიარებული მთავრობის მონაცემებით, სადღეისოდ საქართველოდან მიღებული ყოველი ათასი კუბური მეტრი გაზის საფასური დაახლოებით 300 დოლარს შეადგენს. გაზსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ კი ცხინვალი გეგმავს, რომ „გაზპრომისგან“ ცისფერ სათბობს მიიღებს რუსეთში მოქმედი ფასებით – 40 დოლარი ათასი კუბური მეტრისთვის. ეს, კერძოდ, ხაზგასმულია სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და პრესის კომიტეტის ცნობაში, რომელიც იმოწმებს მთავრობის თავმჯდომარის იური მოროზოვის გამონათქვამს. სწორედ მოროზოვი წყვეტდა მოსკოვში თვითაღიარებული რესპუბლიკის გაზის მომარაგების საკითხებს.

ნახევარ მილიარდ დოლარად შეფასებული „ძუარიკაუ-ცხინვალის“ პროექტი ითვალისწინებს ჩრდილო ოსეთის სოფელ ძუარიკაუდან თვითაღიარებული რესპუბლიკის დედაქალაქისკენ 163 კილომეტრი სიგრძის გაზსადენის გაყვანას. სამუშაოებს რუსეთის ტერიტორიაზე ამ ქვეყნის ფედერალური ბიუჯეტიდან აფინანსებენ, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კი – ადგილობრივიდან.

გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების კომენტირებისას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ აქ აშკარაა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა. „თვითაღიარებულ რესპუბლიკაში ალტერნატიული გაზსადენის მშენებლობას არ დაუჭერს მხარს მსოფლიო გაერთიანება, ისევე როგორც არ დაუჭერია მას მხარი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ გამიზნული რუსეთის სხვა მოქმედებებისთვის“.

კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს მერაბ ანთაძეს მიაჩნია, რომ გაზსადენის პროექტის განხორციელება ქართული მხარის ამ თაობაზე ინფორმირების გარეშე, აგრეთვე ის, რომ არც კი გაურკვევიათ თუ როგორი იქნება თბილისის დამოკიდებულება ასეთი ნაბიჯის მიმართ, კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთს მიიჩნევს თავის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად. „ეს არის საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევა და მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის ანექსიის კიდევ ერთი მცდელობა“, – განუცხადა ანთაძემ ჟურნალისტებს.

ამავე დროს „გაზპრომის“ პრეს-მდივანმა სერგეი კუპრიანოვმა უარი თქვა სიტუაციის განმარტებაზე. ანთაძის გამონათქვამთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე მან ლაკონური პასუხი გაგვცა: „არანაირი კომენტარი“.

შესაძლოა, ამ გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილონ სტამბოლში, სადაც უნდა გაიმართოს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეთა არაფორმალური შეხვედრა.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ

# აზერბაიჯანი საქართველოში გაზის მიწოდებას გაზრდის

**აზერბაიჯანი, რომელიც თვითონაც განიცდის პრობლემებს, ცისფერი სათბობით, უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, აპირებს, რომ გაზის მიწოდება გაზარდოს მეზობელ საქართველოში. შეთანხმებას ამის თაობაზე მიაღწიეს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის პრეზიდენტის ალეკო ხეთაგურის ბაქოში ვიზიტის დროს.**

როგორც აზერბაიჯანის სათბობ-ენერგეტიკული უწყების ინფორმირებული წყარო იტყობინება, აზერბაიჯანის ნავთობის კომპანია 2007 წლის 1 აპრილამდე საქართლველოში ყოველდღიურად განახორციელებს 1,3 მილიონი კუბური მეტრი გაზის მიწოდებას, წინანდელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მილიონი კუბური მეტრის ნაცვლად. ამასთან, მიმდინარე წლის ორი თვის განმავლობაში თბილისმა უკვე მიიღო 90 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი და ყოველი ათასი კუბური მეტრისთვის 120 დოლარი გადაიხადა. ეს ფასი მომდევნო თვეებშიც იქნება შენარჩუნებული.



საქართველო დიდ იმედებს ამყარებს აზერბაიჯანის გაზის ახალ საბადოებზე. მაგრამ, ამ იმედებს ჯერჯერობით გამართლება არ უწერია. საქმე ის არის, რომ შაჰ-დენიზის საბადოს ექსპლოატაციის დროს წარმოიქმნა სერიოზული პრობლემები – 900 მეტრ სიღრმეზე მოხდა ავარია. პროექტის ოპერატორის – „ბრიტიშ პეტროლეუმის“ კომპანიის სპეციალისტებმა გამოავლინეს გარკვეული ტექნიკური გაუმართაობა პირველ საექსპლოატაციო ჭაბურღილზე და გადაწყვიტეს, დროებით შეეჩერებინათ მისი მუშაობა. ახლა დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები მეორე ჭაბურღილის საექსპლოატაციო გადაცემისთვის, რომლიდანაც გაზის მოპოვება უკვე თებერვლის დამდეგისთვის უნდა დაიწყოს. მაგრამ თვით ასეთ შემთხვევაში, შახ-დენიზიდან საქართველოში ცისფერი სათბობის მიწოდების დაწყება მხოლოდ მეორე კვარტალში იქნება შესაძლებელი.

ამავე დროს, როგორც ადგილობრივი გაზეთები აღნიშნავენ, 2007 წლის იანვარში საქართველოში განხორციელდა 29,9 მილიონი კუბური მეტრი აზერბაიჯანული გაზის ექსპორტი, რის შედეგადაც საქართველოს მხარეს უნდა გადაეხადა 3 მილიონ 635,6 ათასი დოლარი, მაგრამ თბილისმა სადღეისოდ შესყიდული გაზის საფასურის მხოლოდ 52,7 პროცენტი აანაზღაურა.

შექმნილი ვითარების განმარტებისას, დამოუკიდებელმა ექსპერტმა-ეკონომისტმა ინგაბალ აჰმედოვმა აღნიშნა: „როგორც ჩანს, სადღეისოდ საქართველოს არ შეუძლია გაისტუმროს ყველა ძველი ვალი. ამას ემატება ისიც, რომ ახლა არსებობს კიდევ ახალი სარკინიგზო პროექტი – ბაქო-ახალქალაქი-ყარსი, რომლის შესაბამისადაც აზერბაიჯანმა საქართველოს გამოუყო 200 მილიონ დოლარის ოდენობის შეღავათიანი კრედიტი და ეს თანხა უნდა დაიფაროს საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამიტომ, საქართველოს მიერ გაზის საფასურის ანაზღაურების საქმეში შესაძლო შეფერხებები არ უნდა განვიხილოთ რაღაც სერიოზულ პრობლემად და არ ვიფიქროთ, რომ ეს შეიძლება გადაიქცეს ახალ დიდ ვალად“. ექსპერტის აზრით, ამის მიზეზი უფრო ტექნიკური მომენტებია.

**სოჰბეთ მამედოვი**

НЕЗАВИСИМАЯ

# რუსეთს შეუძლია ნატოში საქართველოს მიღების გეგმა შეცვალოს

**მხოლოდ რუსეთს შეუძლია შეცვალოს ნატოში საქართველოს მიღების დროის პარამეტრები და თვით გეგმაც კი, მიაჩნია რუსეთის გეოპოლიტიკურ პრობლემათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ლეონიდ ივაშოვს.**



ნატოს აზრით, 2009 წელი ალიანსის შემადგენლობაში საქართველოს გაწევრიანებისთვის სავსებით მისაღები დროა. ნატოელები საქართველოს ამაზე ადრე, ალბათ, არ მიიღებენ თავიანთ რიგებში, მაგრამ აქ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული რუსეთზე, – შენიშნა პოლიტოლოგმა.

ივაშოვს ეჭვი ეპარება იმაში, რომ ორშაბათს თბილისში ჩასული ნატოს საერთაშორისო შტაბის შემფასებელი კომისია აღიარებს, რომ საქართველო არის ალიანსში გაწევრიანების ღირსეული კანდიდატი.

ნატო თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებს თავის სტრატეგიულ კონცეფციას, რომელიც ჯერ კიდევ 1999 წელს აპრილში მიიღეს. ჩრდილოატლანტიკურ ალიანს აქვს გარკვეული გრაფიკი. „ამიტომ, კომისიის ნებისმიერი დასკვნის მიუხედავად, ეს გრაფიკი მაინც თანამიმდევრულად შესრულდება“, – მიაჩნია პოლიტოლოგს.

შეეხო რა იმას, თუ როგორ შედეგებს მოუტანს რუსეთს ნატოში საქართველოს გაწევრიანება, ივაშოვმა თქვა, რომ კომისიის დასკვნები შეიძლება მოულოდნელი აღმოჩნდეს რუსული მხარისთვის იმ შემთხვევაში, თუ იგი აღიარებს, რომ საქართველო აკმაყოფილებს ნატოში შესვლის კანდიდატი ქვეყნისთვის დაწესებულ კრიტერიუმებსა და ნორმებს. „ეს ყველაზე არასასიამოვნო მომენტი იქნება“, – აღნიშნა მან.

„უნდა შევიგნოთ თუ რა სერიოზულ საფრთხეს უქმნის რუსეთის უშიშროებას ჩვენი ქვეყნის საზღვრებისკენ ნატოს სტრუქტურების გეგმაზომიერი გადმოწევა და მათი შემოღწევა დსთ-ს სივრცეში“, – განაცხადა ექსპერტმა.

НОВОСТИ

● კატეგორიულად არ უნდა დაივიწყოს კოსმოსიდან მომავალი საფრთხე



№ 33. ოთხშაბათი, 21 თებერვალი, 2007 წელი.

# უკრაინას გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიუღია

**უზენაეს რადაში უმრავლესობა არ დაუჭერს ლიტვის პრეზიდენტის ვალდას ადამკუსის მიერ შეთავაზებულ და უკრაინის მეთაურის მიერ მოწონებულ იდეას ანტირუსული სატრანზიტო დერეფნის შექმნის შესახებ, რომელსაც ბელორუსიაც შეიძლება შეუერთდეს. ასეთი განცხადება გააკეთა რეგიონთა პარტიის ფრაქციის ხელმძღვანელის მოადგილემ ვასილ ხარამ.**

ამრიგად რუსეთზე ცალმხრივი ენერგოდამოკიდებულების აღმოფხვრის მიზნით კავშირის შექმნის იდეა, რომელსაც კიევში დაგეგმილ შეხვედრაზე განიხილავენ უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო და მისი ბელორუსი კოლეგა ალექსანდრე ლუკაშენკო, შესაძლოა მხოლოდ კეთილ განზრახვად დარჩეს.



შეგახსენებთ, რომ გასული კვირის დამლევს უკრაინის პრეზიდენტმა მოიწონა ლიტვის მეთაურის მიერ ვაშინგტონში გამოთქმული ინიციატივა იმ ქვეყნების კავშირის ჩამოყალიბების შესახებ, რომლებიც ქმნიან ნავთობმომარაგების სისტემას, რათა აღარ იყვნენ დამოკიდებული ნედლეულის რუსეთიდან მოწოდებაზე.

როგორც ვალდას ადამკუსმა თქვა, ასეთი პერსპექტივის შესახებ მას უკვე ჰქონდა საუბარი უკრაინისა და ბელორუსიის პრეზიდენტებთან.

კიევში ამ ინფორმაციამ სხვადასხვაგვარი რეაქცია გამოიწვია: პრეზიდენტის მომხრეებმა იგი აღიქვეს როგორც რესპუბლიკის უშიშროების განმტკიცების საშუალება, პრემიერ-მინისტრის ბანაკში კი ეს მოსკოვის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნიეს. რეგიონთა პარტიაში აღნიშნავენ, რომ რუსეთის ფედერაციასთან გაზის მოწოდების შესახებ ახალი შეთანხმების დადების წინ არ იქნება გონივრული მსგავსი შინაარსის განცხადებების გაკეთება.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინაში პრეზიდენტ ლუკაშენკოს ვიზიტის ზუსტი ვადა ჯერ არ არის დადგენილი. მართალია, რუსეთისა და ბელორუსიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები 26 თებერვალს ასახელებდნენ, მაგრამ ოფიციალური ხელისუფლება არ ადასტურებს ამ ინფორმაციას, ისევე როგორც იკავებს თავს მომავალი ვიზიტის დეტალების განხილვისგან.

ყოველივე ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ უკრაინის ხელისუფლებას არ აქვს ერთიანი პოზიცია ნავთობის ალტერნატიული მოწოდებების თაობაზე უკრაინა-ლიტვა-ბელორუსიის შესაძლო პროექტის საკითხში. როგორც ცნობილია, სწორედ ენერგეტიკული თანამშრომლობის საკითხი იქნება ძირითადი უკრაინისა და ბელორუსიის პრეზიდენტების შეხვედრის დროს.

# ვაშინგტონმა ირანში სავარაუდო სამიზნეების ნუსხა შეადგინა

**ცნობილი გახდა ამერიკელთა შესაძლო სამხედრო აქციის ზოგიერთი დეტალი, რომლის განხორციელებასაც ვაშინგტონი გეგმავს იმ შემთხვევისთვის, თუ დაპირისპირება ირანის ბირთვული პროგრამის თაობაზე გადავა საომარი მოქმედების ფაზაში.**

„ბი-ბი-სის“ მიმომხილველი უშიშროების საკითხებში ფრენკ გარდნერი დიპლომატიური წრეების წყაროების დაყრდნობით იტყობინება, რომ შეერთებული შტატების გეგმებში გაცილებით უფრო მეტია გათვალისწინებული, ვიდრე ირანის სადღეისოდ ცნობილი ან პოტენციური ბირთვული ობიექტების დაბომბვა.



გარდნერის თქმით, ამერიკელებმა უკვე მონიშნეს სხვა შესაძლო სამიზნეებიც, მათ შორის ირანის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზები, საჰაერო თავდაცვის ობიექტები, სარაკეტო ქარხნები და სამეთაურო პუნქტები.

ცენტრალური სარდლობის მიერ შემუშავებული ამ ნუსხაში შედიან აგრეთვე ნათანზის და ისპაჰანის ურანის გამამდიდრებელი ქარხნები, არაქის და ბუშერის ობიექტები. ამავე დროს, სპარსეთის ყურისაკენ მიემართებიან ამერიკელთა დამატებითი სამხედრო ხომალდები.

ვაშინგტონი აცხადებს, რომ არ აპირებს ირანზე თავდასხმას და კვლავ ცდილობს თეირანი დაარწმუნოს საკითხის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის აუცილებლობაში.

ამერიკელთა მტკიცებით, ირანის ბირთვული პროგრამა მიზნად ისახავს ბირთვული იარაღის შემუშავებას, თუმცა თეირანი ასეთ ბრალდებას უარყოფს.

ამავე დროს, შეერთებული შტატების მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელეები ირანს იმაშიც ადანაშაულებენ, რომ იგი იარაღითა და ტყვია-წამლით ამარაგებს ერაყში შიიტ მოთარეშეებს.

მაგრამ როგორც ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა აღნიშნა, ვაშინგტონის მიერ გამოთქმული ბრალდება არის იმის მცდელობა, რომ შეერთებულმა შტატებმა როგორმე მიჩქმალოს ერაყში თავისი წარუმატებლობა. მან დასძინა, რომ ირანს არ ეშინია შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერების და ნებისმიერ თავდასხმას საკადრის პასუხს გასცემენ.

გასულ კვირას გავლენიანმა დემოკრატმა -კონგრესმენებმა პრეზიდენტი ბუში გააფრთხილეს, რომ მას არ გააჩნია საკმარისი უფლებამოსილება ირანისთვის ომის გამოსაცხადებლად.

თუმცა, თვით ბუშმაც აღნიშნა, რომ ირანთან სადავო საკითხების მოგვარებას დიპლომატიური გზით აპირებს, რასთან დაკავშირებითაც შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ნენსი პელოსიმ განაცხადა, რომ იგი პრეზიდენტს, როგორც იტყვიან, „სიტყვაზე იჭერდა“. ამასთან, პელოსიმ შენიშნა: „კონგრესმა უნდა იცოდეს, რომ არც ბუშს და რომელიმე სხვა პრეზიდენტს არ გააჩნია ირანზე თავდასხმის უფლებამოსილება“.

# მიწისძვრა ინდონეზიის ნაპირებთან

**მძლავრი მიწისძვრა მოხდა სამშაბათს ინდონეზიის ნაპირებთან. მიწისქვეშა ბიძგების ძალამ შეადგინა 6,5 ბალი რიხტერის სკალით. თავდაპირველად მეტეოროლოგები აცხადებენ, რომ ასეთ სტიქიურ უბედურებას შეიძლება გამოეწვია გიგანტური ტალღების – ცუნამის წარმოქმნა, თუმცა, მოგვიანებით გამორიცხეს ამის შესაძლებლობა.**

მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა ზღვის ფსკერის ქვემოთ 31 კილომეტრ სიღრმეზე, ინდონეზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მოლუკის კუნძულების სანაპიროდან 210 კილომეტრზე.

მიწისძვრის დროს ადგილობრივი მცხოვრებლები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ სახლები, ერთ-ერთ ქალაქში კი სასტუმროდან გამოხიზნეს ტურისტები. ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან მსხვერპლის და ნგრევის შესახებ.

ინდონეზია მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სეისმურად საშიშ ქვეყანად ითვლება. მსოფლიოში ეს უდიდესი არქიპელაგი არის ეგრეთ წოდებული „წყნარი ოკეანის ცეცხლოვანი რგოლის“ ნაწილი: ფილები, რომლებიც ქმნიან ინდოეთის და წყნარი ოკეანის დასავლეთი ნაწილის ფსკერს, აზიის ფილის ქვეშ შედიან. „სამი ათასი კუნძულის ქვეყნის“ ტერიტორიაზე დედამიწის ქერქის მოძრაობის შედეგად ხშირია მიწისძვრები და ვულკანების ამოფრქვევა.

2004 წლის დეკემბერში სუმატრის კუნძულის ნაპირებთან მომხდარმა მიწისძვრამ გამოიწვია უძლიერესი ცუნამი, რომელმაც დაახლოებით 230 ათასი კაცის სიცოცხლე შეიწირა ინდოეთის ოკეანის აუზის ათობით ქვეყანაში. მაშინ დაიღუპა ინდონეზიის 131 ათასი მცხოვრები.






# საარტილერიო სროლა სომალის დედაქალაქში

**სომალის მთარობის და ეთიოპიის არმიის ძალებმა საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს ქვეყნის დედაქალაქ მოგადიშოს მთელ რიგ რაიონებს. მანამდე კი ისლამისტებმა ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს პრეზიდენტის სასახლეს.**

ორმხრივი სროლის შედეგად სულ ცოტა ათი კაცი დაიღუპა. ეს იყო ყველაზე სისხლისმღვრელი შეტაკება გასული წლის დამლევიდან, როცა ეთიოპიის და სომალის სამთავრობო ჯარებმა მოგადიშოდან განდევნეს „ისლამურ სასამართლოთა კავშირის“ მოძრაობის მებრძოლები.

ისლამისტები რომლებიც გასული წლის დამლევამდე აკონტროლებდნენ სამხრეთ სომალის უმეტეს ნაწილს, ფართომასშტაბიანი პარტიზანული ომის დაწყებით იმუქრებიან. მათი თავდასხმების შედეგად მიმდინარე წელს უკვე დაიღუპა ათობით ადამიანი.

სამშაბათს ისლამისტებმა ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს სამთავრობო ჯარების მთელ რიგ პოზიციებს, მათ შორის პრეზიდენტის სასახლეს და ყაზარმებს. ამ დარტყმებს ეთიოპიის ჯარებმა საარტილერიო ქვემეხების ცეცხლით უპასუხეს.

16 წლის განმავლობაში სომალიში გრძელდებოდა სამოქალაქო ომი და ქვეყანას პრაქტიკულად არ ჰყავდა ცენტრალური მთავრობა.

აფრიკის ქვეყნების კავშირს დაგეგმილი აქვს სომალიში სამშვიდობო კონტიგენტის გაგზავნა. იგი უნდა ჩაენაცვლოს ეთიოპიის არმიის ნაწილებს, რომლებიც თანდათანობით გაყავთ ქვეყნიდან.

# დედამიწა ასტეროიდთან შეხვედრისთვის უნდა ემზადებოდეს

**2036 წლის 13 აპრილი ალბათ, არ გახდება დედამიწისთვის არმაგედონის დღედ – იმის ალბათობა, რომ აპოფის-99942 ასტეროიდი შეეჯახოს დედამიწას, რომელიც ამ დღეს ჩვენი პლანეტის უშუალო სიახლოვეს ჩაივლის, ძალზე მცირეა–სულ 1 შანსი 45 ათასიდან. მაგრამ კატეგორიობას მაინც დიდი სიფრთხილე მართებს მიაჩნია ამერიკელ მეცნიერთა, ყოფილ ასტრონავტთა და ინჟინერთა ჯგუფს. დედამიწელებმა უნდა შევიმუშაოთ სამოქმედო გეგმა სახიფათო ციურ სხეულებთან შეხვედრის შემთხვევაში.**

სან-ფრანცისკოში გამართულ კონფერენციაზე სპეციალისტებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ კატეგორიობამ არ უნდა დაივიწყოს კოსმოსიდან მომავალი საფრთხე თვით იმ შემთხვევაში, თუ ახლა მეცნიერებისთვის ცნობილია ყველა საშიში ასტეროიდის არსებობის შესახებ.

სადღეისოდ დედამიწისთვის ყველაზე საშიშ ასტეროიდს წარმოადგენს აპოფის-99942. იგი მეცნიერებმა შენიშნეს 2004 წლის დეკემბერში, როცა ცნობილი გახდა, რომ 2029 წლისთვის არსებობს დედამიწასთან მისი შეჯახების დიდი ალბათობა.

მართალია, უფრო ზუსტი გამოთვლების შედეგად დაადგინეს, რომ შეჯახება 2029 წელს არ მოხდება, მაინც, არსებობს იმის ალბათობა, რომ 2029 წელს, დედამიწის მახლობლად ჩაფრენისას, ასტეროიდი მოხვდეს ეგრეთ წოდებულ „გრავიტაციულ მახეში“, რომლის გავლის შემდეგაც მისი ტრაექტორია შეიძლება ისე შეიცვალოს, რომ იგი უთუოდ შეეჯახოს დედამიწას.

რუს მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ასტეროიდ აპოფისის ფრენის ტრაექტორიის შეცვლა ყველაზე მიზანშეწონილია მცირე კინეტიკური ზემოქმედების მეშვეობით. ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება, თუ ციურ სხეულს შეეჯახება დედამიწიდან გაშვებული კოსმოსური აპარატი.

რუსი მეცნიერების აზრით, ასევე შესაძლებელია ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენებაც, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ დარჩება დრო სხვა ვარიანტების განსახორციელებლად.



# გზად მომავლისკენ

● ამწუთიერი ხელისუფლება ზოგადად ზრუნავს ქვეყანაზე, თუკი საერთოდ ზრუნავს, ქვეყანა კი ამ დროს ძალიან კონკრეტულ ზრუნვას ითხოვს და არა გლობალიზაციის საეჭვო მედიკამენტებით მკურნალობას

◎ გამოსცეს ილიაჭავჭავაძელებმა

## როცა სტრიქონს ღვთის მადლი სცხია, დამწერი დიდ წიგნშიც ეტევა და არც პატარაშია ლაღედ

### გრანელი და ინანიშვილი - კოკროჭინა წიგნებად

საზოგადოებებს, ანუ საქვეყნო ფიქრით გაერთიანებულ ადამიანებს, რომელთაც უმთავრეს მიზნად ხალხისა და სამშობლოს სამსახური დაუსახავთ, არცროდის არ ჰქონიათ ესოდენ ჭეშმარიტად მრავლისმთქმელი მნიშვნელობა, როგორიც დღესა აქვთ მეტნაკლებად დამოუკიდებელ, მეტ-ნაკლებად თავისუფალ, მეტ-ნაკლებად დემოკრატიულ საქართველოში, როცა ამწუთიერი ხელისუფლება ზოგადად ზრუნავს ქვეყანაზე, თუკი საერთოდ ზრუნავს, ქვეყანა კი ამ დროს ძალიან კონკრეტულ ზრუნვას ითხოვს და არა გლობალიზაციის საეჭვო მედიკამენტებით მკურნალობას.

ქვეყნისათვის კონკრეტული ზრუნვის თვალადსაჩენი მაგალითია, რასაკვირველია, თავისი მოვალეობის საზღვრებსა და ფარგლებში, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია, სადაც თავდადებით მორუდუნე საქმებარაქიან ადამიანებს სათავეში უდგას მართლაც მამულიშვილური შემართებით გამორჩეული ქალბატონი ლია ნადარეიშვილი.

ამ საზოგადოებამ ბოლო ყველაზე მძიმე წლების მანძილზე ხალხს დაანახვა, ბევრი სხვა საზოგადოებისაგან და თუნდაც თვით რუსთაველის საზოგადოებისაგან განსხვავებით, თუ რას ნიშნავს შეჭირვების ჟამს საკუთარი ქვეყნის გვერდით საქმიანი დგომა, მხარდაჭერა, თანაშეძახილი და თანაყიჟინა.

ამ საზოგადოების ერთობ თბილი ჭერი ამჟამინდელ მოაზროვნე ქართველთა ერთგვარ თავშესაფრად და საყვარელ საფიხვნოდ იქცა, რომელ ქართველთა ნააზრევიც უკვე რამდენიმე წელიწადია, თავს იყრის „მწიგნობრის“ სახელწოდებით ცნობილ გამოცემაში. ასევე უკვე რამდენიმე წელიწადია, ილიაჭავჭავაძელები კოკროჭინა, ანუ მინიატიურულ წიგნებად სცემენ იმ ქართველ ავტორთა, საზოგადოებრივი თვალსაზრისით, მართლაც, უებარი წამალივით საჭირო თხზულებებს, რომელი ავტორნიც მუდამ იყვნენ, არიან და კვლავაც იქნებიან ხალხის გულის მესაიდუმლენი და რომელთა ნააზრევიც ყველაზე დიდ საქვეყნო წიგნშიც ეტევა და არც ყველაზე პატარაშია ლაღედ.

ამ კოკროჭინა წიგნების უკვე საკმაოდ მდიდარ ბიბლიოთეკას სულ ახლახან კიდევ ორი ღირსეული ქართველი სიტყვითხურო შეემატა — მკვდარი ფოთლების თანამგზავრი, ვარდისფერი გზის პოეტის სულიერი ძმა ტერენტი გრანელი („მარადისობის ლაჟვარდები“) და ქართველი სიტყვის წიაღში მანამდე უცნობი დვრიტის მიმგნები, ჩვენი დიდი თანამედროვე რევაზ ინანიშვილი („მომღერალი სახლი“).

თუ გრანელის პოეზია, წიგნის შემდგენლის სოსო სიგუას აზრით, დამარცხებული საქართველოს გლოვის მუსიკაა, სამარიდან ამოსული აჩრდილია, სისხლიანი სულით ცისკენ მაცქერალი, სამაგიეროდ ინანიშვილის ჭეშმარიტად ბევრისმთქმელი პოეტური პროზა უკვე სამომავლოდ გამარჯვებული საქართველოს ერთ დიდ, გაბმულ სიმღერად უნდა აღვიქვათ (შემდგენელი ჯუმბერ თითმერიაძ.

ორივე კრებულის რედაქტორია ლია ნადარეიშვილი, გრანელის „მარადისობის ლაჟვარდების“ მხატვარი ნანა ჭურღულიაა, ხოლო ინანიშვილის „მომღერალი სახლის“ მხატვარი ჩვენი ფუნჯმადლიანი თენგიზ მირზაშვილია.

ვინაიდან სქელ-სქელ წიგნებს დღესდღეობით რატომღაც ცერად უყურებენ და, ის კი არა, ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე წიგნს ინტერნეტის მაჩანჩალადაც აცხადებს (ვითომ ამერიკულ-ევროპული განათლება ასე ითხოვსოძ, ნამდვილად ურიგო არ იქნება, თუ ილიაჭავჭავაძელთა მიერ გამოცემული ამ კოკროჭინა წიგნების ბიბლიოთეკა ყველა წიგნისმოყვარული ქართველის ბინაში იპოვის თავის ადგილს. ბინაში, რასაკვირველია, მცირე ადგილს, ოღონდ გულსა და გონებაში — ბევრად უფრო დიდს.










**გურამ წიკლაური**

◎ წიგნი

## კერძო რისკითა და სესხით თავმოზმული საერთო საქმე




### პირველი ქართული უნივერსალური ენციკლოპედიური ცნობარის გამო

**ახლახან გამომცემლობა „აი იამ“ მკითხველს შესთავაზა (563-გვერდიანიძ პირველი ტომი (...„ა“ “ალფა — „ალეფიდან“ სიტყვამდე — „ადამ-...ადამიანი“ძ მართლაც იშვიათი, ქართული უნივერსალური ენციკლოპედიური ცნობარისა. რომლის ძირითადი ლიტერატურულ-თემატიკური სამყაროა — მითოლოგია, რელიგია, თეოსოფია, ფილოსოფია, მეცნიერება, ისტორია, ხელოვნება, უცხო სიტყვები, სიმბოლიკა და სხვაძ.**

ამ კოლოსალური ლექსიკოლოგიური ნაშრომის ავტორი - შემდგენელნი მამა-შვილი ალეკო და ნათია გაბელაიები, ენციკლოპედიური „ანბანთწყობის“ ზომიერების დაურღვევლად, ყოველი სიტყვისა თუ ტერმინის განმარტებისას, არა მხოლოდ ლაკონურად და არსობრივად გვამცნობენ „რა რას ნიშნავს..“, ან „ვინ ვინ არის“, არამედ ასევე სიტყვის სემანტიკურ-სემასიოლოგიურ მინიმუმს მეცნიერულ-პოპულარულ სტილში წარმოაჩენენ და, რაც მთავარია, ისინი მიმართავენ ზოგადად „საბჭოურ ენციკლოპედიებში“ არარსებულ (გნებავთ, აკრძალულძ ლექსიკოგრაფიულ უმნიშვნელოვანეს მეთოდს — „სიტყვის“, როგორც ლოგოსის (ცნების, ღვთაებრივი არსისა და გონების მატარებლისძ სემანტიკურ — ფილოსოფიურ ანალიზს.

ასეთი მიდგომის შედეგად ცნობარში წარმოდგენილი ზოგიერთი ტერმინის რელიგიურ-თეოსოფიური თუ მითოლოგიური სჯა-განმარტება იმდენად საინტერესოდ იკითხება, ძნელია არ გაგიტაცოს და არ დარწმუნდე, რომ მხოლოდ აზროვნებაა უზენაესი ტაზოზა „ჰომო საპიენსისა...“ (გონიერი არსებისაძ. თითქოს, მართლაც, ამ გრძნობამ უბიძგა, თითქმის ექვსასგვერდიანი ნაშრომის შემდგენელთ, მსოფლიოს სხვადასხვა სულიერ სამყაროსთან შეპირისპირების ფონზე, სიტყვების — „ადამ- და ადამიანის“ როგორც ფილოსოფიური, ეთიკურ-ესთეტიკური, თეოსოფიური, თუ სხვა რელიგიურ მითოლოგიური და საზოგადოებრივ-კულტუროლოგიური კატეგორიის არსის ანალიზისათვის ას გვერდზე მეტი დაეთმოთ. ცხადია, ამგვარი უმძიმესი, მეტადრე დამხმარე ჯგუფის გარეშე, საკუთარი ხარჯებით (ნასესხები ფინანსებითძ გაწეული ცნობარის ავტორთა (ორი პიროვნების ეს მართლაც ეროვნული, მეტად საჭირო „სიბრძნის წყაროს“ (პროექტით რამდენიმე ათეულ ტომად გამოსაცემად გამიზნულიძ, თუ უმნიშვნელო ხარვეზი არ მივუტევეთ (კეთილსინდისიერი მკითხველი დამეთანხმებაძ, მაშინ ე. წ. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ლამის უნდა განახევრდეს.

ჩვენი დუხჭირი ყოფა-ცხოვრების გათვალისწინებით, ამ უნიკალური უნივერსალური ენციკლოპედიის 500 ეგზემპლარის რეალიზება ძალზე გაძნელდება, მკითხველის გარდა თუ უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების ბიბლიოთეკების მესვეურნიც არ გააქტიურდებიან და თითო ეგზემპლარს მაინც არ შეიძენენ, რათა არ ჩაკვდეს ესოდენ საშვილიშვილოდ სასარგებლო საერთო საქმე — პირველი ქართული უნივერსალური ენციკლოპედიური ცნობარის შემდეგი ტომების გამოცემა. მეტადრე, რომ ამ ენციკლოპედიური პროექტის ისედაც ხელმოკლე ავტორმა ბატონმა ალეკო გაბელაიამ, საკუთარ ხარჯზე — სარისკო სესხით გამოსცა თაოზეზისათვის საშური პირველი ტომი.

ასეთია ჩემი მოკრძალებული საზრიანი და ემოციური დამოკიდებულება ამ მძიმე შრომის ნაყოფისადმი — პირველი ორიგინალური ქართული უნივერსალური ენციკლოპედიური ცნობარისადმი.

**ნიკოლოზ კენჭოშვილი,**
**აღმოსავლეთმცოდნე (ინდოლოგი).**

◎ ინფორმაცია

## გამოსახლება მიწისძვრით დაზარალებულებსაც შეეხო

**როგორც „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტმა დავით მანაგაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, თბილისის მერიის მიერ შექმნილი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდის ხელმძღვანელობის თაღლითური მოქმედების გამო 47 ოჯახი, შესაძლოა, უსახლკაროდ დარჩეს.**

„ადამიანის უფლებათა ცენტრი“ ფონდის ხელმძღვანელის აკაკი გონგლაძის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მერიისაგან მოითხოვს.

დავით მანაგაძის თქმით, ბინები, რომელსაც დღეს ფონდი დაზარალებულებს ედავება, პრეზიდენტის 2002 წლის ბრძანების თანახმად, ფონდმა სხვადასხვა შემოწირულობით შეიძინა და მიწისძვრით დაზარალებულ 346 ოჯახს გადასცა. პრეზიდენტის ამავე გადაწყვეტილების თანახმად, ფონდს ამ ოჯახებთან მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაეფორმებინა, რაც „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტის მტკიცებით, არ განხორციელებულა.

„არაოფიციალური ინფორმაციით, ფონდის ხელმძღვანელი აკაკი გონგლაძე ბინების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ დაზარალებულებისგან 500-დან 2000 აშშ დოლარამდე ითხოვს. ის ოჯახები, რომლებმაც მას ეს თანხა ვერ გადაუხადეს ერთ თვეში, შესაძლოა, ღია ცის ქვეშ აღმოჩნდნენ“, - აღნიშნა დავით მანაგაძემ.

მისივე თქმით, დღეისთვის უკვე არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სამი ოჯახის — ნადირაშვილის, ძავაშვილისა და ბასილაშვილის გამოსახლების შესახებ, რომელთაც, მერიის მტკიცებით, ფართი უკანონოდ აქვთ დაკავებული.



თავად დაზარალებულები ფონდის თაღლითურ საქმიანობაში აკაკი გონგლაძის გარდა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს თემურ ქურხულსა და ქალაქის ყოფილ პრემიერს გია შერაძეს სდებენ ბრალს.

## ბაღაფში გეგმავს

**აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება პრივატიზაციის ფონდიდან 2007 წლისთვის სოფლის მეურნეობის სექტორში 1 მილიონი დოლარის კრედიტის გაცემას გეგმავს, — ამის შესახებ სეპარატისტული რესპუბლიკის ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა ფონდის სხდომაზე განაცხადა.**

სხდომაზე კომერციული სესხების მიღებისთვის წარმოდგენილი ბიზნეს-პროექტებიც განიხილეს.

## ოსები აპროტესტებენ

**სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის „სახელმწიფო“ კომიტეტი აცხადებს, რომ ე.წ. ალტერნატიულმა მთავრობამ კონფლიქტის ზონაში უკანონო საბაჟო პუნქტები განალაგა.**

აღნიშნულ საბაჟო პუნქტებს, ინფორმაციის კომიტეტის მტკიცებით მთლიანად სანაკოევის მთავრობა აკონტროლებს.

ოს სეპარატისტთა განმარტებით, მებაჟეები მანქანებს 5 ათას რუსულ რუბლს ახდევინებენ, შემოსულ თანხას კი სანაკოევი პოლიციას უნაწილებს.

კომიტეტის ცნობით, ქართული მხარე საბაჟო პუნქტების ჩადგმას, თბილისის მიერ კონტროლირებას სხვა სოფლებშიც გეგმავს, რაც საქართველოს ხელისუფლებას საშუალებას მისცემს სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული ხელისუფლების სახელით გზები ნებისმიერ დროს ჩაკეტოს.

ოს სეპარატისტთა მტკიცებით, ასეთი ქმედებებით, ქართული მხარე კონფლიქტის ზონაში სამოქალაქო ომის პროვოცირებას ცდილობს.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**



● საერთოდ, ფეხბურთი დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული. შეიძლება ბევრმა დღესაც არ იცოდეს შემდეგი ფაქტი: 1964 წელს, როცა თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, მას მეცენატობდნენ ირაკლი ნემსაძე და ძმები ლაზიშვილები

◎ გამოხმაურება

# ასე არ არის, თაყაო...

**17 თებერვალს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა პოეტ ჯემალ ჩახავას ლექსი „ჩივილი“ . იგი შეწუხებულია ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატიდან ფოთის „კოლხეთის“ მოკვეთით, რის გამოც საყვედურობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და მის პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს.**





რა თქმა უნდა, ამ ფაქტმა ქართული ფეხბურთის ყველა მოყვარული შეაწუხა, მაგრამ თუ სიმართლეს ვიტყვით, ეს, უპირველეს ყოვლისა, თვით ფოთელთა ბრალია და არა სხვა ვინმესი. კონკრეტულად, ამაში ბრალი მიუძღვის როგორც ქალაქ ფოთის მერიას, ასევე ფოთის პორტის ხელმძღვანელობას. საერთოდ, ფეხბურთის ფედერაციის მოვალეობა არის ქვეყნის ჩემპიონატის გამართვა, ნაკრები გუნდების მომზადება და სხვ. რაც შეეხება გუნდების ფინანსურ მდგომარეობას, ამას თვით კლუბის მფლობელი აგვარებს და არა ფეხბურთის ფედერაცია. მას გუნდის ფინანსურ საქმეებში ჩარევის იურიდიული უფლება არ აქვს. აქვე აღვნიშნავ: მატერიალურმა გაჭირვებამ გამოიწვია ის, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ველარ ასპარეზობენ სამეგრელოსა და გურიის რეგიონების ფეხბურთელთა გუნდები. რაც შეეხება აჭარასა და კახეთს, მათი თითო წარმომადგენელი გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილებზე არიან და უსახსრობის გამო სულს ღაფავენ.

საერთოდ, თუ თვალს გადავავლებთ ქართული ფეხბურთის ისტორიას, ვნახავთ, რომ მისი აკვანი თითქმის ერთდროულად დაირწა ფოთსა და ბათუმში.

დიდ ნოდარ ახალკაცს სიცოცხლეში გადაწყვეტილი ჰქონდა ქართული ფეხბურთის 100 წლის იუბილეს გადახდა. ეს ზეიმი ფოთსა და ბათუმში დაიწყებოდა, დამაგვირგვინებელი საღამოსთვის კი თბილისის სპორტის სასახელს უნდა ემასპინძლა. სამწუხაროდ, არ დასცალდა.

უპრიანია ფოთის „კოლხეთთან“ დაკავშირებით გავიხსენოთ ასეთი ფაქტიც: 1990 წლის 30 მარტს თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონი მაყურებელს ვერ იტევდა – საზეიმოდ გაიხსნა პირველი ეროვნული ჩემპიონატი. თბილისელები ფაზისელებს ხვდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელთა შემადგენლობაში თამაშობდნენ გელა კეტაშვილი, კახი ცხადაძე, თემურ ქეცბაია, გრიგოლ ცაავა, გია გურული, მალხაზ არზიანი, კახი გოგიჩაიშვილი და სხვები, გამარჯვება მაინც ფოთელებმა მოიპოვეს ანგარიშით 1:0 და ისტორიაშიც შევიდნენ.

საერთოდ, ფეხბურთი დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული. შეიძლება ბევრმა დღესაც არ იცოდეს შემდეგი ფაქტი: 1964 წელს, როცა თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, მას მეცენატობდნენ ირაკლი ნემსაძე და ძმები ლაზიშვილები, ხოლო ნოდარ ახალკაცის დროინდელ „დინამოს“ მხარში ედგნენ გოგი თოფაძე, ანზორ ბურჯანაძე, ალეკო კობაიძე, გივი წითლიძე და სხვები. ფეხბურთის ისეთმა მოამაგემ, როგორიც ევგრაფი შევარდნაძე ბრძანდებოდა, თავისებური რეცეპტი მონახა: ლანჩხუთის „გურიის“ თითოეული ფეხბურთელი კოლმეურნეობის წევრი გახადა და ეკონომიკურად დააინტერესა. ეს იყო წინათ, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში როცა სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებდა ფინანსებსაც და ქონებასაც. დღეს კი, როგორც თქვენი გაზეთიდან შევიტყვე, ჩვენ გვყოლია 16 მილიარდერი და 65 მილიონერი ქართველი. ვითომ შეეხიდება რომელიმე მათგანი გაჭირვებულ ქვეყანას და ერს? ღმერთმა უწყის. ისე, თუ რომელიმე მათგანმა კეთილი საქმის გაკეთება გადაწყვიტა, მაშინ ფეხბურთს არა მარტო ფოთში ეშველება, არამედ მთელ საქართველოში.

**დურმიშხან ცინცაძე**

◎ ორბიტაზე

## ფედერერი — ჩოგბურთის რეკორდსმენი

**თანამედროვე ჩოგბურთის შვეიცარიელმა ლიდერმა როჯე ფედერერმა გაიმეორა აქამდე მუდმივად მიჩნეული, 30 წლისწინანდელი რეკორდი, რომელიც ლეგენდარულ ამერიკელ ჩოგბურთელს ჯიმი კონორსს ეკუთვნოდა. იგი**



**მამაკაც ჩოგბურთელთა რეიტინგს სათავეში ედგა 1974 წლის 29 ივნისიდან 1977 წლის 22 აგვისტომდე, ე. ი. 160 კვირა.**

ბაზელელი ფედერერი პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის რეიტინგს ლიდერობს 2004 წლის 2 თებერვლიდან. ახლა კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მომავალ კვირას, შესაძლოა, საჩოგბურთო ტახტზე ყოფნის ახალი რეკორდი დაამყაროს.

## სკანდინავიელი ლამაზმანი

**იტალიური მასმედიის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა „რომასა“ და შვედეთის ნაკრების ფეხბურთელი კრისტიან ვილჰელმსონი მას შემდეგ, რაც მასთან ჩავიდა მისი საცოლე – სკანდინავიელი ლამაზმანი და მოდელი ოქსანა ანდერსონი.**

22 წლის ქალიშვილი სამშობლოში ცნობილია არა მარტო, როგორც მოდელი, არამედ როგორც ჯგუფის Sunblock წევრი, სადაც ის მღეროდა და ცეკვავდა. იგი უფრო პოპულარული გახდა გამოცემისთვის FHM გაშიშვლების შემდეგ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოქსანასთან შეხვედრამდე კრისტიანი გატაცებული იყო მეძავეებთან ურთიერთობით, მაგრამ, როგორც ამბობენ, ის წარსულს ჩაბარდა.



◎ ჭადრაკი

## ჭერჭერობით „ორხელისუფლებიანობაა“

**მექსიკის ქალაქ მორელიაში დაიწყო უმაღლესი, მე-20 კატეგორიის საჭადრაკო სუპერტურნირი 8 უძლიერესი დიდოსტატის (კრამნიკის გარდა) მონაწილეობით.**

პირველ ტურში სამი პარტია – ტოპალოვი (ბულგარეთი) – ანანდი (ინდოეთი), სვიდლერი (რუსეთი) – არონიანი (სომხეთი), ივანჩუკი (უკრაინა) – ლეკო (უნგრეთი) ყაიმით დამთავრდა. ხოლო 16 წლის ნორვეგიელმა „ამომავალმა ვარსკვლავმა“ მანგუს კარლსონმა დაამარცხა ერთ-ერთი უძლიერესი რუსეთელი მოჭადრაკე მოროზევიჩი.

მეორე რაუნდში თავისებური სენსაცია იყო ივანჩუკის მიერ ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის ტოპალოვის დამარცხება. აქაც დანარჩენი პარ-



ტიები „მშვიდობიანად“ დამთავრდა. ყაიმზე შეთანხმდნენ ანანდი-სვიდლერი, ლეკო-მოროზევიჩი და არონიანი-კარლსონი.

ორი ტურის შემდეგ 1,5 ქულით ლიდერობენ ივანჩუკი და კარლსონი.

◎ მძლეოსნობა

## თანამემამულეს აჯობა

**ცნობილმა ეთიოპიელმა მორბენალმა ჰაილე გებრესელასიემ 1998 წელს ბირმინჰემში დაამყარა მსოფლიო რეკორდი შეჯიბრებათა პროგრამაში იშვიათად ჩართულ 2000-მეტრიან დისტანციაზე – 4.52,86.**

და აი, ახლა სწორედ ბირმინჰემში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ისევ ეთიოპიელმა, არანაკლებ ცნობილმა სტაიერმა კენენისა ბეკელემ თანამემულის რეკორდი 2,87 წამით შეამცირა – 4,49,9.

◎ მსოფლიო მოგზაური





# ჯუმბერ ლეჟავას „საოცრებათა ქვეყანა“

**იმას, რაც ჯუმბერ ლეჟავამ გააკეთა, სხვათა ენაზე, გმირობა ჰქვია საქართველოში, ქართულად კი, რამდენიმე სახელს ეძახიან – ვაჟკაცობა, მამაცობა, ნებისყოფის სიმტკიცე, პატრიოტული სული და ფიზიკური ძლიერება!**

გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა: – ბედნიერ დროს ვცხოვრობთ თანამედროვე ქართველები, – საქართველოს ჰყავს კაცი, რომელმაც წარმოუდგენლად უდიდესი ძალისხმევითა და გარჯით, თავისი სათაყვანებელი სამშობლოს სახელით, მოუწოდა მსოლფიოს მშვიდობისა და სიკეთისაკენ!

კიდევ უფრო ბედნიერები ვართ ისინი, ვისაც ხელი ჩამოგვირთმევია ამ კაცისათვის. კიდევ უფრო ბედნიერნი არიან ის ადამიანები, ვინც მისი მეგობრობით იწონებენ თავს. მისი სახელი, თითქოსდა, უბრალოდ ჟღერს, – ჯუმბერ ლეჟავა!! მაგრამ ამ სახელს დღეს უკვე





ამშვენებს საოცრად აღმატებული ეპითეტი, – მსოფლიოს მოქალაქე! და ეს ეპითეტი, უბრალოდ, მეგობრებსა და თაყვანისმცემლებს კი არ მიუნიჭებიათ მისთვის, არამედ გაერთანებული ერების ორგანიზაციამ სწორედ ასე დააფიქსირა ამ კაცის თავდადება მსოფლიოს წინაშე, როგორც მოგზაურისა და როგორც მშვიდობის დესპანისა! გაივლის ათეულობით წლები (იქნებ საუკუნეც) და შთამომავლები უფრო დააფასებენ მას.

...იქნებ, რასაც ვამბობ, ემოციის დონეზე ნათქვამი ეგონოს ვინმეს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: მე მეამაყება და თავი მომწონს, რომ ჯუმბერ ლეჟავას თანამემამულე ვარ და სანამ ამ ჩემს თავმოწონებას „დამიწუნებდეთ“, ერთხელ მაინც შეიხედოთ „ქარვასლაში“, სადაც ჯუმბერ ლეჟავას ფოტოგამოფენის ექსპონატები გრანდიოზული მოგზაურობის საოცარ ამბებს მოგიყვებათ. იქ თქვენ, რაც უნდა ნასწავლი იყოთ, ბევრ რამეს ისწავლით, გაიგებთ და დააფასებთ. და თუ გერგოთ ბედნიერება და ბატონ ჯუმბერსაც გაესაუბრებით, ნამდვილად მოხვდებით საოცრებათა ქვეყანაში! და როდესაც გავათვითცნობიერებთ ამას, ხელის გულზე მოკალათდება საოცარი ციფრები:

მოგზაურობის ხანგრძლივობა – სამი ათას შვიდასი დღე! რაც იგივეა – 10 წელიწადი და 137 დღე!

გავლილი კილომეტრები – 500 000 კილომეტრზე მეტი!

გავლილი ქვეყნები – 238 ქვეყანა!

გავლილი ქალაქები – ათასობით!

გავლილი დასახლებული პუნქტები – ათი ათასობით!

მომავალი ფოტოგამოფენების თემატიკა: – მსოფლიოს უნიკალური ხე-მცენარეები, მსოფლიოს ოკეანეები, მთები, ფრინველთა და ცხოველთა სამყარო, მყინვარები, ტბები, მსოფლიოს ტრანსპორტი, მსოფლიოს ხიდები, მსოფლიოს არქიტექტურა, ღარიბები და მდიდრები, ბავშვები და მოხუცები, საზღვრები – კედლად, რომ აღმართულან ადამიანებსა და ქვეყნებს შორის!..

გამოფენაზე ამ ზღვა მასალიდან მხოლოდ უმცირეს ნაწილს გაეცნობით. – 150 კადრს! მაგრამ პირველი შთაბეჭდილებებისთვის ესეც კმარა!

28 თებერვლამდე ჯერ კიდევ მოასწრებთ ნახვას!

**ზაურ ფიფია**

№ 33. ოთხშაბათი, 21 თებერვალი, 2007 წელი.

# ჩვენ

● ასოციაცია „ჯადოსნურ ხმებში“ გაერთიანებულნი არიან კომპოზიტორები, მომღერლები, მუსიკოსები, რომლებიც განსაკუთრებით ზრუნავენ ჩვენს მომავალზე, ცდილობენ, ახალგაზრდა, ნიჭიერ მომღერლებს დაეხმარონ, ხელი შეუწყონ...



**ქველმოქმედება**

# ბავშვებს, რომელთა ხვედრიც ძალზე მძიმეა

**ახლახან პროფკავშირების კულტურის ცენტრისა და ასოციაცია „ჯადოსნური ხმების“ ინიციატივით, საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა. კონცერტის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო პროდიუსერი თამაზ ქაჯაია.**

შოუ-პროგრამის მონაწილეთა და მაყურებელთა გაბრწყინებული სახეები მეტყველებდა, რომ კონცერტმა დაუვიწყარი სიხარული მოჰგვარა იქ მყოფთ, განსაკუთრებით კი — პატარებს. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ყველასათვის ნაცნობი, პოპულარული სახეები და ახალბედა, პერსპექტიული მომღერლები, მოცეკვავეები... მაყურებელი დაატყვევა ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების „ფერხულისა“ და „ქართების“ ცეკვებმა. ბავშვებმა შეასრულეს „დავლური“ და „მუხამბაზი“, „მთიულური“ და „ბოშური“.

თანამედროვე საესტრადო სიმღერებს ასრულებდნენ ახალგაზრდა მომღერლები: ნინო ბერაძე, მაკა ქაჯაია, ქუქუ დარჩიაშვილი, ვერიკო გავაშელი, მიშიკო ქაჯაია... განსაკუთრებული ელფერი საღამოს ანსამბლების „ელლეს“, „პარადაიზისა“ და შოუ-ბალეტ — „ფანტაზიას“ კომპოზიციებმა მისცა.

საღამოს სტუმარი იყო ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლი „ალავერდი“.

ყველა მოხიბლა უკვე ცნობილი პატარა მომღერლის ბაჩოს გამოსვლამ, მისმა თანატოლმა, ნათია ქორიძემ კი საკმაოდ ოსტატურად შეასრულა რევაზ ლაღიძის სიმღერა — „ყური უგდე საქართველოს“.

შოუ-პროგრამის მაყურებლები სიყვარულით შეხვდნენ ცნობილ მომღერლებს — გურამ ჯაშს, ზურა დოიჯაშვილს, ნუგზარ კვაშალს.

კონცერტის შემდეგ გავესაუბრეთ პროდიუსერს თამაზ ქაჯაიას.

**— ბატონო თამაზ, მაინც რა მიზანს ემსახურება ამგვარი კონცერტების ჩატარება?**

— დღევანდელი შოუ-პროგრამა მთლიანად ბავშვებს მივუძღვენით. ასოციაცია „ჯადოსნური ხმები“ განსაკუთრებით ზრუნავს ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვებზე. სწორედ ამიტომ, კონცერტზე მოვიწვიეთ 150 ჰემოფილიით დაავადებული ბავშვი, გვყავდნენ სტუმრები „მომავლის სახლიდანაც“. კონცერტის სპონსორი იყო კომპანია „ავერსი“, რომელმაც 600 ლარის მედიკამენტები უსასყიდლოდ გადასცა როგორც ჰემოფილიით დაავადებულ, ასევე მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს. სცენის გაფორმებაზე კი იზრუნა რესტორანმა „მაჰარაჯამ“.

**— ხშირად ახერხებთ ამგვარი ღონისძიებების ჩატარებას?**

— საკმაოდ ხშირად... ჩვენ უკვე დაგეგმილი გვაქვს კონცერტი „დედა ენის“ დღესთან დაკავშირებით. რაც შეეხება 17 აპრილს — ჰემოფილიით დაავადებულთა დღეს — მას ჩვენ სპეციალური საქველმოქმედო კონცერტით ვხვდებით ხოლმე. ასოციაცია „ჯადოსნურ ხმებში“ გაერთიანებულნი არიან კომპოზიტორები, მომღერლები, მუსიკოსები, რომლებიც განსაკუთრებით ზრუნავენ ჩვენს მომავალზე, ცდილობენ, ახალგაზრდა, ნიჭიერ მომღერლებს დაეხმარონ, ხელი შეუწყონ... ჩვენს მიერ ჩატარებული კონცერტების უმრავლესობა საქველმოქმედო ხასიათისაა.





**ხათუნა ჩიგოგიძე**

## მკითხველთა საყურადღებოდ:

2007 წლის 23 იანვრის №12 (5613) გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მე-11 გვერდზე მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული

## აუქციონის პირობების ტექნიკური დაზუსტება

**მცხეთის** მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულია აუქციონი ყოფილი დიღმის სასწავლო—საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 122,18ჰა (მიწის სარეგისტრაციო №72140920) არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე.

საწყისი გასაყიდი ფასია: 1მ² — 25(ოცდახუთი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება დაიწყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოცხადების დღიდან (2007წლის 23 იანვრიდან ) და გაგრძელდება 50 დღის განმავლობაში — 2007 წლის 14 მარტის ჩათვლით.

აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 15 მარტს 12 საათსა და 30 წუთზე.

აუქციონის „ბე“ შეადგენს გასაყიდი ფასის 5 პროცენტს.

**აუქციონში გამარჯვებულის მიერ საბოლოოდ დაფიქსირებული გასაყიდი ფასის 50 % გადახდილ უნდა იქნეს აუქციონის ჩატარებიდან 1 თვის ვადაში, ხოლო თანხის მომდევნო 50 % გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი 2 თვის ვადაში (ანუ მთლიანობაში აუქციონის ჩატარებიდან 3 თვის ვადაში)**

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“- ს გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

მყიდველის მიერ ნაკვეთის გამოსასყიდი თანხის გარდა, გადახდილ უნდა იქნეს ობიექტის გასაყიდად მომზადებისათვის გაწეული ხარჯები (თუ არსებობს ასეთი).

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქ.№73, ტელ: 8 (93) 451444, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

---

საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი ღია აუქციონის წესით იჯარით, ერთწლიანი სარგებლობის უფლებით გასცემს ინსტიტუტის ბალანსზე რიცხული ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას გამზ. №44-ში მდებარე შენობის სარდაფში 58 კვ.მ. და ეზოში არსებული დამხმარე სათავსო 8 კვ.მ. ფართს. საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1 კვ.მ-ზე 7 ლარი.

აუქციონში მონაწილეობისათვის განცხადებები მიიღება გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

**აუქციონი ჩატარდება 23 მარტს.**

**აუქციონში მონაწილეობისთვის „ბე“-ს სიდიდე შეადგენს 100 ლარს.**

***დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიაკითხეთ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე: ტელ: 39-18-03.***

**დირექცია**

---

# განცხადება

**2007 წლის 14 მარტს დღის 3 საათზე შედგება ს.ს. თბილისის №1 „ავეჯის სახლის“ აქციონერთა საერთო კრება.**

**მისამართი: მარშალ გელოვანის გამზირი №36.**

**დღის წესრიგი:**

1. 2006 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები და მომავალი ამოცანები;
2. მოგების განაწილების შესახებ დამტკიცების მიღება;
3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება.

**სამეთვალყურეო საბჭო**

---

**მოგვმართავენ, გვეკითხებიან**

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ 65 წლის, ეკონომიურად უკიდურესად მიჭირს. ვცხოვრობ სოფელში, საკუთრებაში მაქვს მიწის ნაკვეთი.**

**ადრე ქონების გადასახადს წელიწადში ორჯერ გვახდევინებდნენ. მეზობელმა მითხრა, ამ საკითხში ცვლილებებია და ახლა ერთხელ უნდა გადავიხადოთო. გთხოვთ, დაწვრილებით გამარკვიოთ ჩემს უფლებებში, რამეთუ, დარწმუნებული ვარ, ეს საკითხი ჩემთან ერთად, ბევრ ჩვენს თანამემამულესაც აინტერესებს.**

**მელიტონ ბოგვერაძე**



**პასუხი:** 2007 წლიდან თქვენს მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით, მართლაც არის შეტანილი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში.

— თუ ქონების გადასახადს უძრავ ქონებაზე (გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული, აგრეთვე იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ქონებისა და საკუთრებაში სარგებლობის ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ მიწაზე) ფიზიკური პირი იხდიდა ორ ნაწილად — არაუგვიანეს საგადასახადო წლის 15 აგვისტოსა და 15 ნოემბერს, 2007 წლიდან ეს გადასახადი უნდა გადაიხადოთ არაუგვიანეს 15 ნოემბრისა. ამასთანავე, ფიზიკურ პირებს ევალებათ საგადასახადო ინსპექციებში დეკლარაციის წარდგენა. თუ ფიზიკური პირი, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს მიწის ნაკვეთი და არ წარმოადგენს დეკლარაციას, მაშინ საგადასახადო ორგანოები საგადასახადო ვალდებულებებს განსაზღვრავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახურის მიერ. საგადასახადო ორგანოებისთვის წარდგენილი მონაცემების საფუძველზე მიწის ფართობის, შესაბამისი კატეგორიის ან ზონის გადასახადის განაკვეთის ჩვენებით. ამ შემთხვევაში, ფიზიკურ პირებს ქონების გადასახადის დეკლარაციის წარუდგენლობისთვის ძველი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმა აღარ ეკისრება.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

● ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასა და ნეშტის გადმოსვენებასთან დაკავშირებით არსებული ბუნდოვანი ვითარება ხელისუფლებას აწყობს



◎ საეჭვო საიდუმლოებები

# კოკო გამსახურდია კომისიას უმოქმედობაში ადანაშაულებს

**პარტია „თავისუფლების“ ლიდერი კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია ზვიად გამსახურდიას ნეშტის საქართველოში გადმოსვენების მიზნით შექმნილ კომისიას უმოქმედობაში ადანაშაულებს.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კოკო გამსახურდიამ განუცხადა, აღნიშნულ კომისიას შექმნის დღიდან არაფერი გაუკეთებია ზვიად გამსახურდიას ნეშტის მოძიებისა და საქართველოში გადმოსვენებისთვის.

იგი მიიჩნევს, რომ კომისია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი თავმჯდომარეობს, ფიქტიურია და მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

მან უკმაყოფილება გამოთქვა სახელმწიფო სტრუქტურების მიმართაც და აღნიშნა, რომ ხელისუფლება ექსპრეზიდენტის ნეშტის მოძიებით და საქართველოში გადმოსვენებით დაინტერესებული არ არის.

ჩვენური წყაროებისგან პარტია „თავისუფლების“ ლიდერისთვის ცნობილია, რომ ზვიად



გამსახურდიას ნეშტი მის საფლავში აღარ იმყოფება და იქ მხოლოდ საფლავის ქვა შემორჩა.

კოკო გამსახურდია მოითხოვს, რომ გადმოსვენების შემთხვევაში ნეშტის იდენტიფიკაცია და ექსპერტიზა ჩატარდეს.

„ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასა და ნეშტის გადმოსვენებასთან დაკავშირებით არსებული ბუნდოვანი ვითარება ხელისუფლებას აწყობს. პირველ რიგში მას არ სურს, გასცეს პასუხი უსიამოვნო შეკითხვებს. ზვიად გამსახურდია გახდა მსხვერპლი იმ პოლიტიკური სისტემისა, რომელიც საქართველოში 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალებით დამკვიდრდა და, რომელიც გარკვეულად სახეცვლილი დღესაც აგრძელებს არსებობას. სწორედ ეს სისტემა, რომელმაც დაუკვეთა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მკვლელობა, ცდილობს, თაობებს ჩაუჭედოს თავში აზრი, თითქოს ზვიად გამსახურდია პოლიტიკურად დამარცხდა და ამიტომ თავი მოიკლა“, – აღნიშნა კონსტანტინე გამსახურდიამ.

„თავისუფლების“ ლიდერმა ზვიად გამსახურდიას სიკვდილში ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დაადანაშაულა. მისივე თქმით, ზვიად გამსახურდიას ნეშტის დაკარგვა მისი მკვლელობის კვალის წაშლის მიზნით გაკეთდა, რათა თაობებს ზვიად გამსახურდიას სახელი დაავიწყონ.

ზვიად გამსახურდია 1994 წლის 23 თებერვალს გროზნოში, ჩეხოვის ქუჩაზე დაკრძალეს. გამსახურდია ჩეჩნეთის დედაქალაქში 1992-93 წლებში ცხოვრობდა.

**დეპუტატ ელენე თევდორაძის განცხადების მიხედვით, მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ მას მიაწოდა ინფორმაცია, რომ გროზნოში ზვიად გამსახურდიას საფლავი განადგურებულია.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ სიკვდილი ქილაში

# ფრთხილად, ბოტულიზმის „სეზონია“!

**ამას წინათ გავრცელდა ინფორმაცია სამტრედიაში, შინ დამზადებული ბადრიჯნის კონსერვით სამი ქალბატონის ბოტულიზმით დაავადების შესახებ. ამ დღეებში კი ოჯახში დამზადებული ხორცის კონსერვი გახდა ბოტულიზმის გამომწვევი. წელიწადი ისე არ გავა, რომ ბოტულიზმმა თავი არ შეგვახსენოს. სამწუხაროდ მას არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეუწირავს ან ჯანმრთელობა შეურყევია. არადა, მისგან თავის დაღწევა შეიძლება, თუ კი სიფრთხილეს გამოვიჩენთ.**

ბოტულიზმი უმძიმესი დაავადებაა, რომელიც ინტოქსიკაციით (მოწამვლით) და ნერვული სისტემის დაზიანებით მიმდინარეობს. ეს სასიკვდილო საფრთხე ხშირად ჩვენსავე საკუჭნაოში იმალება. საქართველოში ბოტულიზმით ავადობის შემთხვევებმა მკვეთრად მოიმატა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან როდესაც ფართოდ დამკვიდრდა ოჯახურ პირობებში ბოსტნეული პროდუქტების (ბადრიჯანი, მწვანე ლობიო, პომიდორი, კიტრი, წიწაკა, სტაფილო) აგრეთვე სოკო, დანდური და ხილის დაკონსერვება, კუსტარული წესით შებოლილი თევზისა და ხორცის დამზადება.

ქვეყანაში პერიოდულად აღინიშნება ბოტულიზმით დაავადების ცალკეული და ჯგუფური შემთხვევები, რაც უმეტესწილად კუსტარულად დამზადებული სათალის, ხორცის, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების მოხმარებასთან არის დაკავშირებული.

**რა არის ბოტულიზმი?** ბოტულიზმის გამომწვევი ბაქტერია (კლოსტრიდია) ცხოველებისა და თევზების ნაწლავებში ბინადრობს. გარემოში (ნიადაგში) მოხვედრისას წარმოქმნის სპორებს და ჩვეულებრივ, ნიადაგის მიკროფლორის წარმომადგენელია. ნიადაგთან ერთად საკვებზე მოხვედრის შემთხვევაში სპორა გარდაიქმნება ვეგეტაციურ (ცხოველმყოფელ) ფორმად, პროდუქტში მრავლდება და წარმოქმნის შხამს, რომელიც საკვებში გროვდება. სპორები შეიძლება მოხვდეს ადამიანის ორგანიზმში და ბოტულიზმი არ განვითარდეს, მაგრამ, საკმარისია სპორა აღმოჩნდეს უჟანგბადო არეში, რომ მისგან მაშინვე –„ გამოიჩეკოს“ ბოტულიზმის ჩხირები და დაიწყოს სასიკვდილო შხამის გამომუშავება. ასეთი პირობები კი შეიძლება შეიქმნას გერმეტულად დახურულ კონსერვში, ქილაში, შებოლილ თევზში, ლორში. სპორები, ძალზე გამძლენი არიან და საათობით დუღილს უძლებენ. მათი ინაქტივიზაციისათვის (გაუვნებლობისათვის) საჭიროა ცელსიუსის 120 გრადუსზე მაღალი ტემპერატურა.



**ბოტულიზმით დაავადების კლასიკური სიმპტომებია:** მხედველობის გაორება ან დაბინდვა, მეტყველებისა და ყლაპვის გაძნელება, თვალის ქუთუთოების დაშვლა, ყრუ ტკივილები მუცლის არეში, გულისრევა, თავბრუსხვევა. ბოტულიზმით ავადობის მძიმე შემთხვევის დროს შეიძლება ავადმყოფი დაიღუპოს.

დაავადება ვითარდება ტოქსინიანი პროდუქტების მიღებიდან 18-36 საათში, ეს დამოკიდებულია მიღებული ტოქსინის რაოდენობაზე და ამის მიხედვით, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა 6 საათში ან 10 დღეშიც კი გამოვლინდეს. ყველა გამოკვეთილ და საეჭვო შემთხვევაში აუცილებელია ავადმყოფის ჰოსპიტალიზაცია.

ბოტულიზმის გართულების დროს ავადმყოფს უვითარდება სასუნთქი გზების დამბლა. ასეთ დროს მას აუცილებლად ათავსებენ რეანიმაციის განყოფილებაში. დიაგნოზის დასმის შემდგომ სამკურნალოდ გამოიყენება ანტიტოქსიური შრატი, რომელიც აფერხებს სისხლში მოძრავ ტოქსინს, ეს ავადმყოფს იცავს მდგომარეობის გაუარესებისაგან, თუმცა მისი საბოლოო გამოჯანმრთელებისთვის მაინც რამდენიმე კვირაა საჭირო.

ყველა პირზე, რომლებმაც ბოტულიზმით დაბინძურებული საეჭვო პროდუქტი მიიღეს, აუცილებელია სამედიცინო მეთვალყურეობა 10-12 დღის განმავლობაში.

**ბოტულიზმს თავიდან ავიცილებთ:** თუ შინაურ პირობებში კონსერვების დასამზადებლად შევარჩევთ ახალ პროდუქტებს და გულმოდგინედ გავრეცხავთ (თავი შევიკავოთ ისეთი პროდუქტების გერმეტულად დაკონსერვებისგან, რომელთა გარეცხვის დროს დიდია მათზე ნიადაგის უმცირესი ნაწილაკების მოხვედრის ალბათობა. მჟავე კიტრი და პომიდორი ჯობს ტრადიციულად მოუხუფავად მამაპაპური წესით დავამჟაოთ). საკვები პროდუქტები, მათ შორის კონსერვები, შევინახოთ ცივ ადგილას. საკვებად არ გამოვიყენოთ სახურავშებერილი კონსერვები. დაკონსერვებული პროდუქტები მოხმარების წინ აუცილებლად წამოვადუღოთ ან შევწვათ 10-15 წუთის განმავლობაში. ასევე თერმულად უნდა დამუშავდეს წვრილ ნაჭრებად (სისქით არა უმეტეს ერთი სანტიმეტრისა) დაჭრილი ყველა საეჭვო პროდუქტი. არ შევიძინოთ კუსტარულად დამზადებული შებოლილი თევზი (სათალი, შაშხი, ძეხვი) და კონსერვები.

**ახლა ზამთრის პერიოდია, შინაური კონსერვების გამოყენების ყველაზე აქტიური „სეზონი“. საოჯახო პირობებში დაკონსერვებული ნებისმიერი პროდუქტი, პოტენციურად ბოტულიზმის გამომწვევია. ასე რომ, გავითვალისწინოთ რჩევები, გავუფრთხილდეთ ჩვენს ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

**მოამზადა**
**ბელა დურგლიშვილმა**

◎ ინფორმაცია

## კონტრაბანდის მუხლით

**როსტოვის ოლქის საბაჟოსა და უშიშროების ფედერალური სამსახურების თანამშრომლებმა დააკავეს საქართველოში მომავალი სამხედრო დანიშნულების მანქანების დეტალები, რომლებიც სამოქალაქო ვერტმფრენის ე.წ. ლაპოტებით იყო შენიღბული.**

**მათივე თქმით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით როსტოვის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე კონტრაბანდის მუხლით აღძრა.**

**ამ დროისთვის მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები იმ პირთა დასადგენად, რომლებიც საქართველოში სამხედრო დანიშნულების ტვირთი უკანონოდ გადაჰქონდათ.**

**„თავისი მოქმედებით აღნიშნული ფირმა სახელმწიფოს არა მარტო ეკონომიკურ ზარალს აყენებდა, არამედ ხელს უწყობდა საქართველოს სამხედრო პოტენციალის ზრდას და კავკასიის რეგიონში დაძაბულობის ესკალაციას“, – აცხადებს რუსული მხარე.**

* * *

**რუსული მხარის მტკიცება, რომ როსტოვის ოლქში დაკავებული სამხედრო დანიშნულბის სათადარიგო ნაწილები საქართველოსთვის იყო განკუთვნილი, აბსურდი და ფანტაზიის ნაყოფია, – ამის შესახებ სააგენტო „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ნანა ინწკირველმა განუცხადა.**

## ძებნილები გაებნენ

**თბილისის აეროპორტში რეისზე „ბაქო-თბილისი“, სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, მესაზღვრეებმა შსს-ს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს, რომელიც აღნიშნული რეისით რუსეთის ფედერაციიდან იყო დეპორტირებული.**



* * *

**სამმართველო „წითელი ხიდის“ სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილებაზე „გარდაბანი – რკინიგზა“, მესაზღვრეებმა სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, საქართველოში შემოსვლისას შსს-ს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს.**

## ნაღმი სკოლაში

**მუხიანის დასახლების მესამე მიკრორაიონში მდებარე №175-ე სკოლაში სასწავლო პროცესი ჩაიშალა. ამის მიზეზი უცნობი პირის მიერ განხორციელებული სატელეფონო ზარი გახდა. დაუდგენელმა პირმა სკოლის ადმინისტრაციას ტელეფონით აცნობა, რომ შენობა დანაღმული იყო.**

## სასიმამროს მსხვერპლი

**გურჯაანიდან თბილისში, რკინიგზის საავადმყოფოში გადმოყვანილი თემურ ორველაშვილის მდგომარეობა კვლავ მძიმეა.**

**როგორც ავადმყოფის ძმამ ზაზა ორველაშვილმა განაცხადა, თემურ ორველაშვილს თავის ქალაზე მეორე ოპერაცია ორი დღის წინ გაუკეთდა.**

**ზაზა ორველაშვილი მოუწოდებს ბიზნესმენებს, რომ დაეხმარონ მის ოჯახს და „საქართველოს ბანკში“ გახსნილ ანგარიშზე – 181553500 თანხა გადარიცხონ.**

**როგორც ზაზა ორველაშვილი განმარტავს, ავადმყოფი კვლავ შოკურ მდგომარეობაშია.**

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

თამაზ ქოიავა, თამაზ წერეთელი, კუსა სიამაშვილი ოჯახებით მწუხარებით ვიუწყებით

სესილი გოგორელიანი-მირზიაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21 II, 16 სთ. დაკრძალვა 22 II, 14 სთ. ალ. ყაზბეგის გამზ 41.

ლაურა, შოთა გორგოძეები, ლერი, ვახტანგ ნინიძეები იუწყებიან ბიძის

თამაზ ფუტკარაძის

გარდაცვალებას.

**მიმდინარეობს შპს „პეიჯინგ აჭარას“ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოგვმართონ მისამართზე: ბათუმი, მემედ აბაშიძის №33. ტელეფონი: 877 40-20-02.**

№ 33. ოთხშაბათი, 21 თებერვალი, 2007 წელი.

# ბოლო გვერდი

● უცხოური კომპანიები „აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში“ უკანონოდ, საქართველოს მთავრობის შესაბამისი თანხმობის გარეშე იმყოფებიან



## ⊙ ინფორმაცია



### ყაჩაღობის ბრალდებით

**ყაჩაღობის ბრალდებით დაკავებული ლევან ქარაიას ახლობლებმა გუშინ სახელმწიფო კანცელარიასთან მიტინგი გამართეს.**

როგორც ქარაიას ახლობლები აცხადებენ, იგი უკანონოდ არის დაპატიმრებული.

— ჩვენ გვინდა, პრეზიდენტამდე მივიდეს ინფორმაცია იმ უსამართლობაზე, რაც ხობის რაიონის სამართალდამცავებმა ჩაიდინეს. მათ უკანონოდ დააპატიმრეს ლევან ქარაია. არანაირი მტკიცებულება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სამართალდამცავებს არ მოეპოვებათ. წინასწარი და სასამართლო გამოძიება უხეში კანონდარღვევებით მიმდინარეობს. ექვსი მოწმე ამბობს, რომ ყაჩაღობის დღეს ქარაია მათთან ერთად ფეხბურთს უყურებდა. ოჯახის წევრებს პროტესტის აქციებით გამოხატვის გარდა სხვა გზა აღარ დარჩენიათ, — განაცხადა დაკავებულის ახლობელმა მარინე ჭითავამ.

### მიურატების პრინცესას საბაჟოზე უარი უთხრეს

**მიურატების პრინცესას ჰუმანიტარული ტვირთის განბაჟებაზე ფოთის საბაჟოზე უარი უთხრეს. როგორც მისმა წარმომადგენელმა რაულ ქირიამ განაცხადა, ვერონიკა დე შაბო-ტრამკურის ინიციატივით საფრანგეთიდან დასავლეთ საქართველოს ხელმოკლე ოჯახების დასახმარებლად 9 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი გამოიგზავნა, თუმცა, როგორც ახლახან გაირკვა, ფოთის საბაჟოზე განსაბაჟებლად ჩამოსული ტვირთი ნაკლულია და მხოლოდ 5 ტონას შეადგენს.**

— მიურატების პრინცესას უკმაყოფილებამ ფოთის საბაჟოს თანამშრომლები შეაშინა და ტვირთის განბაჟებაზე უარი თქვეს. პრინცესას ოფიციალურ პასუხს ფოთის საბაჟოზე არ აძლევენ, ხოლო სიტყვიერად ტვირთის განბაჟებას თბილისში ურჩევენ, რაც ზედმეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ტვირთი ფოთიდან ზუგდიდში უნდა გადაეტანათ და რეგიონებში იქიდან გადანაწილდებოდა, — განაცხადა ქირიამ.

### რუსთავში უბედური შემთხვევა მოხდა

**უბედური შემთხვევა მოხდა გუშინ რუსთავში, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ქვემო ქართლის №1 ცენტრალურ გამანაწილებელ სადგურზე.**

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას კომპანიის თანამშრომელი, 46 წლის გია მეტრეველი დაიღუპა.



როგორც სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ქვემო ქართლის ოფისში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, გია მეტრეველი 6000-ვოლტიან ელექტროსადენს ხელით შეეხო და ადგილზე დაიღუპა.

**ინტერპრესნიუსი**

### წყლის სოკოც გვექნება

**ორ თვეში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, მეტროსადგურ „წერეთლის გამზირის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, წყლის სოკო დამონტაჟდება. ამის შესახებ დიდუბე-ჩუღურეთის გამგებელმა რამაზ სულამანიძემ განაცხადა.**

სულამანიძის ინფორმაციით, წყლის სოკო იმ ტერიტორიაზე დაიდგმება, სადაც ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა უკანონოდ აშენებული ნაგებობა დაანგრია.

გამგებლის ინფორმაციით, სოკოს ღირებულება 4 ათასი ლარი იქნება და ის რაიონული ბიუჯეტიდან დაიხარჯება.

### 65 ათასი ლარი გადაახდევინეს

**ჰონკონგის დროშის ქვეშ მცურავმა გემმა დაკისრებული ჯარიმა 65 ათასი ლარი გადაიხადა და მას თავისუფალი ნაოსნობის უფლება მიეცა, ამის შესახებ სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ სასაზღვრო პოლიციიდან აცნობეს.**

შეგახსენებთ, რომ იგი მიმდინარე წლის 17 თებერვალს სანაპირო დაცვის ოპერაციების სამმართველოს ფოთის ბაზის მესაზღვრეებმა და გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლებმა ერთობლივი ღონისძიების შედეგად, ფოთის პორტის აკვატორიაში, გარემოს დაბინძურების ფაქტზე დააკავეს.

### ბადეში — თურქული თევზმჭერი



**მიმდინარე წლის 20 თებერვალს სანაპირო დაცვის ფოთის ბაზის მესაზღვრეებმა ანაკლიის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე, საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი თურქული თევზმჭერი სეინერი „მეჰმედ კაპან-3“ დააკავეს.**

სეინერი ბადრაგირებულია ფოთის პორტში. მიმდინარეობს მოკვლევა. წინასწარი ინფორმაციით, გემს 50 000 ლარის ჯარიმა დაეკისრა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### როცა ქალღი პატრონს ვერ ცნობს

**„აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში“ სამი უცხოური გემი თევზჭერას ახორციელებს.**

როგორც აფხაზური სააგენტო „აპსნიპრესი“ დე ფაქტო სახელმწიფო ეკოლოგიური სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება, ორი ხომალდი რუსულ კომპანიას, ხოლო ერთი — თურქულს ეკუთვნის.

მათივე ინფორმაციით, 19 თებერვლისთვის აფხაზეთში სულ 1 800 ტონა ხამსისა და 13,6 ტონა სტავრიდის რეწვა განხორციელდა. აფხაზი ეკოლოგების თქმით, თბილი ზამთრის გამო წლევანდელი სეზონი მეთევზეებისთვის არასახარბიელო გამოდგა.

აღსანიშნავია, რომ უცხოური კომპანიები „აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში“ უკანონოდ, საქართველოს მთავრობის შესაბამისი თანხმობის გარეშე იმყოფებიან.

**ინტერპრესნიუსი**

## ⊙ ლარის კურსი

**21 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3409 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7130 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2257 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0649 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9694 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4796 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4178 ლარი. |

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32;
899 328576

## ⊙ ანეკდოტები

პატარა მიხო დივანზე ხტუნაობს.

— შვილო, ნუ ხტუნაობ, თორემ დიდი მუცელი გაგეზრდება, — აშინებს დედა.

მეორე დღეს მიხო ქუჩაში ფეხმძიმე ქალს ხვდება და ნიშნის მოგებით ეუბნება:

— შეუსვენებლად ხტუნაობდი, არა?

* * *

— შვილო, ვინ არის შენი ახალი თაყვანისმცემელი, — ეკითხება დაშას დედამისი, — წესიერი კაცია?

— რა თქმა უნდა, დედი, ხელმომჭირნეა, არ სვამს, არ ეწევა, შესანიშნავი ცოლი და სამი ულამაზესი შვილი ჰყავს.

* * *

— რას აკეთებთ, როდესაც ფული გაქვთ?

— არც კი მახსოვს.

* * *

— მომისმინე, — ეუბნება პეტკა ძმაკაცს, — შენი ცოლი რომ საწოლში ჩავიწვინო, ამას საკუთარ, პირად მარცხად ჩათვლიდი?

— არა, ჩავთვლიდი, რომ ანგარიშია 3:1 ჩემ სასარგებლოდ.

* * *

სამშობლოს ვალს ძირითადად ღარიბები უბრუნებენ, ხოლო მდიდრები მუდამ ხურდასაც კი არ აძლევენ.

* * *



მობილური კავშირგაბმულობის კომპანიის მიერ შემოღებული მომსახურების — „დამირეკე“ — პასუხად კავშირგაბმულობის სამსახური აწესებს მომსახურებას — „თვითონ დამირეკე“.

* * *

— შენი მეშინია, — ეუბნება მიხოს დაშა და განზე გაჩოჩდება.

— რატომ?

— დამიწყებ შებმას, ათასგვარი სისულელეების როშვას, მერე სექსაც მომთხოვ.

— მოგთხოვ თორემ, შენ კაცი რამეს გამოგტყუებს!

— აი, თავხედი, რომ ხედავ, გამომტყუე კიდეც!

## ⊙ კადრი



ჯემალ კასრაძის ფოტო

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.